საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

19 სექტემბერი ოთხშაბათი 2012 №222 (13 828) ფასი 80 თეთრი

## როგორია ქეცბაიას პოზიციები?

ინტერვიუ ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან რევაზ არველაძესთან 2



# რეალმა თავისი მაინც გაიტანა





სამეფო გუნდს კრიშტიანო რონალდომ მოაგებინა

# დასაწყისიც ასეთი უნდა



დორტმუნდმა აიაქსი ბოლოს გატეხა



ჟერვინიომ არსენალს სამი ქულა მოუტანა

## ნულები სან სიროზე







იბრამ და პსჟ-მ ევროტური უკრაინელების რბევით დაიწყეს

ჩემპიონთა ლიგა. I ტური 8

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ინტერვიუ რევაზ არველაძესთან

# როგორია ქეცბაიას პოზიციები?

## ამაზე ციკლის დასრულების შემდეგ ვისაუბროთ

**საქართველოს ეროვნული ნაკრები – ეს ის საზომია, რომლითაც უნდა შეფასდეს ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობა. ბევრისთვის ეს აქსიომაა, თუმცა ფედერაციის მუშაობა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. როგორც უნდა იყოს, ნაკრების პატრონი ფედერაციაა და საინტერესოა, რას ფიქრობენ ამ დაწესებულებაში ჩვენი უპირველესი გუნდის შესახებ. "ლელოს" რესპონდენტი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი რევაზ არველაძე გახლავთ. ის უკვე გამოცდილი ჩინოვნიკია, კარგა ხანია, რაც ამ თანამდებობაზე მუშაობს. ძმათაგან უფროს არველაძეს ფეხბურთელობასა და ჩინოვნიკობას შორის სხვა შუალედიც ჰქონდა – თბილისის "დინამოს", "ლოკომოტივის" და ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყო. მას საფეხბურთო ნიუანსებზეც ჩავეძიეთ...**
**მაშ ასე, ჩვენს კითხვებს ფედერაციის გენმდივანი პასუხობს.**



**- ბელარუსი და ესპანეთი – რა შთაბეჭდილება დაგრჩათ ჩვენს ეროვნულ ნაკრებზე ამ მეტოქეებთან მატჩის შემდეგ? რა პერსპექტივა დაინახეთ?**

- ბელარუსთან თამაშის შემდეგ კმაყოფილი აბა, ვინ არ დარჩებოდა, ჩვენ ხომ მოვიგეთ ის შეხვედრა. ესპანეთთან თამაშს რაც შეეხება, შედეგით კმაყოფილი ვერ ვიქნებით, თუმცა შესაძლებელი იყო, რომ ჩვენთვის გაცილებით უარესი სცენარითაც წარმართულიყო ყველაფერი. გული ძალიან დამწყდა იქიდან გამომდინარე, რომ შეხვედრის ბოლო წუთებზე დავთმეთ თამაში. როცა კენჭისყრამ ამ ჯგუფში ყოფნა გვარგუნა და

**- წინა შესარჩევ ციკლში ჩვენი ნაკრები ხელმოცარული დარჩა. როგორ ფიქრობთ, ბელარუსთან და ესპანეთთან მატჩის შემდეგ თემურ ქეცბაიას პოზიციები შედარებით მყარი გახდა?**

- როცა ქეცბაიას ახალი კონტრაქტი შევთავაზეთ, ბევრი არ გვიფიქრია. რაც შეეხება მის ახლანდელ პოზიციებს, ამ ორი თამაშით ამაზე საუბარი მართებულად არ მიმაჩნია, შესარჩევი ციკლის დასრულების შემდეგ დასკვნის გამოტანა უკეთესი იქნება.

**- საქართველოს ეროვნული ნაკრების სათამაშო სტილი თითქმის უკვე ჩამოყალიბებულია. ეს სტილი არ**

კალენდარიც გაირკვა, ვილაც-ვილაცებს ჯანსაღი პესიმიზმი ჰქონდათ – ძალიან რთულ მდგომარეობაში ვართ, ჯგუფიდან გასვლა შეუძლებელია. ვფიქრობ, დასკვნების გამოტანა ჯერ ადრეა, საქართველოს ნაკრები ამ შესარჩევში მომდევნო ორ შეხვედრასაც რომ ითამაშებს, მერე უფრო ადვილი იქნება იმის თქმა, თუ რა პერსპექტივა აქვს ამ გუნდს. რა შეგვიძლია ჩვენს უშუალო კონკურენტებთან – ამის დასანახავად მომდევნო ორი მატჩის მიხედვითაც ბევრ კითხვას გაეცემა პასუხი. ისე, ესპანეთთანაც გამოჩნდა, ამ ნაკრებს რაც შეუძლია: მიუხედავად გუნდებს შორის არსებული სხვაობისა, საქართველოს ნაკრებმა მაღალ დონეზე, ღირსეულად ითამაშა.

**- საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობა ეროვნული ნაკრების შედეგებით უნდა შეფასდეს – ეს თქვენი ოპონენტების აზრია მხოლოდ, თუ ასეც უნდა იყოს?**

- ფედერაციის საქმიანობის შეფასება ეროვნული ნაკრების შედეგებზეც არის დამოკიდებული – ამას ნამდვილად ვერ გავექცევით. თუმცა, პირველი ნაკრების გარდა არის ასაკობრივი ნაკრებებიც. ეროვნული ნაკრები ახლა ისეთ ჯგუფშია, რომ ნებისმიერი დონის გუნდს გაუჭირდებოდა წარმატების მიღწევა. რა თქმა უნდა, მწვრთნელის დანიშვნიდან დაწყებული სხვა ფაქტორებით დამთავრებული, ნაკრების ავან-ჩავანზე ფედერაცია არის პასუხისმგებელი. კონკრეტულად ნაკრების შედეგს რაც შეეხება, ფედერაცია იმხელა დოზით არ არის ამაზე პასუხისმგებელი, რა დოზითაც მწვრთნელი.

**ჰგავს იმ სათამაშო კონცეფციას, რომელსაც ჩვენი 19 და 21-წლამდელთა მწვრთნელები იყენებენ. როგორ ფიქრობთ, ეს ყველაფერი ერთიან სისტემაში არ უნდა იყოს მოქცეული?**

- ყველას საკუთარი ხედვა და ფეხბურთელთა კონტინგენტი ჰყავს, რომლის მიხედვითაც ირჩევს სათამაშო სტილსა და ტაქტიკას. მაგალითად, ალექსანდრე ჩივაძე ისე არ ათამაშებს ახალგაზრდულ ნაკრებს, როგორც ჩვენი პირველი გუნდი თამაშობს. დეტალურად არ მსურს მწვრთნელის საქმიანობაზე საუბარი. ფეხბურთის ფედერაცია ვერც ერთ მწვრთნელს ვერ მიუთითებს, თუ როგორ ათამაშოს გუნდი. ისე კი, კარგი იქნებოდა, საქართველოს ყველა ნაკრები ერთი სისტემით რომ თამაშობდეს.

**- უნდა ჰქონდეთ თუ არა პრემიები საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებს – ამ საკითხის გაჟღერებამ არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. როგორია ფეხბურთის ფედერაციის პოზიცია?**

- იყო დრო, როცა ფეხბურთის ფედერაცია ამ საკითხზე სერიოზულად ფიქრობდა, მაშინ ეს ყველაფერი ჩვენი ნაკრების ჯგუფიდან შესაძლო გასვლასთან იყო დაკავშირებული. თუ გახსოვთ, საქართველოს ნაკრების ჯგუფში რუმინეთიც რომ იყო, ამ მეტოქესთან შინ თამაში ბევრ რამეს წყვეტდა – მაშინაც იყო დაწესებული პრემიები. პრემიების საკითხი ტაბუდადებული თემა არ უნდა იყოს. პრემიები რომ არ არის დაწესებული, ამით ფეხბურთის ფედერაცია ფულს ზოგავს – მერწმუნეთ, ეს ასე არ არის. ჩემი აზრით, კარგი იქნება, თუ ნაკრების ფეხბურთელებისთვის პრემირების საშუალება გაჩნდება, მაგრამ ეს ვერ იქნება გადამწყვეტი ფაქტორი მოტივაციისთვის. რა ფული და პრემია შეედრება იმას, რა თავდადებაც იყო ესპანეთთან შეხვედრაში? ჩვენს ფეხბურთელებს პრემიები რომ ჰქონოდათ, უკეთ ითამაშებდნენ?

**- ფეხბურთში მოვლენები სწრაფად იცვლება, მთელ რიგ ნაკრებებში უკვე გამოძახებაზეც კი ფულს უხდიან ფეხბურთელებს...**

- ზოგ ქვეყნებში მართლაც ასე ხდება – ფედერაცია ნაკრების ფეხბურთელებთან კონტრაქტს აფორმებს. არ ვამბობ იმას, რომ მსგავსი რამ ჩვენთან არ უნდა იყოს, უბრალოდ, ამ ეტაპზე ეს საკითხი არ განხილულა. შესაძლოა, ეს თემა აქტუალური გახდეს. ფედერაცია, მწვრთნელი და ფეხბურთელები – თუ საჭირო გახდება, ამ საკითხზე დავილაპარაკებთ.

**- საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის უახლოეს გეგმებზე რას გვეტყვით, ყველაზე აქტუალური რა საორგანიზაციო საკითხებია ამ დროისთვის?**

- ვემზადებით ჩვენი 17 და 19-წლამდელთა ნაკრებების შესარჩევი მატჩებისთვის. თითქმის გადაწყვეტილია, რომ 16 ოქტომბერს ამხანაგურ შეხვედრაში საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები შინ დანიელ თანატოლებს შეხვდება.

**- უეფას ჰეთ თრიკის პროგრამას რა მიზნებისთვის გამოიყენებს ფეხბურთის ფედერაცია?**

- ჰეთ თრიკის ამ პროგრამას მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის რეკონსტრუქციისთვის გამოვიყენებთ, თუმცა მხოლოდ ეს საკმარისი ვერ იქნება ამ არენის სრულად განახლებისთვის. ოთხ წელიწადში 3 მილიონი ევრო უეფას თითეული წევრი ასოციაციისთვის – ასეთია ამ პროგრამის ღირებულება. ეს თანხა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მხოლოდ ერთ პროექტს არ მოხმარდება. მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის გარდა, რეკონსტრუქცია გაუკეთდება ფედერაციის ბაზას ლაგოდეხში, "მიხეილ მესხის" გვერდით არსებული მოედნის ბაზაზე ახალ, პატარა სტადიონს ვაკეთებთ თავისი გაასხდელებით და დანარჩენი ინფრასტრუქტურით.

**დავით თავართქილაძე**

● ლეგიონერი



## აკაკი ხუბუტია:
# რუსულ პრემიერლიგაში გადასვლა ბოლო მომენტში ჩამეშალა
## თავი ხელში უნდა ავიყვანო და ზამთარს დაველოდო

**აკაკი ხუბუტიამ** გასული სეზონის მეორე ნახევარი იჯარით თურქულ "სამსუნსფორში" გაატარა. იყო იმის შესაძლებლობა, რომ ამ კლუბს საქართველოს ნაკრების 26 წლის მცველი შეეძინა, მაგრამ "სამსუნი" თურქეთის სუპერლიგიდან გავარდა და ხუბუტიას რუმინულ "გაზ მეთანში" დაბრუნებამ მოუწია.

აკაკი დიდი ხანია, "გაზ მეთანის" დატოვების სურვილს ღიად გამოხატავს: *"აქ უკვე რამდენიმე წელია ვთამაშობ. 22-23 წლის რომ ვიყო, უკმაყოფილო არ ვიქნებოდი. "გაზ მეთანმა" ბევრი რამ შემძინა და ამისთვის მადლიერი ვარ, მაგრამ უკვე დროა, სხვა დონეზე ვითამაშო. ვერც სპორტული და ვერც ფინანსური თვალსაზრისით "გაზ მეთანი" ჩემს მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. თურქეთში თამაშისას დავრწმუნდი, რომ უფრო მაღალი დონის ლიგაში ასპარეზობაც შემიძლია და ძალიან გულდაწყვეტილი ვარ, რუმინეთში რომ მიწევს დარჩენა".*

ხუბუტიას დიდი იმედი ჰქონდა, რომ კარიერას სხვაგან გააგრძელებდა, მაგრამ ჯერჯერობით, ამას ვერ მიაღწია. არადა, როგორც გვითხრა, რამდენიმე დღის წინათ ამის რეალური შესაძლებლობა ჰქონდა: *"ჩემი შეძენა რუსული პრემიერლიგის ერთ-ერთ კლუბს სურდა. რუსებსა და "გაზ მეთანს" შორის ყველაფერი შეთანხმებული იყო, მაგრამ ბოლო მომენტში ჩემმა კლუბმა ჩემს გაყიდვაზე უარი თქვა. ისეთი გამწარებული ვიყავი, სანაკრებო შეკრებიდან რუმინეთში დაბრუნებას აღარ ვაპირებდი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ამით ისევ საკუთარ თავს დავაზარალებდი და "გაზ მეთანს" შევუერთდი. რუმინეთში კალენდარულ მატჩამდე ერთი დღით ადრე ჩავედი და ამიტომ მწვრთნელმა 18-კაციან განაცხადში არ შემიყვანა. "გაზ მეთანში" კონფლიქტურ სიტუაციებს ვერიდები, ამიტომაც ძირითად შემადგენლობას უახლოეს ტურში დავუბრუნდები. ძალიან გულდაწყვეტილი ვარ, მაგრამ ახლა ემოციების დრო არ არის. თავი ხელში უნდა ავიყვანო და ბევრი ვიშრომო, რომ აქაურობას თავი დავაღწიო".*

საქართველოს ნაკრების მცველი იმედოვნებს, რომ რუსეთში გადასვლას ზამთრის სატრანსფერო პერიოდში შეძლებს. მისი თქმით, იქიდან ორი პრემიერლიგური კლუბის ინტერესი კვლავაც რეალურია, თუმცა მათი დასახელებისგან თავს იკავებს.

ხუბუტიას ტრანსფერის შანსს კი ის ფაქტი ზრდის, რომ მას "გაზ მეთანთან" კონტრაქტი მომავალი წლის ზაფხულში ეწურება და რუმინულ კლუბს აშკარად ურჩევნია, იგი არა თავისუფალი აგენტის სტატუსით გაუშვას, არამედ გაყიდოს.

საქართველოს ნაკრების ორ განვლილ ოფიციალურ მატჩში აკაკის მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა მისი შეფასება მაინც საინტერესოა: *"მართალია, ბელარუსსა და ესპანეთთან გამართულ შეხვედრებს სათადარიგოთა სკამიდან ვადევნე თვალი, მაგრამ ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. ნაკრებში გასაოცარი ერთსულოვნებაა, ეროვნულ გუნდში გამოძახებული თითოეული ფეხბურთელი თავს გუნდისთვის საჭირო კაცად მიიჩნევს და ასეც არის. ძალიან ბედნიერი ვარ, ასეთი შეკრული და მეგობრული გუნდის წევრი რომ ვარ. ბელარუსთან და ესპანეთთან დავამტკიცეთ, რომ ბრძოლისა და სწორი თამაშის შემთხვევაში მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა შეგვიძლია. დარწმუნებული ვარ, საქართველოს ნაკრების პროგრესი მალე კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდება".*

**ლევან ჯანეზაშვილი**

● დუბლების ჩემპიონატი. V ტური

| | |
|---|---|
| დინამო (ბთ) – მეტალურგი | 2:2 |
| ჩიხურა – სიონი | 0:0 |
| დილა – დინამო (თბ) | 1:3 |
| ვიტ ჯორჯია – ზუგდიდი | 1:1 |
| კოლხეთი – ზესტაფონი | 1:1 |
| ტორპედო – მერანი | 3:0 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო (თბ) | 5 | 5 | 0 | 0 | 17-4 | 15 |
| 2. ზესტაფონი | 5 | 4 | 1 | 0 | 17-7 | 13 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 5 | 3 | 2 | 0 | 13-5 | 11 |
| 4. ჩიხურა | 5 | 2 | 1 | 2 | 5-6 | 7 |
| 5. კოლხეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 8-14 | 7 |
| 6. ტორპედო | 5 | 1 | 2 | 2 | 6-5 | 5 |
| 7. მეტალურგი | 5 | 1 | 2 | 2 | 11-11 | 5 |
| 8. დილა | 5 | 1 | 2 | 2 | 4-5 | 5 |
| 9. ზუგდიდი | 5 | 1 | 2 | 2 | 3-6 | 5 |
| 10. მერანი | 5 | 1 | 0 | 4 | 2-17 | 3 |
| 11. სიონი | 5 | 0 | 3 | 2 | 4-7 | 3 |
| 12. დინამო (ბთ) | 5 | 0 | 2 | 3 | 6-9 | 2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს თასი. მეთექვსმეტედფინალი. განმეორებითი მატჩები

# იშვიათი შემთხვევა...

18.09. მარტვილი. ცენტრალური. 100 მაყურებელი

**მერანი 0**

**სამტრედია 2**

პირველი მატჩი 0:0

0:1 ხაჭიპერაძე (23.გედენიძის პასით), 0:2 გედენიძე (90)

| მერანი (4-4-2) | სამტრედია (4-5-1) |
|---|---|
| შეროზია | კაკალიძე |
| მჭედლიშვილი | კუპრეიშვილი |
| იობაშვილი | ხაჭაპურიძე |
| ქარქუზაშვილი | ჩხიკვაიძე |
| კიკალიშვილი | ა.დვალიშვილი |
| გეგეჭკორი | კერძევაძე |
| ც. ბუკია | მ. ჟვანია |
| ფონიავა | როსტიაშვილი |
| გეგია | გ. მელქაძე |
| ტორონჯაძე | გედენიძე |
| ს. ლომია | ზ. ხაჭიპერიძე |
| მწვრთნელი: მ. ჟვანია | მწვრთნელი: ი. შენგელია |

**მერანი**

30. იობაშვილი - **ამბროლაძე**
46. ც. ბუკია - **დიდავა**
50. კიკალიშვილი - **ბ. ჩხეტიანი**
*სათადარიგოები: ბერია, მელიავა, კუჭუხიძე, მონიავა*

**სამტრედია**

46. ხაჭიპერიძე- **ბოხუა**
85. როსტიაშვილი- **რუხაია**
90. გედენიძე- **ქურდობაძე**
*სათადარიგოები: ბანძავა, თელია, კიკაბიძე, ახობაძე*
გაფრთხილება: ტორონჯაძე (52), კუპრეიშვილი (61), ბოხუა (75)
არბიტრი: ხ. გაგნიძე

სამტრედიაში ნათამაშები პირველი მატჩის(0:0) შემდეგ, წყვილის უდავო ფავორიტად მასპინძლები, მარტვილელი ფეხბურთელები მიიჩნეოდნენ. თუმცა, ვარაუდი არ გამართლდა და "მერანი" საკუთარ მოედანზე დამარცხდა. მასპინძელთა დამრიგებელმა **მალხაზ ჟვანიამ** მოედანზე გადახალისებული შემადგენლობა გაიყვანა. აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია გუნდის ერთ-ერთ ლიდერს **გიგა ჟვანიას** და ტრავმირებულ **ნოდარ ნოზაძეს.** გარდა ამისა, ძირითადში არ იყვნენ: **გიგა ამბროლაძე** და **გივი დიდავა.** მერანელთა შემადგენლობაში სადებიუტო შეხვედრა ითამაშა დუბლებიდან აღზევებულმა **გიორგი გეგიამ.**

როგორც მოსალოდნელი იყო, "მერანისა" და "სამტრედიას" დაპირისპირება დაძაბულად წარიმართა. თავდაპირველად მეტოქეებმა სახიფათო მომენტები გაცვალეს. ჯერ **ბიჭიკო გედენიძემ** გაისროლა საკმაოდ ძლიერად, მოგვიანებით კი გიორგი გეგიას დარტყმული გამოდგა არაზუსტი.

ტაიმის შუა წელს სამტრედიელები დაწინაურდნენ: დასარტყმელ პოზიციაზე გასულმა **ზაურ ხაჭიპერაძემ** ცრუ მოძრაობით გვერდი აუარა მცველს და დააწინაურა თავისიანები. ანგარიშის გათანაბრების ყველაზე რეალური შანსი უმაღლესლიგელებს შესვენებამდე რამდენიმე წუთით ადრე მიეცათ: **პაპუნა ფონიავას** გადაცემას მეტოქის საჯარიმოში არეულობა მოჰყვა, რითაც ისარგებლა **მამუკა ტორონჯაძემ,** მაგრამ ამ უკანასკნელის დარტყმული სანტიმეტრებით ასცდა მოწინააღმდეგის კარს.

მთლიანობაში მატჩს სანახაობრივს ვერ ვუწოდებთ, იმის მიუხედავად , რომ "მერანი" აგებდა და მინიმუმ ორი ბურთი ჰქონდა გასატანი, მარტვილელებს კარისაკენ მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში ხეირიანად არც კი დაურტყამთ, თუ არ ჩავთვლით შეცვლაზე შემოსული გივი დიდავას გადაცემის შემდეგ **საბა ლომიას** მახვილი კუთხიდან დარტყმულს, რომელიც **დავით კეკელიძემ** კუთხურზე მოიგერია. ნახევარმომენტი თუ ეთქმის **ბექა ჩხეტიანისა** და **გიგა ბოხუას** დარტყმებს, რომელსაც შედეგი არ მოჰყოლია.

ბოლოსკენ მასპინძლები ეცადნენ სიტუაციის გამოსწორებას, მათ ბურთზე კონტროლი მოიპოვეს, თუმცა ღირებული ვერაფერი შექმნეს. უფრო მეტიც, უკანასკნელ წუთზე მარჯვენა ფრთიდან კონტრშეტევა გაეპარათ, რომელიც საბოლოოდ, ბიჭიკო გედენიძის ახლო მანძილიდან გატანილი გოლით დასრულდა.

ამრიგად, საქართველოს თასის მეთექვსმეტედფინალური მატჩებიდან ყველაზე დიდი მოულოდნელობა, ალბათ, მარტვილში დაფიქსირდა. "სამტრედიამ" ბრძოლისა და მონდომების ხარჯზე საშინაო გუნდად წოდებული მარტვილის "მერანი" ნაადრევად გამოთიშა გათამაშებიდან.

**ბესიკ გვაზავა**
მარტვილიდან



ავტორის ფოტო



ლოკომოტივი-ვიტ ჯორჯია

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# ბევრი ლოგიკა და ცოტა სენსაცია

**გუშინდელი** მატჩების დიდი ნაწილი ლოგიკური შედეგებით დასრულდა, თუმცა მოულოდნელი ანგარიშებიც დაფიქსირდა. სენსაციად უნდა შევაფასოთ მარტვილის "მერანის" საშინაო მარცხი "სამტრედიასთან", მით უფრო, სტუმრად მიღწეული ფრის შემდეგ. "მერანი" ერთადერთი უმაღლესლიგელია, რომელმაც საქართველოს თასის მერვედფინალურ ეტაპს ვერ უწია.

**ლოკომოტივი-ვიტ ჯორჯია 1:2**

(პირველი მატჩი: 1:0)

**0:1 ზაქრაძე (47), 0:2 გოგიაშვილი (59), 1:2 გოროზია (77)**

ლოკომოტივი: **ბ. მიქავა – შალიკაშვილი (60. გაბაძე), ჭანტურია, მაკასარაშვილი, გურეშიძე – გოროზია, ცინცაძე, გუგუშვილი (71. ლუკავა), დ. მიქავა – დარციმელია, კიკაბიძე (46. სულთანიშვილი).**

ვიტ ჯორჯია: **დაუშვილი – ხურცილავა, გოგიაშვილი, გეთიაშვილი, ჯავაშვილი – ლიბრაძე, ვასაძე, გურეშიძე (69. კასრაძე) – ლანიაშვილი (46. ზაქრაძე), კორიფაძე (82. დავლაშელიძე), ჩიმაკაძე.**

პირველი მატჩი ჭაბუკებით დაკომპლექტებულმა "ლოკომოტივმა" მცხეთაში მოიგო და ამით მერვედფინალში გასვლაზე სერიოზული განაცხადი გააკეთა. თუმცა საპასუხო შეხვედრაში უფრო გამოცდილმა ვიტელებმა შეძლეს მობილიზება და სტუმრად გატანილი მეტი გოლის წყალობით ორი მატჩის ჯამში გაიმარჯვეს.

"მიხეილ მესხზე" გამართული მატჩი საკმაოდ საინტერესო სანახავი გამოდგა, "ვიტ ჯორჯიამ" კი გადამწყვეტ უპირატესობას მეორე ტაიმის დებიუტში მიაღწია. **ბექა ზაქრაძემ** ვეტერინარები მახვილი კუთხიდან დარტყმით დააწინაურა, **ჯემალ გოგიაშვილმა** კი კუთხურიდან მოწოდებული ბურთი გადაგზავნა მეტოქის კარში.

**მერაბ კოჭლაშვილის** გუნდმა ამის შემდეგ მხოლოდ ერთი ბურთი გაუშვა – **გოროზიამ** შორეული დარტყმით ანგარიშში სხვაობა შეამცირა. "ლოკომოტივი" ამის შემდეგაც თამამად უტევდა და რამდენიმე საგოლე მომენტიც გააფუჭა.

საბოლოოდ, შეუპოვარ ბრძოლაში გამარჯვება "ვიტ ჯორჯიას" დარჩა, "ლოკომოტივისთვის" კი ეს შედეგი ტრაგედია არ უნდა იყოს – პირველლიგელები თასის გათამაშებაზე განსაკუთრებულ გათვლებს ისედაც არ აკეთებდნენ, ამ ორრაუნდიანი დაპირისპირებით კი **გელა სანაიას** გუნდმა სასარგებლო გამოცდილება მიიღო.

**სპარტაკი-ლიახვი 5:1**

პირველი მატჩი: 1:2
18.09. თბილისი. „ბენდელა".
100 მაყურებელი

**1:0 თუხარელი (9), 2:0 მეტრეველი (14), 3:0 თუხარელი (31), 4:0 თუხარელი (33), 5:0 მეტრეველი (43), 5:1 ჭადაშვილი (47)**

სპარტაკი: **ნადირაძე, ჭაფოძე, ქურდაძე, თვალავაძე, ლემონჯავა, თუხარელი, ბურძენაძე, ვ. კილასონია (59. ზვიადაძე), თ. შონია (38. კაკაშვილი), დ. გელაშვილი, მეტრეველი (85. ხარაზიშვილი).**

ბუნებრივია, ამ წყვილში ფავორიტად ყველა "სპარტაკს" ასახელებდა, მაგრამ პირველ შეხვედრაში პირველი ლიგის დებიუტანტმა აჩაბეთის "ლიახვმა" სიურპრიზი შემოგვთავაზა. **უჩა ქანთარიას** გუნდმა ცხინვალელებს მოდუნება და დაშვებული შეცდომები არ აპატია და 2:1 მოიგო.

საპასუხო მატჩში კი სპარტაკელებმა რეალური ძალა წარმოაჩინეს და შესვენებამდე 5 უპასუხო გოლით "დაასაჩუქრეს" მეტოქე. მეორე ნახევარში **ვლადიმერ ხაჩიძის** ბიჭები ბურთზე კონტროლით, კომბინაციების დახვეწითა და სხვა ნიუანსებზე უფრო იყვნენ ორიენტირებული, ვიდრე გოლის გატანაზე. ამით ისარგებლეს სტუმრებმა და **ზვიად ჭადაშვილმა** პრესტიჟის გოლი გაიტანა. რაც შეეხება სპარტაკელთა გოლებს, ამ რეგიონულ სათასო დერბიში, **თორნიკე თუხარელმა** და **ზვიად მეტრეველმა** ბენეფისი მოიწყვეს. თუხარელმა ჰეთ თრიკი შეასრულა, მეტრეველმა კი დუბლი მიითვალა. სპარტაკელებს კიდევ შეეძლოთ გატანა, მაგრამ ამჯერად ხუთი გოლი იკმარეს.

აღსანიშნავია, რომ "სპარტაკის" კაპიტანმა **თეიმურაზ შონიამ** პირველი ტაიმის დასრულებამდე შეცვლა ითხოვა და კაპიტნის სამკლავური **ლევან ჭაფოძეს** გადაულოცა. თუმცა, როგორც შევიტყვეთ, შონიას მდგომარეობა საგანგაშო არაა. აღსანიშნავია ისიც, რომ ცხინვალელთა გუნდში დებიუტი ჰქონდა შემტევ ნახევარმცველ **გიორგი ზვიადაძეს**, რომელიც გასულ სეზონში „გაგრაში" ასპარეზობდა.

**სტუ-დინამო (თბ) 1:6**

პირველი მატჩი: 0:8

**0:1 ალვარო (4), 0:2 ვოსკობოინიკოვი (11), 0:3 ჩისკო (39), 0:4 ჩისკო (45), 0:5 ვოსკობოინიკოვი (55), 1:5 გოგატიშვილი (85), 1:6 გლიშიჩი (90)**

დინამო: **სეფიაშვილი – რეხვიაშვილი, ტვილდიანი, გ. კვარაცხელია, გლიშიჩი – ძარია (46. კვეკვესკირი), კოტო (61. პარუნაშვილი), ლექვთაძე – ალვარო, ჩისკო (46. დვალი), ვოსკობოინიკოვი.**

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ წყვილში გამარჯვებულის ბედი პირველივე მატჩში გაირკვა და დილმის საწვრთნელ ბაზაზე გამართული შეხვედრა, სადაც "დინამომ" პირობითი სტუმრის რანგში იმართებოდა, სრული ფორმალობა იყო და ორივე გუნდისთვის სასარგებლო სპარინგის ფუნქცია შეასრულა.

"დინამოს" ჩეხმა თავკაცმა **დუშან უჰრინმა** თავის გამოჩენის საშუალება რამდენიმე ისეთ ფეხბურთელს მისცა, რომელთაც ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა უჭირთ. მორიგ სათასო მატჩში გამოირჩა დედაქალაქელთა ესტონელი ფორვარდი **ვლადიმირ ვოსკობოინიკოვი**, რომელსაც არც ესპანელი **ჩისკო** ჩამორჩა და ორივემ დუბლი გაიფორმა.

**სხვა მატჩები**

| | |
|---|---|
| **იმერეთი-ზუგდიდი** | **2:3** |
| პირველი მატჩი: 1:4 | |
| **კოლხეთი (ფ)-სამგურალი** | **3:1** |
| პირველი მატჩი: 2:0 | |
| **კოლხეთი (ხ)-ჩიხურა** | **0:2** |
| პირველი მატჩი: 0:2 | |
| **შუქურა-მერცხალი** | **2:0** |
| პირველი მატჩი: 3:0 | |
| **დინამო (ბთ)-ჩხერიმელა** | **3:0** |
| პირველი მატჩი: 2:4 | |
| **სიონი-აეტი** | **3:3** |
| პირველი მატჩი: 3:1 | |

მერვედფინალიდან საქართველოს თასს ევროთასების მონაწილე კლუბები, **"ზესტაფონი", "დილა", "მეტალურგი"** და **"ტორპედო"** დაემატებიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**



სპარტაკი-ლიახვი 5:1

ს.კ. სპარტაკის პრესსამსახურის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

### ახალი სახე: ვანო წილოსანი



ვანო წილოსანი (ბურთით)

# საოცარი შეგრძნება

**დუბლების ჩემპიონატის ბოლო ტურში თბილისის "დინამო" გორის "დილას" "ქართლის" სტადიონზე დაუპირისპირდა და 3:1 გაიმარჯვა. მატჩის გმირი სტუმართა თავდამსხმელი ვანო წილოსანი გახლდათ, რომელმაც ჰეთ-თრიქი შეასრულა.**
**ამ 16 წლის ბიჭმა ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის ელიტრაუნდისა და ფინალური ეტაპის მატჩებიდან თავი ყველას კარგად დაგვამახსოვრა. განსაკუთრებით შთამბეჭდავი გამოდგა თბილისში უკრაინასთან შესრულებული სოლო-რეიდი, როდესაც სამ მეტოქეს თავბრუ დაახვია და თანაგუნდელს გამარჯვების ერთადერთი გოლი გაატანინა. "ლელოს" დღევანდელი სტუმარი ვანო წილოსანი ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოსმედალოსანია. "დინამოს" დუბლშემადგენლობის თავდამსხმელი განვლილ შეხვედრებსაც იხსენებს, ბავშვობას, თბილისის "დინამოში" გადასვლას და ა.შ.**

**- ახალგაზრდა ფეხბურთელის წარდგენისას, უპირველესად, იმ ხალხით ვინტერესდებით, ვინ გაზარდა და დააკვალიანა.**

- ლანჩხუთელი ვარ და თავიდან ავთო ნარიაშვილი მავარჯიშებდა. მერე ფეხბურთში ვარჯიში სერიოზულად რომ გადავწყვიტე, დანტეს ჯეჯელავა და დათო მელაძე მწვრთნიდნენ. ცოტა ხნით ვთამაშობდი ბათუმის "ლუკაში", სადაც "ფოქს სკიდსის" ფინალში გავედით და ნიკა ჭანტურიას "ლოკომოტივთან" წავაგეთ. მერე ისევ ლანჩხუთის "გურიაში" დავბრუნდი.

**- ნაკრებში როგორ მოხვდი?**

- "გურიას" მწვრთნელმა მითხრა, რომ ნაკრების სელექციონერები მოთამაშეებს არჩევდნენ და ბათუმში წამიყვანეს. იქ ერთმანეთს გურიისა და აჭარის ნაკრებები ხვდებოდნ. ჩემდა ბედად, შეხვედრას ვასილ მაისურაძეც ესწრებოდა. ერთი კვირის შემდეგ ზესტაფონში დამიბარეს, სადაც უკვე დასავლეთის ზონის ნაკრების წევრებს არჩევდნენ. ამის შემდეგ კი უკვე საბოლოო შეკრებაზეც გამომიძახეს.

ნაკრები საგურამოს ბაზაზე ვარჯიშობდა. ეტყობა, ცუდი შთაბეჭდილება არ დამიტოვებია, რადგან ზუსტად ერთ თვეში ისევ გამომიძახეს. კარგად მახსოვს, გლდანში, 50 მოთამაშე შევიკრიბეთ და მწვრთნელები ორი თვე გვაკვირდებოდნენ – ჯერ თბილისში, შემდეგ ზუგდიდში და ველოდებოდი, მოვხვდებოდი თუ არა საბოლოო სიაში.

მაშინ ჩემთვის ძალიან დიდი რამ მოხდა: ნაკრები თბილისის "დინამოს" ერთი წლით უფროსების გუნდს შევხვდით და მითხრეს, გვინდა, "დინამოს" აკადემიაში დარჩე და დაგაკვირდეთო. ლანჩხუთელისთვის "გურია" ყველაფერია, "დინამო" კი ყველა ქართველის საოცნებო კლუბია და ბედნიერი ვარ, ამ დიდ კლუბში რომ მოვხვდი.

**- ნაკრებში პირველი შეხვედრა გახსოვს?**

- პირველი ტურნირი აზერბაიჯანში გვქონდა, მაგრამ კოჭი მტკიოდა და ვერ წავედი. ნაკრების ფორმა პირველად საგურამოში, საკონტროლო შეხვედრის დროს ჩავიცვი - ეს მართლაც საოცარი შეგრძნება იყო.

**- ალბათ, ვერასოდეს წარმოიდგენდი, რომ ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი გახდებოდი.**

- ყველა ადამიანს მეტის მიღწევა სურს. მაგრამ გულახდილად რომ ვთქვათ, არც ერთ ჩვენგანს არ ჰქონდა გათავისებული, რა შეიძლება მომხდარიყო და ახლაც ბოლომდე ვერ ვხვდები, რა და როგორ გავაკეთეთ. საქართველოს ნაკრებს ხომ არათუ ევროპის ჩემპიონატზე არ ჰქონდა მედალი მოპოვებული, ჩვენამდე ფინალურ ეტაპზე სულ სამი ასაკობრივი ნაკრები გავიდა. ასეთი შედეგი ვერ წარმოგვედგინა. ბელარუსიის ტურნირზე მეორე ადგილი რომ დავიკავეთ, დავრწმუნდით, რომ აბსოლუტურად ყველა ნაკრებთან შეიძლებოდა თანაბარი ბრძოლის გამართვა და მოგება. ეს რომ სწორი დასკვნა იყო, მერე ლუქსემბურგში გამართულმა შეკრებამაც დაგვარწმუნა.

**- როდესაც ყველაფერი დასრულდა, მშვიდ გონებაზე წარმატება როგორ ახსენი?**

- ეს ერთსულოვნების, თავდადებისა და მწვრთნელებისა და ბიჭების იდეალური ურთიერთობის შედეგია.

**- ყურადღება ყოველთვის ეროვნული ნაკრების მიმართ არის მიპყრობილი. ამ დროს საინტერესოა, რა პირობებში ემზადება თქვენი გუნდი.**

- ძალიან კარგ პირობებში. ყოველ შემთხვევაში, ყველაფერი გაგვიკეთეს, წარმატებისთვის რომ მიგველწია – გვქონდა ბევრი შეკრება, ტურნირები, საკონტროლო მატჩები და ევროპაში თავი უცხოდ არ გვიგვრძნია, ახალ გარემოსთან ადვილად შეგუება და ადაპტაცია ვისწავლეთ. ეს ფეხბურთში ძალიან ბევრს ნიშნავს. თამაშები კი შეთამაშებაში დაგვეხმარა. არადა, წაგების მიზეზი ხშირად შეუთამაშებლობაა. სულ სხვა იყო ნაკრები დასაწყისში და სულ სხვა ევროპის ჩემპიონატზე – ბიჭები ნელ-ნელა გაიხსნენ.

**- და მაინც - ეს ბრინჯაოს მედალი დიდი გზის დასაწყისია, რომელსაც ნიჭიერი მოთამაშე მხოლოდ დიდი შრომითა და მოთმინებით გაივლის. გულშემატკივარს კი ეშინია, ბევრი თაობასავით, თქვენც თვითკმაყოფილებას არ მიეცეთ.**

- სხვათა შორის, ამაზე ბევრი მიფიქრია და მიმაჩნია, რომ ეს წარმატება ჩემს კარიერაში მხოლოდ ერთი ფურცელია, რომელიც უკვე წარსულს ჩაჰბარდა. ამას არასოდეს დავივიწყებ, მაგრამ წინ უნდა გავიხედო. თორემ, მხოლოდ ამ "ფურცლით" გზას ვერ გავივლით. სიმართლე გითხრათ, კმაყოფილების გრძნობა არ მაქვს. უფრო რაღაც დამაკლდა, რადგან ფინალში ვერ გავედით. იქ რაც მსაჯმა გააკეთა, ყველამ ნახა. მაგრამ რომ დავფიქრდები, ვინ იცის, ასეთი შანსი კიდევ როდის მოგვეცემა.

იმაზეც მიფიქრია, რომ პატარა ასაკში მხოლოდ ჩვენ არ გამოგვიჩენია თავი. საქართველოს ასაკობრივი ნაკრებები წარმატებებს ხშირად აღწევენ, მაგრამ დიდებში ასე არ არის და სულ ვფიქრობ, რატომ? დიდების დატვირთვებს ვერ ვუძლებთ, საქმეს არასწორად ვუდგებით თუ მიზეზი რა არის?

**- იმიტომ, რომ ბევრი უცხოეთში ვერ მიდის და ადგილზე ვერ იზრდება?**

- ესეც მნიშვნელოვანია, მაგრამ მიმაჩნია, რომ უახლოესი ორი წელი გაზრდაზე უნდა ვიფიქრო და არა მხოლოდ უკეთეს ლიგაში გადასვლაზე ან ფინანსურ მდგომარეობაზე. ფული კარგია, მაგრამ თუ არ გაიზარდე, ყურადღებას მხოლოდ ძველი წარმატებისთვის არ მოგაქცევენ. ფიზმომზადება, თეორიული და ტაქტიკური მომზადება თუ სრულწლოვნებამდე არ შეიძინე, მერე ევროპაში ძალიან გაგიჭირდება. ჰოლანდიას ჰყავდა ფეხბურთელი, რომელიც ყველა ამ კომპონენტით ასაკზე მაღლა იდგა. იმიტომ, რომ ერედივიზიონის "ალკმაარში" თამაშობდა და დიდებთან უფრო გაიზარდა. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ჩემთვის "დინამოს" დუბლშემადგენლობაში თამაშიც ბევრს ნიშნავს.

**- უცხოეთში 17-წლამდელების ბევრი ფეხბურთელი მიიწვიეს, შენს წინადადებებზე კი არაფერი გვსმენია.**

- ვიცი, რომ წინადადებები იყო, მაგრამ კონკრეტულად ჩემთვის არაფერი უთქვამთ. "დინამოს" ფეხბურთელი ვარ და ამ საკითხზე გუნდში უფრო მეტი ეცოდინებათ. ისედაც, სრულწლოვნებამდე ევროკავშირის ქვეყანაში პრობლემა შემექმნება. უცხოეთში კარგია, მაგრამ გაურკვევლად წასვლას აქ ვარჯიში და თამაში მირჩევნია.

### საიუბილეო გოლის ავტორი

## მერაბ გიგაური:

# ისტორიაში მოხვედრა საამაყოა

**თბილისის „დინამო" ერთადერთი კლუბია, რომელიც დამოუკიდებელი ეროვნული ჩემპიონატის უკლებლივ ყველა (24) გათამაშებაში მონაწილეობდა. მას მხოლოდ ქუთაისის "ტორპედო" ჩამორჩება, რომლისთვისაც მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატი რიგით 21–ეა.**

630-ე მატჩში ქუთაისელებმა უკვე 1103-ე გოლი გაიტანეს. საიუბილეო გოლზე ბევრი დაიწერა – ის 15 სექტემბერს გავიდა, როდესაც "ტორპედომ" საკუთარ სტადიონზე მარტვილის "მერანი" 4:0 დაამარცხა.

გოლის ავტორ **მერაბ გიგაურზე** კი ნაკლები ითქვა – 19 წლის საყრდენი ნახევარმცველი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატი გახლავთ და გასული სეზონი პოლონეთის ექსტრაკლასას "იაგელონიაში" ჩაატარა.

უმაღლეს ლიგაში „ტორპედოს" მიერ გატანილი 1100-ე გოლის ავტორი გუნდის ისტორიის განუყოფელი ნაწილი გახდა, რადგან ასეთი ამბები დავიწყებას არ ეძლევა.

*"თამაშამდე ვფიქრობდი, ვინ იცის, "ტორპედოს" ფორმით რამდენს გაუტანია, მაგრამ ისტორიას ასეთი გოლების ავტორები ამახსოვრდება-მეთქი. მარტვილის "მერანთან" გუნდმა ძალიან კარგად ითამაშა. ცხადია, გამარჯვება სასიხარულოა, საიუბილეო გოლის ავტორობა კი - საამაყო. "ტორპედო" საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეული კლუბია და მის ისტორიაში ჩაწერა ძალიან მახარებს"* – ამბობს გიგაური.

ახალგაზრდა ფეხბურთელი ამბობს, რომ "ტორპედოში" დაბრუნებით კმაყოფილია: *"სიმართლე გითხრათ, პოლონეთში გატარებული სეზონის შემდეგ, საქართველოში დაბრუნებაზე არც ვფიქრობდი. ეს გასაკვირი არავისთვის უნდა იყოს: პოლონეთი ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყანაა, ჩვენზე მაღალი დონის ჩემპიონატი ქვთ და ბევრად უკეთესი მოსამზადებელი პირობები აქვთ.*

*მაგრამ "ტორპედოში" აბსოლუტურად შეცვლილი გარემო დამხვდა, ძალიან მეგობრული და საქმიანი. ეს ეხება ყველას, ფეხბურთელებს, მწვრთნელებს, ხელმძღვანელებს, რაც ჩვენს გამოსვლასაც დაეტყო – ხუთი ტურის შემდეგ "ტორპედო" პირველ ადგილზეა. ასეთ გარემოში მოხვედრას ნებისმიერი მოთამაშე ინატრებს და სიმართლე გითხრათ, პოლონეთიდან დაბრუნებას სულაც არ ვნანობ. რაც მთავარია, სათამაშო პრაქტიკა მაქვს".*

ალსანიშნავია, რომ "ტორპედოს" საიუბილეო გოლის ავტორები ორჯერ გახდნენ **მამუკა ხუნდაძე** და **გია მეგრელაძე** – პირველმა მე-200 (10.05.1993) და მე-300 (19.11.1994) გოლები გაიტანა, მეორემ კი მე-500 (04.09.1997) და მე-900 (14.08.2004).



მერაბ გიგაური

### ლეგიონერები

# გაგრელები ერთმანეთს უკრაინაში შეხვდნენ

ეს სურათი შაბათს არის გადაღებული: უკრაინის პრემიერლიგის მორიგ ტურში მარიუპოლის "ილიჩევეცისა" და ლუცკის "ვოლინის" დაპირისპირება 0:0 დასრულდა.

შეხვედრა იმით იყო ალსანიშნავი, რომ ერთმანეთს პირველად დაუპირისპირდნენ "გაგრას" ყოფილი ლიდერები: "ილიჩევეცის" რიგებში სრულად ითამაშეს **თორნიკე ოქრიაშვილმა** და **დავით თარგამაძემ**. "ვოლინში" კი "გაგრადან" იჯარით გადასული **აბაიომი სეუნ ოვონიკოკოს** დებიუტი შედგა: ლუცკელთა მთავარმა მწვრთნელმა **ანატოლი დემიანენკომ** საქართველოს პასპორტის მქონე ნიგერიელი თავდამსხმელი მოედანზე 79-ე წუთზე შეიყვანა. მართალია, ოვონიკოკოს გოლი არ გაუტანია, მაგრამ საკმაოდ აქტიური იყო. ოქრიაშვილი და ოვონიკოკო კი, წელიწადნახევრის წინ "გაგრაში" გვერდიგვერდ თამაშობდნენ.

ალსანიშნავია, რომ თარგამაძე კლუბს მცირე ტრავმით დაუბრუნდა. საქართველოსა და ესპანეთის ნაკრებების შეხვედრისას ბევრს გაუკვირდა, **თემურ ქეცბაიამ** 64-ე წუთზე თარგამაძე **ნიკა ძალამიძით** რომ შეცვალა. როგორც შევიტყვეთ, მიზეზი თარგამაძის ტრავმა იყო – 22 წლის შემტევ ნახევარმცველს კუნთი დაეჭიმა. საბედნიეროდ, საშიში არაფერი აღმოაჩნდა და მოედანსაც მალე დაუბრუნდა.

გვერდი მოამზადა **მერაბ მამულაშვილმა**



მარცხნიდან: დავით თარგამაძე, ოვონიკოკო, თორნიკე ოქრიაშვილი

ჩემპიონთა ლიგა. I ტური. ოთხშაბათის მატჩების წინ

# მთავარი ჯახი ლონდონშია

**E ჯგუფი**

**ჩელსი–იუვენტუსი 22:45**

ოთხშაბათის ტოპ-მატჩი „სტემფორდ ბრიჯზე" გაიმართება: ჩემპიონთა ლიგის მოქმედი გამარჯვებული „ჩელსი" იტალიის ჩემპიონ „იუვენტუსს" მასპინძლობს. ლონდონელებმა სეზონი კარგად დაიწყეს: ოთხი ტურის შემდეგ პრემიერლიგის სატურნირო ცხრილს სათავეში უდგანან, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ **რომან აბრამოვიჩი** სწორად მოიქცა, **რობერტო დი მატეო** მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე რომ დატოვა. იტალიელ სპეციალისტს **ხუან მატა** გამოუჯანმრთელდა და ეს უკანასკნელი „იუვესთან" სავარაუდოდ ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს.

რაც შეეხება იტალიის უძლეველ ჩემპიონს: ტურინელები ევროპის ელიტას ორწლიანი პაუზის შემდეგ უბრუნდებიან, რაც მათ ჩემპიონთა ლიგაში კარგ გამოსვლას ავალდებულებს. თანაც, საფეხბურთო იტალიას „მილანის" იმედი ნაკლებად აქვს და თამამად შეიძლება ითქვას, რომ სერია A-ს პრესტიჟის დაცვა პირველ რიგში სწორედ „ბებერ ქალბატონს" ევალება. ექსპერტების საკმაოდ დიდი ნაწილის აზრით, **ანტონიო კონტეს** ფორმაციის „იუვე" ძველ „იუვეს" ჰგავს - გუნდს, რომელსაც აქვს იმის პოტენციალი, რომ ევროპაში ძველებურად დაიქუხოს. საჩემპიონო სეზონში ტურინელებმა არც ერთი მატჩი არ წააგეს და ამ სეზონშიც ასპროცენტიანი შედეგით (3 მოგება 3 ტურის შემდეგ) ინონებენ თავს.

აქვე ვთქვათ, რომ კონტეს დისკვალიფიკაცია ჩემპიონთა ლიგაშიც ვრცელდება, რაც იმას ნიშნავს, რომ სათადარიგოთა სკამიდან „იუვენტუსს" ანტონიოს ასისტენტი **მასიმო კარერა** უხელმძღვანელებს. ფაქტია, რომ კონტეს არყოფნა ტურინულ გრანდს ჯერ არ დასტყობია. ტურინელებს ბრაზილიელი მცველი **ლუსიო** ჰყავთ დაშავებული.





ჩელსის და იუვენტუსის შემოქმედები: ფრენკ ლემპარდი და ანდრეა პირლო

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ჩელსი (4-3-3):** ჩეხი - ივანოვიჩი, კეჰილი, ტერი, ე. კოული - რამირესი, მიკელი, ლემპარდი - აზარი, ტორესი, მატა.

**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი - ბარძალი, ბონუჩი, კიელინი - ლიხტშტაინერი, ვიდალი, პირლო, მარკიზიო, ასამოა - ჯოვინკო, ვუჩინიჩი.

**არბიტრი:** პედრო პროენშა (პორტუგალია)

**შახტარი–ნორდსიელანდი 22:45**

ჯგუფის მეორე მატჩი „ჩელსი"-„იუვენტუსის" ჩრდილშია: „შახტარი" დონეცკში ჩემპიონთა ლიგის დებიუტანტ „ნორდსიელანდს" დაუპირისპირდება. ლონდონური და ტურინული გრანდების გამწარება ამ წყვილიდან მხოლოდ „შახტარს" შეუძლია, დანიის ჩემპიონი კი აშკარა აუტსაიდერია. ლოგიკურად, უკრაინელებს სამი ქულის მოპოვება არ უნდა გაუჭირდეთ, რადგან **მირჩა ლუჩესკუს**, რომელიც დონეცკში რვა წელია მუშაობს, ევროსარბიელზე გამობრძმედილი და კარგად შეთამაშებული გუნდი ჰყავს.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**შახტარი (4-2-3-1):** პიატოვი - სრნა, ჩიგრინსკი, რაკიცკი, რაცი - სტეპანენკო, ფერნანდინიო - ვილიანი, ალექს ტეიშეირა, დუგლას კოშტა - მხითარიანი.

**ნორდსიელანდი (4-3-3):** ჰანსენი - მტილიგა, ოკორე, რუნიე, პარხურსტი - სტოკჰოლმი, ადუ, კრისტენსენი - ლორენტზენი, მეკმანი, იონი.

**არბიტრი:** პაველ ჟილი (პოლონეთი)

**F ჯგუფი**

**ბაიერნი–ვალენსია 22:45**

საკუთარ მოედანზე ჩემპიონთა ლიგის ფინალის წაგებისა და ბუნდესლიგაში ზედიზედ ორჯერ უტიტულოდ დარჩენის შემდეგ „ბაიერნის" ხელმძღვანელებმა ჯიბეზე ხელი გაიკრეს და რეკორდმაისტერი მნიშვნელოვნად გააძლიერეს. შედეგიც სახეზეა: მართალია, „ბილბაოდან" 40 მილიონ ევროდ ნაყიდ **ხავი მარტინესს** ამაში წვლილი ნაკლებად მიუძღვის, მაგრამ მიუნხენურმა გრანდმა სეზონი იდეალურად დაიწყო და ცხრილს უდანაკარგოდ ლიდერობს. ევროსარბიელზე მორიგ ალმართს კი ბავარიელები „ვალენსიასთან" საშინაო მატჩით შეუყვებიან. „ბაიერნის" თავკაც **იუპ ჰაინკესს** მთავარი შემოქმედები, **ფრანკ რიბერი** და **არიენ რობენი** საბოლოოდ გამოუჯანმრთელდნენ და მოედანზე გასვლა ორივეს შეუძლია. **მარიო გომესი** კვლავ ტრავმირებულია, მაგრამ „ბაიერნის" ფანებს მისი არყოფნა დღემდე არ უგრძნიათ, რადგან ცენტრფორვარდის პოზიციაზე **მარიო მანჯუკიჩი** ბრწყინავს.

„ვალენსიას" ჯგუფში ყველაზე რთული მატჩი სწორედ პირველ ტურში უწევს და ესპანელები დღეს ფრეზეც სიამოვნებით მოაწერენ ხელს. პრიმერადივიზიონის მესამე გუნდმა, რომელიც ამ სტატუსს წლებია ინარჩუნებს, ზაფხულში სერიოზულ ტრანსფერებზე უარი თქვა. სამაგიეროდ, ახალი კაცია მწვრთნელი **მაურიციო პელეგრინო**, რომელიც ჩემპიონთა ლიგის 2001 წლის ფინალში თავად თამაშობდა და „ბაიერნთან" პენალტების სერიაში წაგებულ მატჩში **ოლივერ კანს** თერთმეტმეტრიანი ვერ გაუტანა.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი - ლამი, ჟ. ბოატენგი, დანტე, ბადშტუბერი - ლუის გუსტავო (ან ხავი მარტინესი), შვაინშტაიგერი - თ. მიულერი, კროოსი, რიბერი - მანჯუკიჩი.

**ვალენსია (4-2-3-1):** დიეგო ალვეში - ჟოაო პერეირა, რამი, რუისი, სისოკო - პარეხო, ტინო კოსტა - ფეგული, ჟონასი, გუარდადო - სოლდადო.

**არბიტრი:** ფირათ აიდინუსი (თურქეთი)

**ლილი–ბატე 22:45**

მეორე მატჩში ერთმანეთს აუტსაიდერებად შერაცხილი „ლილი" და ბატე ხვდებიან. ფრანგულმა კლუბმა, რომელსაც მაინც აქვს ჯგუფიდან გასვლის ამბიცია, **ედენ აზარის** სახით უმთავრესი ლიდერი დაკარგა. სამაგიეროდ, „ლილს" ახალი სტადიონი აქვს, რომელიც 50 000 მაყურებელს იტევს - 35 000 აბონემენტი გაყიდულია! საკუთარი სტადიონის იმედი ვერ ექნება ბატე-ს, რადგან ბორისოვოს არენა უეფას სტანდარტებს არ აკმაყოფილებს, რის გამოც ბელარუსის ჩემპიონმა საშინაო მატჩები ისევ მინსკში უნდა ჩაატაროს. ბატე-ს ლიდერი **ალიაკსანდრ გლებია**, რომელმაც ტრავმა მოიშუშა და დღეს მოედანზე გასვლა შეუძლია.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ლილი (4-3-3):** ლანდრო - დებუში, ბერია, შედიუ, დინიე - მარტინი, მავუბა, ბალმონტი - პაიე, რუ, დე მელო.

**ბატე (4-3-1-2):** გორბუნოვი - რადკოვი, პოლიაკოვი, შიმიჩი, ბორდაჩევი - ვოლოდკოვი, ლიხტაროვი, სივაკოვი - გლები - როდიონოვი, მოზოლევსკი.

**არბიტრი:** მარტინ ბორსკი (პოლონეთი)

**G ჯგუფი**

**ბარსელონა–სპარტაკი 22:45**

„ბარსა" ჩემპიონთა ლიგის თასისთვის ბრძოლას მოსკოვის „სპარტაკთან" საშინაო მატჩით იწყებს. კატალონიელებს კვლავ არ ეყოლებათ **ანდრეს ინიესტა**, რომელიც თბილისში დაშავდა, მაგრამ რუსეთის სახალხო გუნდს ალბათ მის გარეშეც იოლად დაამარცხებენ. ფაქტია, რომ „ბარსა" კარგ ფორმაშია, რადგან ახალი მწვრთნელის, **ტიტო ვილანოვას** ხელში პრიმერადივიზიონის ოთხივე თამაში მოიგო, **ლეო მესის** ანგარიშზე კი უკვე 6 გოლია.

„სპარტაკს" **უნაი ემერის** სახით ახალი მწვრთნელი და კარგი წინა ხაზი ჰყავს. სამაგიეროდ, მოსკოველებს დაცვაში უჭირთ - რუსეთის ჩემპიონატში რვა ტურის შემდეგ მე-7 ადგილზე იმყოფებიან და 14 (!) გოლი აქვთ გაშვებული...

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, პიკე, მასკერანო, ადრიანო - ჩავი, ბუსკეტსი, ფაბრეგასი - პედრო, მესი, ვილია.

**სპარტაკი (4-2-3-1):** დიკანი - დ. კომბაროვი, ინსაურალდე, სუხი, კ. კომბაროვი - რომულო, კალსტრიომი - მაკგიდი, არი, ბილიალეტდინოვი - ძიუბა.

**არბიტრი:** მილორად მაჟიჩი (სერბეთი)

**სელტიკი–ბენფიკა 22:45**

„სელტიკისა" და „ბენფიკას" დაპირისპირება მეორე ადგილისთვის ბრძოლის უშუალო დუელია, რომელშიც გლაზგოურ კლუბს უმთავრესი ფეხბურთელი, **გიორგიოს სამარასი** დააკლდება - ბერძენი შემტევი ტრავმირებულია!

*„პირველივე მატჩში მისი არყოფნა ჩვენთვის უდიდესი დანაკლისია. „ბენფიკასთან" უმნიშვნელოვანესი მატჩი გვაქვს და ძალიან მინდოდა, რომ სამარასს ამ შეხვედრაში მონაწილეობა მიეღო,"* - ეს „სელტიკის" თავკაც **ნეილ ლენონის** სიტყვებია, რომელიც იმედოვნებს, რომ სამარასი „სპარტაკთან" მატჩამდე (2 ოქტომბერს) მაინც გამოჯანმრთელდება.

ლიდერი ლისაბონელებმაც დაკარგეს - ოღონდ, სავარაუდოდ, სამუდამოდ: **აქსელ ვიტსელი** „ზენიტში" გადავიდა, რაც „ბენფიკას" თავკაც **ჟორჟე ჟესუსისთვის** დიდი დანაკლისია. ორი წელია, „ბენფიკა" უტიტულოდ რჩება და ეს უკანასკნელიც უკვე წნეხის ქვეშაა მოქცეული. ვიტსელში აღებული თანხის ნაწილი (13.5 მილიონი ევრო) „ბენფიკამ" **სალვიოში** დახარჯა და ლისაბონელებს ახლა მისი იმედი აქვთ.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**სელტიკი (4-4-2):** ფორსტერი - ლუსტიგი, ვილსონი, მულგრევი, ისაგირე - ფორესტი, ვანიამა, ბრაუნი, კომონსი - ჰუპერი, მიკუ.

**ბენფიკა (4-4-2):** მორაესი - პერეირა, ვიტორი, გარაი, მელგარეხო - სალვიო, მარტინსი, აიმარი, ნოლიტო - კარდოსო, როდრიგო.

**არბიტრი:** ნიკოლა რიცოლი (იტალია)

**H ჯგუფი**

**მანჩესტერ იუნ.–გალათასარაი 22:45**

H ჯგუფის უმთავრესი ფავორიტი „მანჩესტერ იუნაიტედია", თუმცა, სანამ ამას დავწერდით, რამდენიმე წამი ვიფიქრეთ, რადგან **სერ ალექს ფერგიუსონის** სამწყსო შარშანდელ ჯგუფშიც ფავორიტად მიიჩნეოდა...

თუმცა „იუნაიტედი" მნიშვნელოვნად გაძლიერდა: ფერგიმ დორტმუნდის „ბორუსიადან" **შინჯი კაგავა**, „არსენალიდან" კი პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირი **რობინ ვან პერსი** გადაიბირა. **უეინ რუნის** დაბრუნება გამორიცხული არ არის, მაგრამ საეჭვოა, **ნემანია ვიდიჩი** კი ბრუნდება და დაცვის ხაზს სტაბილურობას შემატებს.

„იუნაიტედი" დღეს თურქეთის ჩემპიონ „გალათასარაის" ეთამაშება, რომელსაც ტრავმის გამო დაცვის ბურჯი **ტომაშ უიფალუში** აკლია. მიუხედავად ამისა, „გალას" თავკაცი **ფატიჰ თერიმი** მაინც იმუქრება - „ოლდ ტრეფორდზე" ბრძოლით „თავს მოვიკლავთ" და ყველაფერს გავაკეთებთა საიმისოდ, რომ „გალათასარაი" ჩემპიონთა ლიგაში ღირსეულად დაბრუნდესო. თერიმის განკარგულებაში რამდენიმე ძალიან საინტერესო ფეხბურთელია: მეკარე **მუსლერა**, რომელიც ქომაგებს „ლაციოდან" ეხსომებათ, ექს-არსენალელი **ებუე**, ექსლიონელი **კრისი**, ექსიუვენტუსელი **ფელიპე მელო**, თურქეთის ჩემპიონატის მოქმედი ბომბარდირი **ბურაქ ილმაზი**, შეედი გოლეადორი **ელმანდერი** და **სელჩუკ ინანი**, რომელიც „გალას" ფანებს ყველაზე მეტად უყვართ.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**მანჩესტერ იუნაიტედი (4-2-3-1):** ლინდეგორი - რაფაელი, ვიდიჩი, ფერდინანდი, ბიუტნერი - სქოულზი, ქერიკი - ვალენსია, კაგავა, ნანი - ვან პერსი.

**გალათასარაი (4-3-3):** მუსლერა - ებუე, კრისი, კაია, ბალთა - მელო, ინანი, ა. ილმაზი - ელმანდერი, ბ. ილმაზი, ამრაბატი.

**არბიტრი:** ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

**ბრაგა–კლუჟი 22:45**

„ბრაგას" აქვს საკმარისი გამოცდილება იმისათვის, რომ „გალათასარაის" (და არა მარტო) ებრძოლოს, მაგრამ გუნდის ახალმა მწვრთნელმა ჟოზე პესეირომ აგვისტოს ბოლოს გოლეადორი ლიმა დაკარგა - ეს უკანასკნელი „ბენფიკაში" გადავიდა, „ბრაგამ" კი მისი შემცვლელის ყიდვა ველარ მოასწრო. „კლუჟს" რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი ჰყავს დაშავებული, რომელთა შორის ყველაზე ცნობილი ნახევარმცველი ჩიპრიან დეაცია.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბრაგა (3-4-3):** ბეტუ - დუგლაო, ისმაილი, ვინიჩიუსი - ლ. სალინო, კუშტოდიო, უგო ვიანა, მოსორო - ედერი, ალანი, ბარბოსა.

**კლუჟი (4-4-1-1):** ფელგეირაში - ივო პინტუ, კადუ, რადა, კამორა - რ. ბასტოსი, გოდემეჩა, მურესანი, რუი პედრო - კაპეტანოსი - სოუგუ.

**არბიტრი:** პეტერ რასმუსენი (დანია)

**გოტფრიდ ლენცი**



## იბრა პარიზში დამშვიდდა

### ინძაგის, კაპელოსა და მოურინიოს შესახებ...

"გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტი ზლატან იბრაჰიმოვიჩს საფრანგეთში შეეხმიანა და საინტერესო თემებზე ჩამოუგდო სიტყვა. იბრას მოკლე კომენტარები უნდა გაეკეთებინა და ვფიქრობთ, მისი მოსაზრებების გაცნობა თქვენთვისაც საინტერესო უნდა იყოს...



ზლატან იბრაჰიმოვიჩისთვის ფილიპო ინძაგი საუკეთესო პარტნიორი იყო

**საფრანგეთი**

თავს გაცილებით მშვიდად ვგრძნობ ვიდრე იტალიაში, ესპანეთში ან თუნდაც ჰოლანდიაში. მრჩება შთაბეჭდილება, რომ საფრანგეთში ხალხი მხოლოდ თავისი ცხოვრებით ცხოვრობს და ჩემი ნაკლებად აინტერესებთ. ყოველ შემთხვევაში, პარიზში გაცილებით უფრო თავისუფლად დავდივარ ქუჩაში, ვიდრე მილანში და ბარსელონაში. დღეს, ეს ყველაზე მეტად მჭირდებოდა.

**პსჟ**

ახალ გუნდში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და არც მოტივაციასთან დაკავშირებით მაქვს პრობლემები. პსჟ საფრანგეთში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გუნდია და მას უამრავი გულშემატკივარი ჰყავს. მათი მოთხოვნა ყველა ტურნირზე გამარჯვებაა და მიზნადაც ეს გვაქვს დასახული. ბევრს ჰგონია, რომ საფრანგეთის ჩემპიონატს უპრობლემოდ მოვიგებთ და ჩვენი მთავარი ამოცანა ჩემპიონთა ლიგაზე წარმატებით გამოსვლა უნდა იყოს - ასე ნამდვილად არაა საქმე და გასულმა სეზონმა ეს კარგად დაგვანახვა... საფრანგეთის ჩემპიონატში გამარჯვება არც ისე იოლი საქმეა, შესაძლოა კიდევ უფრო ძნელი, ვიდრე ევროპის უპრესტიჟულესი საკლუბო ტურნირის.

**მილანი**

"მილანი" ჩემი მეორე სახლია და იქ ყოველთვის დიდი სიამოვნებით დავბრუნდები. იმედი მაქვს, გუნდი მალე დააღწევს თავს მცირე ჩავარდნას და ჩვეულად ათამაშდება. გუნდს ამის რესურსი შესწევს და მჯერა, **მასიმილიანო ალეგრი** გამოსავალს მალე იპოვის.

**საუკეთესო პარტნიორი**

**ფილიპო ინძაგი**, რომელიც თითქოს ფეხბურთელსაც არ ჰგავდა, მაგრამ თავის საქმეს შესანიშნავად აკეთებდა. როდესაც პიპო მეტოქის საჯარიმოში შედიოდა, გოლის ალბათობა მნიშვნელოვნად იზრდებოდა. მას "მკვლელის" ინსტინქტი ჰქონდა და საგოლე ალღო არასდროს ღალატობდა. ინძაგი უდავოდ ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია.

**საუკეთესო მწვრთნელი**

**ფაბიო კაპელო და ჟოზე მოურინიო.** ერთმანეთს ძალიან ჰგვანან, თუმცა იტალიელი უფრო ძველი ყაიდის მწვრთნელთა კატეგორიას მიეკუთვნება, პორტუგალიელი კი თანამედროვე ტენდენციების კანონმდებელია. კაპელო მხოლოდ ერთ რამეს მთხოვდა: გამეტანა გოლები, მოურინიო კი მოედნის ყველა მონაკვეთზე ბრძოლას ითხოვს. ვფიქრობ, ჟოზე და ფაბიო ყველასგან გამორჩეული მწვრთნელები არიან.

**ლაშა წიკლაური**

ეროვნული

# უცხოური ფეხბურთი

## პასი ამერიკიდან. ბრაზილია. სერია A XXV ტური

# სენსაციები, სენსაციები...

**ფლუმინენსე-ატლ. გოიან. 1:2**

**გოლები:** 0:1 დიეგო ჯარეტა (18), 0:2 რენიე (45), 1:2 მაიკლი (64).

**სან პაულო-პორტუგეზა 3:1**

**გოლები:** 1:0 ოსვალდო (6), 1:1 ბრუნო მინეირო (37), 2:1 კორტესი (57), 3:1 ლუიშ ფაბიანო (78).

**პალმეირასი-კორინთიანსი 0:2**

**გოლები:** 0:1 რომარინიო (22), 0:2 პაულინიო (54).

**კრუზეირო-ვასკო და გამა 1:1**

**გოლები:** 1:0 რენატო სილვა (4-საკ. კარში), 1:1 ნილტონი (28).

**კურიტიბა-სანტოსი 1:2**

**გოლები:** 1:0 დეივიდი (10), 1:1 ნეიმარი (71), 1:2 ნეიმარი (83).

**ნაუტიკო-ატლ. მინეირო 1:0**

**გოლები:** 1:0 სოუზა (49).

**ბაია-ფიგეირენსე 2:1**

**გოლები:** 0:1 ჟულიო სეზარი (33), 1:1 ელდერი (73), 2:1 კლაუდიო პიტბული (90).

**ფლამენგო-გრემიო 1:1**

**გოლები:** 0:1 მორენო (18), 1:1 ადრიანი (62).

**ინტერნას.-სპორტ რესიფე 2:2**

**გოლები:** 0:1 რიტიელი (36), 0:2 ჟილსინიო (42), 1:2 კასიანო (63), 2:2 ლეანდრო დამიაო (76)

**პონტე პრეტა-ბოტაფოგო 0:0**

**სერია A-ს 25-ე ტური მართლაც სენსაციური გამოდგა. პირველ ოთხ ადგილზე მყოფი გუნდიდან გამარჯვება ვერც ერთმა მოიპოვა, მაგრამ თუ "ვასკო და გამამ" და "გრემიომ" ძლიერ მეტოქეებთან, თანაც სტუმრად, ქულა აილეს, "ატლეტიკო" და "ფლუმინენსე" დამარცხდნენ, განსაკუთრებით მოულოდნელი "ფლუს" მარცხი იყო...**

### საოცარი მატჩი ვოლტა რედონდაში

"ფლუმინენსე" ბოლოზე მყოფ გოიანიას "ატლეტიკოს" ქალაქ ვოლტა რედონდაში მასპინძლობდა. ამ ტურს **აბელ ბრაგას** გუნდი 12-მატჩიანი წაუგებელი სერიით შეხვდა. ყველა ტურნირზე ჩატარებულ ბოლო 25 შეხვედრაში კი "ფლუს" მხოლოდ ერთი ჰქონდა წაგებული ("გრემიოსთან" ჩემპიონატში). ამასაც, რომ თავი გავანებოთ, "ფლუ" რეკორდსმენი იყო – აქამდე არც ერთ გუნდს 25 ტურის შემდეგ 53 ან მეტი ქულა არ მოეგროვებინა. ამ ყველაფრის ფონზე, მატჩი ძალიან უცნაური სანახავი იყო – უპირატესობას ხომ "ატლეტიკო გოიანიენსე" ფლობდა და პირველ ტაიმში გუნდმა ორი გოლიც გაიტანა. პირველ შემთხვევაში ძალიან ლამაზი გოლი **დიეგო ჯარეტამ** შეაგდო. სტუმრებმა საჯარიმო გაითამაშეს და დასარტყმელად ჯარეტას გაუგორეს, მარცხენა მცველის დარტყა ძალიან ძლიერი და ზუსტი იყო, **დიეგო კავალიერის** შანსი არ ჰქონდა. ტაიმის მიწურულს კი აუტსაიდერმა მეორედაც იხეირა - კუთხურის შემდეგ საჯარიმოში ყველას **რენიემ** აჯობა, ბურთმა უცნაური ტრაექტორია მოხაზა, ოდნავ წინ გამოსულ კავალიერის თავზე გადააფრინდა და პირდაპირ კარში ჩაეშვა. 0:2 პირველი ტაიმის შემდეგ. ბრაგამ სიტუაციის შეცვლა ცვლილებებით სცადა, მოედანზე ორი 19 წლის (**მაიკლი** და **იგორი**) და ერთი 18 წლის (**უოლასი**) ფეხბურთელები გამოუშვა. მეორე ნახევარში სულ სხვა "ფლუ" ვიხილეთ. მასპინძლები უტევდნენ და მომენტებსაც ჰქმნიდნენ, თუმცა შესანიშნავად თამაშობდა სტუმართა კიპერი და კაპიტანი **მარსიო** (რომელიც გარეგნობით ძალიან წააგავს "ვასკოს" ბომბარდირ **ალექსანდროს**). მარსიო, სხვათა შორის, საკუთარი გუნდის თანაბომბარდირია, მეკარის ანგარიშზე ამ სეზონში უკვე სამი გოლია. ამ შეხვედრაში კარის დარაჯს გოლის გატანა არ დასჭირვებია, საკუთარი მოვალეობა მოიხადა და გუნდი არაერთხელ იხსნა. საბოლოოდ 1:2 და ვოლტა რედონდაში ბრაზილიის ამ ჩემპიონატის მთავარი სენსაცია დაფიქსირდა. მიუხედავად იმისა, რომ "ფლუს" მეორე ტაიმში მომენტები ჰქონდა, ეს საკმარისი მაინც არ იყო. ბევრ ადამიანს ამ მატჩთან დაკავშირებით შესაძლოა ეჭვიც კი გასჩენოდა და რთულია მათ რაიმე საწინააღმდეგო უთხრა.

აბელ ბრაგა: *"ძალიან უკმაყოფილო და განბილებული ვარ. ჩვენ დღეს კარგი გაკვეთილი მივიღეთ, თუ როგორ არ შეიძლება თამაში. მთავარია კონცენტრაცია არ დავკარგოთ და ამ მარცხისგან სათანადო დასკვნები გამოვიტანოთ. მოგება, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ფეხბურთში ასეთი დღეებიც არის და ამ დღეების იოლად გადატანა უნდა შეგეძლოს".*

აქვე გეტყვით, რომ "ატლეტიკო გოიანიენსესთვის" ეს პირველი საგარეო გამარჯვება იყო...



17 წლის ადრიანმა ტურის ყველაზე ლამაზი გოლი გაიტანა

### ფლუს ატლეტიკომაც მიბაძა

დამარცხდა "ატლეტიკო მინეიროც", მაგრამ **რონალდინიოს** გუნდის წაგება მაინცდამაინც გასაკვირი არ იყო, რადგან ჩემპიონატის პოტენციური ლიდერი რესიფეში "ნაუტიკოს" ეთამაშებოდა. "ნაუტიკო" შინ პრაქტიკულად უძლეველია. სერია A-ს დებიუტანტებმა საკუთარ მოედანზე "სან პაულო" (3:0), "სანტოსი" (3:0), "ბოტაფოგო" (3:2), "გრემიო" (1:0) და ახლა უკვე "ატლეტიკოც" დაამარცხეს. შინ მოგროვებული ქულების მიხედვით რესიფელები ჩემპიონატში მეხუთე ადგილზე არიან.

**კუკას** პრაქტიკულად ძირითადი შემადგენლობა ჰყავდა, ერთადერთი დანაკლისი ფორვარდი **ჟო** იყო, რომელიც თერთმეტეულში **ლეონარდომ** შეცვალა. ვერც **დანილინიომ**, ვერც რონალდინიომ და ვერც **ბერნარდმა** "ნაუტიკოს" წინააღმდეგ ვერაფერი გააწყვეს. მასპინძლები 49-ე წუთზე **სოუზამ** დააწინაურა, 69-ეზე კი **არაუჟომ** პენალტი ვერ გაიტანა, თორემ რესიფელების უპირატესობა კიდევ უფრო სოლიდური იქნებოდა.

ამ ტურში ვერ მოიგო "გრემიომაც", არადა, **ლუშემბურგოს** გუნდი "ფლამენგოს" პირველი ტაიმის შემდეგ უგებდა და მატჩის სადავეებსაც აკონტროლებდა. მეორე ტაიმში "ფლა" გააქტიურდა, მაგრამ მომენტებამდე საქმე არ მიდიოდა, ხოლო "გრემიოს" კი კონტრშეტევებისთვის სივრცეები ეხსნებოდა, მაგრამ სტუმრები რატომღაც ამით არ სარგებლობდნენ და ტემპს აგდებდნენ. ვანდერლეი ლუშემბურგომ გუნდის დაცვაზე გადაწყობა ნაადრევად გადაწყვიტა, ბურთი პრაქტიკულად ბოლომდე მასპინძლებს დაუთმო და ამის გამო მალე დაისაჯა. მასპინძელთა 17 წლის ტალანტმა **ადრიანმა** საჯარიმო დარტყმით ულამაზესო გოლი გაიტანა, 1:1 62-ე წუთზე და წინ კიდევ ნახევარი საათი იყო. დარჩენილმა დრომ **დორივალ ჟუნიორის** გუნდის შეტევებში ჩაიარა, მაგრამ მეორე გოლის გატანა "ფლამენგომ" ვერ შეძლო. პარალელურ მატჩში "ფლას" კონკურენტმა "სპორტ რესიფემ" "ინტერთან" სტუმრად ორბურთიანი უპირატესობა გაანიავა და ბრაზილიის ყველაზე პოპულარულ გუნდს კარგი საჩუქარიც გაუკეთა. ახლა რესიფელებს და რიოელებს შორის სხვაობა ისევ 4 ქულაა.

ამ ტურის გამორჩეული მოვლენებიდან აღვნიშნოთ "პალმეირასის" მორიგი მარცხი, ამჯერად მოსისხლე მტერ "კორინთიანსთან" და **ნეიმარის** გოლები. "სანტოსის" ლიდერმა "კურიტიბას" ორი გოლი გაუტანა (მასპინძელთა მხრიდან "სანტოსის", "ფენერბაჰჩეს" და "ფლემნგოს" ყოფილმა ფორვარდმა **დეივიდმა** გაიტანა, **აკინოს** კი არ უთამაშია). ახლა ნეიმარს 9 თამაშში 8 გოლი აქვს გატანილი და თუ ასე გააგრძელა, ბომბარდირთა დავაშიც მალე დაწინაურდება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფლუმინენსე | 25 | 15 | 8 | 2 | 41-17 | 53 |
| 2. ატლ. მინეირო | 24 | 15 | 6 | 3 | 39-17 | 51 |
| 3. გრემიო | 25 | 15 | 3 | 7 | 37-21 | 48 |
| 4. ვასკო და გამა | 25 | 12 | 7 | 6 | 32-26 | 43 |
| 5. სან პაულო | 25 | 12 | 3 | 10 | 37-28 | 39 |
| 6. ბოტაფოგო | 25 | 11 | 6 | 8 | 39-31 | 39 |
| 7. ინტერნასიონ. | 25 | 9 | 10 | 6 | 30-22 | 37 |
| 8. კრუზეირო | 25 | 10 | 5 | 10 | 32-35 | 35 |
| 9. კორინთიანსი | 25 | 9 | 8 | 8 | 28-24 | 35 |
| 10. პონტე პრეტა | 25 | 8 | 9 | 8 | 30-32 | 33 |
| 11. სანტოსი | 25 | 8 | 9 | 8 | 30-32 | 33 |
| 12. ნაუტიკო | 25 | 9 | 4 | 12 | 30-40 | 31 |
| 13. ბაია | 25 | 7 | 10 | 8 | 26-27 | 31 |
| 14. პორტუგეზა | 25 | 7 | 8 | 10 | 25-29 | 29 |
| 15. კურიტიბა | 25 | 8 | 4 | 13 | 38-45 | 28 |
| 16. ფლამენგო | 24 | 7 | 7 | 10 | 24-34 | 28 |
| 17. სპორტი | 25 | 5 | 9 | 11 | 22-35 | 24 |
| 18. ფიგეირენსე | 25 | 5 | 7 | 13 | 28-42 | 22 |
| 19. პალმეირასი | 25 | 5 | 5 | 15 | 22-35 | 20 |
| 20. ატლ. გოიანიენ. | 25 | 4 | 8 | 13 | 26-44 | 20 |

**ბომბარდირები:** 11 – ფრედი (ფლუმინენსე), ლუიშ ფაბიანო (სან პაულო); 10 — ვაგნერ ლავი (ფლამენგო)

## არგენტინა. ტორნეო ინისიალი. VII ტური.

# კლასიკოების ტური

**ტიგრე-კოლონი 2:2**

**გოლები:** 1:0 მახიოლო (18), 1:1 მუგნი (41), 1:2 რ. რამირესი (58), 2:2 გალმარინი (67).

**ოლ ბოისი-არხენტინოსი 0:1**

**გოლი:** 0:1 ანანგონო (88).

**გოდოი კრუსი-სან მარტინი 1:0**

**გოლი:** 1:0 დ. რამირესი (27)

**რასინგი-ესტუდიანტესი 0:1**

**გოლი:** 0:1 მ. ნუნიესი (51).

**ბოკა -ინდეპენდიენტე 2:1**

**გოლები:** 0:1 კარუსო (23 ს.კ.), 1:1 სილვა (27), 2:1 სანჩეს მინიო (47).

**არსენალი-ბელგრანო 0:2**

**გოლები:** 0:1 პიტინარი (45), 0:2 ხ. ველასკესი (90).

**ნიუელსი-სან ლორენსო 1:0**

**გოლი:** 1:0 სკოკო (82-პენ)

**ველესი-რივერი 2:0**

**გოლები:** 1:0 პრატო (20), 2:0 ბელია (64).

**უნიონი-ატლეტიკო რაფაელა 0:0**
**კილმესი-ლანუსი 0:0**

**არგენტინის ჩემპიონატის მე-7 ტური ორი კლასიკური დაპირისპირებით, "ბოკა"-"ინდეპენდიენტე" და "ველესი"-"რივერი", აღინიშნა, თუმცა ამ სათამაშო დღეს სხვა საინტერესო მატჩებიც იყო...**

### ტიგრემ ისევ ვერ მოიგო

ტური ძალიან საინტერესო მატჩით დაიწყო, რომელიც "ესტადიო ხოსე დელაჯოვანაზე" გაიმართა, "ტიგრე" "კოლონს" მასპინძლობდა. "ტიგრემ" წინა ჩემპიონატში კინაღამ უნიკალური შედეგი დააფიქსირა – გუნდი ერთდროულად ჩემპიონობისთვის და ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძოდა. ბოლო ტურის წინ იყო შანსი, რომ **როდოლფო არუაბარენას** შეგირდებს ერთბაშად ორ, საჩემპიონო და სარელეგაციო, პლეიოფში ეთამაშათ, მაგრამ საბოლოოდ "ტიგრე" ვერც ჩემპიონი გახდა და არც გავარდა.

ამ სეზონში "ვეფხვებს" გავარდნა არ ემუქრებათ და თუ მათი თამაშით ვიმსჯელებთ, პრეტენზია არც ჩემპიონობაზე უნდა ჰქონდეთ. არუაბარენას გუნდს 6 ტურის შემდეგ მოგება არ ჰქონდა, მისი მეტოქე კი ერთ-ერთი ლიდერი "კოლონი" იყო. მატჩი მასპინძლებისთვის ძალიან კარგად დაიწყო და უკვე მე-18 წუთზე ვეტერანმა **ეზეკილ მახიოლომ** გახსნა ანგარიში. 35 წლის ფორვარდმა ამ სეზონში თავისი პირველი გოლი გაიტანა, თუმცა შემდეგ დაიმტვრა და მოედანზე მის მაგივრად პარაგვაელი **ფედერიკო სანტანდერი** (შეიძლება "ტულუზიდან" გახსოვთ) შევიდა. ანგარიში 41-ე წუთზე გათანაბრდა: **ლუკას მუგნიმ** ბურთი მოედნის ცენტრში მყოფ **ემანუელ პიოს** აართვა, საჯარიმომდე რამდენიმე მეტოქე ჩამოიტოვა და დაახლოებით 20 მეტრიდან გაუტანა **ხავიერ გარსიას**. მეორე ტაიმის დებიუტში კი **ნესტორ სენსინის** გუნდი დაწინაურდა – გოლი **რუბენ რამირესმა** გაიტანა, რომელიც "კოლონს" 4-წლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა. საბოლოო შედეგი კი "ტიგრეს" კაპიტანმა, **მარტინ გალმარინიმ** დააფიქსირა, რომელმაც სტუმრების დაცვის შეცდომით ისარგებლა და ახლო მანძილიდან **დიეგო პოსოს** აუღებელი დაურტყა.

საბოლოოდ ძალიან ლამაზი და დრამატული მატჩი ლოგიკური შედეგით დასრულდა. ფრე 2:2 და "ტიგრეს " ისევ არ აქვს მოგება, არადა, ამ გუნდს, შემადგენლობით თუ ვიმსჯელებთ, დიდი პოტენციალი აქვს.

### ბოკამ მოიგო, ინდეპენდიენტე ისევ ბოლოა

პირველი კლასიკო "ბომბონერაზე" შედგა, სადაც ჩემპიონატის ლიდერმა "ბოკა ხუნიორსმა" დიდ გაჭირვებაში მყოფ "ინდეპენდიენტეს" უმასპინძლა. შეგახსენებთ, რომ ლიბერტადორესის თასის 7-გზის მფლობელი გასავარდნ ზონაშია და ბოლო ადგილი უკავია. ამ გუნდების დაპირისპირებას დამატებით ეშხს წინა მატჩების ფაქტორი სძენდა. 2012 წლის კლაუსურაში, "ბომბონერაზე" გამართული საოცარი მატჩი სტუმრების გამარჯვებით დასრულდა, 4:5 (მაშინ სამი გოლი **ერნესტო ფარიასმა** გაიტანა), 2012 წლის კოპა სუდამერიკანაზე კი გუნდებმა, ამავე სტადიონზე 3:3 ითამაშეს, საპასუხო მატჩი 0:0 დასრულდა და შემდეგ ეტაპზე "ინდეპენდიენტე" გავიდა. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, "ბოკას" რევანში ჰქონდა ასალები. შეხვედრა ძალიან კარგი საყურებელი გამოდგა და გულშემატკივარმა 3 გოლის გარდა, კიდევ ბევრი სახიფათო მომენტი იხილა. ანგარიში კი სტუმრებმა გახსნეს. მოსკოვის "ცსკას" ყოფილმა ფეხბურთელმა **ოსმარ ფერეირამ** ლამაზი დრიბლინგი შემოგვთავაზა: ჯერ **ალბინს** ბურთი ფეხებს შუა გაუტარა, მერე კი **სკიავი** მოატყუა, საჯარიმოშიც მწვავე გადაცემა გააკეთა, იქ კი ბურთი **კარუსოს** მოხვდა და რიკოშეტით მასპინძელთა კარში აღმოჩნდა.

**ხულიო სესარ ფალსიონის** შეგირდებმა ანგარიში სწრაფად გაათანაბრეს – **სანჩეს მინიომ** მარცხნიდან ჩააწოდა, **სანტიაგო "ტანკე" სილვა** კი საჯარიმოში „შეფრინდა" და უძლიერესი თავური დარტყმით გაიტანა. "ბოკამ" დაწინაურება მეორე ტაიმში მოახერხა, თავი ამჯერად სანჩეს მინიომ გამოიჩინა. ამ გოლის დროს აშკარა შეცდომა დაუშვეს სტუმართა "ენგანჩე" **ფრედესმა** და კიპერმა **ნავარომ** – პირველმა მოედნის ცენტრში ბურთი ვერ დაამუშავა და ის გოლის ავტორს ჩააბარა, ნავარომ კი საჯარიმოს ხაზიდან ახლო კუთხეში დარტყმული ვერ მოიგერია. საბოლოოდ 2:1 და "ბოკა" "ტორნეო ინისიალში" ისევ ლიდერია, "ინდეპენდიენტე" კი 3-წლიან გასავარდნ ცხრილში კვლავ ბოლო ადგილზეა.



"ბოკას" სანტიაგო სილვამ და ხუან სანჩეს მინიომ მოაგებინეს

### დერბი ველესმა მოიგო

არგენტინის პრიმერა დივიზიონში დიდი ბუენოს აირესიდან ძალიან ბევრი გუნდია, შესაბამისად დერბიც ბევრია, თუმცა გამორჩეული მათგან ცოტაა, ერთ-ერთი ასეთი გამორჩეული დერბი ამ ტურში "ესტადიო ხოსე ამალფიტანიზე" "ველესსა" და "რივერს" შორის გაიმართა. საბოლოოდ ეს მატჩი ამ სეზონში ერთ-ერთი საუკეთესო გამოდგა. გუნდებმა უამრავი საგოლე მომენტი შექმნეს, ტრიბუნებზე საოცარი ატმოსფერო იყო, თუმცა სურათი ოდნავ "რივერის" ქომაგებმა გააფუჭეს, რომლებმაც, მიხვდნენ რა, რომ მათი გუნდი წააგებდა, მინდორზე შეღწევა სცადეს, რის გამოც მატჩი 8-9 წუთით შეწყდა, პოლიციას კი მათ დასაშოშმინებლად წყლის ჭავლის გამოყენება მოუხდა. საბოლოოდ "რივერის" ის ქომაგები, რომლებიც დამცავ ბარიერზე ამძვრალნი კარის გაღებას და მინდორზე ქომაგების შეშვებას ცდილობდნენ, დამშვიდნენ და შეხვედრაც დასრულდა.

მატჩის სტარტზე იმდენი საგოლე მომენტი შეიქმნა, რომ მე-10 წუთისთვის 4 გოლი მაინც უნდა გასულიყო, მაგრამ შემტევებს არ უმართლებდათ. მეტი მომენტი "ველესმა" შექმნა და მე-20 წუთზე სამართლიანად დაწინაურდა – "ჯენოადან" დაბრუნებულმა **ლუკას პრატომ** გახსნა ანგარიში.

"რივერის" მწვრთნელმა **მატიას ალმეიდამ** უკვე მეორედ გამოიყენა4-3-3 ტაქტიკა, სადაც ტანმაღალი **როხელიო ფუნეს მორი** მარცხენა გარემარბად არის გამწესებული. ფაქტია, რომ ეს განლაგება არ ამართლებს და თუ ალმეიდა თავის შტაბის წევრებთან ერთად (**გაბრიელ ამატო, ხოსე შამოტი, კარლოს როა**) დროულად მიხვდება ამას, კარგი იქნება.

მეორე ტაიმში "ველესის" უპირატესობა აშკარა იყო და გოლიც ლოგიკურად "რივერის" კარში გავიდა. 64-ე წუთზე, სწრაფი კონტრშეტევის შემდეგ, კარში არგენტინის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ლიდერი **ფაკუნდო ფერეირა** ურტყამდა, მისი დარტყმა "ველესის" ყოფილმა მეკარე **ბაროვერომ** მოიგერია, თუმცა ბურთი ისევ ფერეირას მიუვიდა, რომელმაც ეგოისტურად არ ითამაშა და კარის წინ მარტო მყოფ **ივან ბელიას** გადააწოდა, ამ უკანასკნელს ცარიელ კარში გატანა არ გასჭირვებია.

ამ მოგების წყალობით "ველესი" მესამე ადგილზე გადავიდა, "რივერი" კი სატურნირო ცხრილის შუაში აღმოჩნდა და რაც უფრო მნიშვნელოვანია, გუნდი 3-წლიან ცხრილში გასავარდნ ზონასთან სახიფათო სიახლოვეს არის.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოკა | 7 | 5 | 1 | 1 | 12-8 | 16 |
| 2. ნიუელსი | 7 | 4 | 3 | 0 | 8-3 | 15 |
| 3. ველესი | 7 | 4 | 2 | 1 | 10-3 | 14 |
| 4. გოდოი კრუსი | 7 | 4 | 1 | 2 | 8-6 | 13 |
| 5. ბელგრანო | 7 | 3 | 3 | 1 | 8-5 | 12 |
| 6. კოლონი | 7 | 3 | 3 | 1 | 10-8 | 12 |
| 7. რასინგი | 7 | 3 | 2 | 2 | 9-5 | 11 |
| 8. არხენტინოსი | 7 | 3 | 2 | 2 | 7-9 | 11 |
| 9. არსენალი | 7 | 3 | 2 | 2 | 6-8 | 11 |
| 10. კილმესი | 7 | 2 | 4 | 1 | 8-5 | 10 |
| 11. ესტუდიანტესი | 7 | 3 | 1 | 3 | 5-6 | 10 |
| 12. რივერი | 7 | 2 | 3 | 2 | 10-10 | 9 |
| 13. სან ლორენსო | 7 | 2 | 3 | 2 | 5-5 | 9 |
| 14. ლანუსი | 7 | 2 | 2 | 3 | 5-4 | 8 |
| 15. ატლ. რაფაელა | 7 | 1 | 4 | 2 | 5-7 | 7 |
| 16. ოლ ბოისი | 7 | 1 | 3 | 3 | 9-11 | 6 |
| 17. ტიგრე | 7 | 0 | 4 | 3 | 9-13 | 4 |
| 18. სან მარტინი | 7 | 1 | 0 | 6 | 6-12 | 3 |
| 19. ინდეპენდიენ. | 7 | 0 | 3 | 4 | 3-9 | 3 |
| 20. უნიონი | 7 | 0 | 2 | 5 | 4-10 | 2 |

**ბომბარდირები:** 5 - სკოკო (ნიუელსი); 4 - ბორგელიო (ოლ ბოისი), დ. რამირესი (გოდოი კრუსი);

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. III ტურის შეჯამება




ევერტონმა ლივერპულს არნახული მხარდაჭერა გამოუცხადა

# ფეხბურთი და არამხოლოდ

## ვენგერი და კომპანია

პირველი ორი უსახური ტურის შემდეგ, როცა "არსენალმა" უგოლო ფრეები ითამაშა, დედაქალაქურმა კლუბმა გაილაღა. ჯერ იყო და, "ენფილდზე" "ლივერპულს" აჯობა დამსახურებულად (2:0), მერე კიდევ დებიუტანტ "საუთჰემპტონს" კუდით ქვა ასროლინა. 4 თამაშში დაგროვილი 8 ქულა, საუკეთესო დაცვა და ერთ-ერთი საუკეთესო შემტევი ხაზი – აი, ის, რითაც "მეთოფეთა" ფანებს შეუძლიათ იამაყონ.

წინა წლებში "არსენალისთვის" დაცვა ყოველთვის სერიოზული პრობლემა იყო. ალბათ იმიტომ, რომ ვენგერს ამ რგოლში უმაღლესი კლასის ვარსკვლავები არასოდეს ჰყოლია. ახლა სიტუაცია განსხვავებულია – **ტომას ვერმალენისა და პერ მერტეზაკერის** წყვილმა გაამართლა. შარშან სერიოზულად ეჭვობდნენ, მოახერხებდა თუ არა აყლაყუდა გერმანელი სისწრაფის ნაკლებობის კომპენსაციას. ფაქტია, რომ ის მეტ-ნაკლებად კი არა, საქმეს კარგად აუდის. ვერმალენისგან კი დიდი ხანია, ელიან გაბრწყინებას. ბოლოს და ბოლოს იქნება დადგა ამის დროც? ცხადია, ყველანი მოუთმენლად ველით მოედანზე **ბაკარი სანიას** დაბრუნებას. უკანა ხაზს ისიც შემატებს თავის ბრწყინვალებას.

ნახევარდაცვაში გუნდს უკვე ჰყავს დიდებული დირიჟორი – **სანტი კასორლა**. ამას დაუმატეთ **ჯეკ უილშირის** ფაქტორიც და მივიღებთ, რომ მინიმუმ იანვრისთვის, როცა უკანასკნელი ფორმაში შევა, ვენგერის განკარგულებაში ერთ-ერთი ყველაზე კრეატიული შუა ხაზი იქნება. ფლანგებზე **ჟერვინიო, უოლკოტი** და **ოქსლეიდ-ჩემბერლენი** კი ამ კოლექტივს დამატებით ბრწყინვალებას მატებენ. მოკლედ, თავად ვენგერის თქმისა არ იყოს, "არსენალმა" ჯერ თავადაც არ იცის, თუ რამხელა პოტენციალს ფლობს.

კინაღამ დაგვავიწყდა: იქნება ცოტა ადრეა ამაზე ლაპარაკი, მაგრამ **ლუკას პოდოლსკიმ** თუ ასეთ დონეზე განაგრძო, ის ალბათ მალე დაავიწყებს "არსენალის" ფანებს, რომ ოდესღაც მზე და მთვარე **რობინ ვან პერსიზე** ამოსდიოდათ. იმის გათვალისწინებით, რომ 27 წლის გერმანელს გუნდში ცალ ხელზე ჩამოსათვლელი თამაშები აქვს ჩატარებული, თანაგუნდელებთან შეთამაშების ხარისხი უბრალოდ გაკვირვებას იწვევს.

## ჯენტლმენები მოედნის მიღმა

ბრიტანელი ფანების კლუბებისადმი ერთგულებასა და მეტოქეებისადმი ზიზღზე ბევრი დაწერილა და კიდევ უფრო ბევრი თქმულა. ეს ის თემაა, რომელზეც მხატვრული ფილმებიც კი გადაუღიათ. თუმცა ამ ხალხს გაჭირვებაში მხარში დგომა არ ესწავლება. ღირებულებებისადმი პატივისცემა მათში სისხლსა და ხორცშია გამჯდარი. სწორედ ამისი მომსწრენი გავხდით ორშაბათ საღამოს, როცა "გუდისონ პარკზე" 25 წლის წინ "ჰილსბოროს" ტრაგედიის 96 მსხვერპლი გაიხსენეს და თანაქალაქელებს სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს. მიზეზი ალბათ მოგეხსენებათ, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა **დევიდ კემერონმა** ოფიციალურად აღიარა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება და პოლიცია მაქსიმალურად ცდილობდნენ ტრაგედიის რეალური მიზეზები მიეჩქმალათ, რათა მათ სახელებს ჩირქი არ მოსცხებოდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს განცხადება დიდი გამარჯვებაა "ლივერპულისთვის". პრინციპული მეტოქის მიერ გადადგმული ნაბიჯი კი მოულოდნელი აღმოჩნდა "წითლებისთვის". აი, რა თქვა **იან ეირმა**: *"მთელი სულითა და გულით მინდა მადლობა ვუთხრა "ევერტონის" ყველა თანამშრომელსა და გულშემატკივარს. ტრაგედიის საღამოს დაღუპულთა ოჯახებისადმი მხარდაჭერის გამო. ჩვენ ყოველთვის პრინციპულ მეტოქეებად ვრჩებოდით მოედანზე თუ მის მიღმა, მაგრამ ამას არასოდეს შეუშლია ხელი, რომ ერთმანეთისთვის დახმარების ხელი გაგვეწვდინა. "ევერტონი" ტრაგედიის დღეებშიც ჩვენ გვერდით იდგა და წინა კვირაშიც, როცა დამოუკიდებელმა საგამოძიებო კომისიამ გამოძიების საბოლოო ვერსია გამოაქვეყნა. ასეთ მომენტებში საფეხბურთო მეტოქეობა მეორე პლანზე გადადის".*

**ბომბარდირები:** 4 - **მიგელ მიჩუ** (სუონსი), **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი), 3 – **კარლოს ტევესი** (მანჩესტერ სიტი), **სტივენ ფლეტჩერი** (სანდერლენდი), **დემბა ბა** (ნიუკასლი), **ჯერმეინ დეფო** (ტოტენჰემი)

**ასისტენტები:** 4 - **ედენ აზარი** (ჩელსი), 3 - **უეინ რუტლეჯი** (სუონსი), 2 – **ბრაიან რუისი** (ფულჰემი), **კრის ბრანტი** (ვესტ ბრომვიჩი), **ნათან დაიერი** (სუონსი), **რიკარდუ ვას ტე** (ვესტ ჰემი), **კარლოს ტევესი** (მანჩესტერ სიტი), **სანტი კასორლა** (არსენალი), **სტივენ პიენაარი** (ტოტენჰემი)

**გოლი+პასი:** 5 - **მიგელ მიჩუ** (სუონსი) - (4+1), **კარლოს ტევესი** (მანჩესტერ სიტი) – 3+2, **ედენ აზარი** (ჩელსი) – 1+4; 4 - **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი) 4+0, **ჯერმეინ დეფო** (ტოტენჰემი) – 3+1, **ნათან დაიერი** (სუონსი) – 2+2, **უეინ რუტლეჯი** (სუონსი) – 1+3

**გაფრთხილებები:** 3 - **მარტინ შკრტელი** (ლივერპული), **ლუის სუარესი** (ლივერპული), **ჯეიმს მაკარტური** (უიგანი), 2 – **კირან კლარკი** (ასტონ ვილა), **დინ უაიტჰედი** (სტოკ სიტი), **ერიკ ლიშაი** (ასტონ ვილა), **ანხელ რანხელი** (სუონსი), **მარუან ფელაინი** (ევერტონი), **კარიმ ელ-აჰმადი** (ასტონ ვილა), **ჯეიმს კოლინზი** (ვესტ ჰემი), **ფილ ნევილი** (ევერტონი)

სეზონის 5 საუკეთესო ფეხბურთელი EA SPORTS-ის მიხედვით

1. **კარლოს ტევესი** (მანჩესტერ სიტი)
2. **იაია ტურე** (მანჩესტერ სიტი)
3. **ნათა დაიერი** (სუონსი)
4. **მიგელ მიჩუ** (სუონსი)
5. **დემიენ დაფი** (ფულჰემი)

### ზოგადი სტატისტიკა დღეისთვის:

**39 მატჩი**
**24 მოგება**
**15 ფრე**
**23 მშრალად შენახული კარები**
**85 გოლი**
**399 ზუსტი დარტყმა კარებში**
**307 აცილება**
**374 ფეხბურთელი**
**60 ეროვნების მოთამაშე**
**1 ჰეთთრიკი**
**73 ყვითელი ბარათი**
**5 წითელი ბარათი**
**1 391 742 ფანი ტრიბუნებზე**

### ტურის გმირი

**დემბა ბამ** "ნიუკასლის" რიგებში "ევერტონთან" მხოლოდ 45 წუთი ითამაშა, მაგრამ ეს დრო მაინც ეყო დუბლის შესასრულებლად. თანაც მეორე ბურთი მან ბოლო წამებზე გაიტანა. 27 წლის სენეგალელი **ალან პარდიუს** გუნდს მხსნელად მოევლინა. ცხადია, მან ჩვენს სიმბოლურ ნაკრებშიც დაიკავა კუთვნილი ადგილი.

### ტურის მნვრთნელი

**არსენ ვენგერის** "არსენალმა" გამოიღვიძა და ჩვეულად ლაღად ათამაშდა. მერე რა, რომ მას აუტსაიდერი "საუთჰემპტონი" ებრძოდა? "მეთოფეთა" შემტევი ფეხბურთელების დიდებულ გარჯას ეს სულაც არ აკნინებს. ლუკას პოდოლსკიმ უკვე მონახა თავისი თავი "ემირიტსზე", ჯერი ახლა **ოლივიე ჟირუზეა**. თუკი ფრანგიც ათამაშდა, ამ გუნდს ძნელად თუ ვინმე გააჩერებს. ამ ყოველივეს საფუძვლის ჩამყრელი სწორედ ვენგერია. ის ბოლო წლებია ამტკიცებს, რომ მისთვის შეუცვლელი ფეხბურთელები არ არსებობენ.

### მომდევნო ტური

22 სექტემბერი: **სუონსი-ევერტონი, ჩელსი-სტოკ სიტი, საუთჰემპტონი-ასტონ ვილა, ვესტ ბრომვიჩი-რედინგი, ვესტ ჰემი-სანდერლენდი, უიგანი-ფულჰემი**

23 სექტემბერი: **ლივერპული-მანჩესტერ იუნაიტედი, ნიუკასლი-ნორვიჩი, მანჩესტერ სიტი-არსენალი**

24 სექტემბერი: **ტოტენჰემი-ქუინზ პარკი**

**ლევან ბიბილაშვილი**

## IV ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




ამბები

## მაქსი გენუაში ბედნიერია

**მაქსი ლოპესს** ძალიან უნდოდა "მილანში" დარჩენა, მაგრამ ლომბარდიული გრანდის მესვეურებმა მისი გამოსყიდვა არ ისურვეს და „კატანიაში" დააბრუნეს. თავის მხრივ, სიცილიურ გუნდში ასპარეზობის სურვილი არგენტინელ ფორვარდს არ ჰქონდა და "კატანიას" მესვეურები იძულებულნი გახდნენ, რომ მაქსი კიდევ ერთხელ გაენათხოვრებინათ. ამჯერად, მისი სამსახურით "სამპდორია" დაინტერესდა და შეთანხმებაც შედგა.

სერი A-ს მიმდინარე გათამაშების დაწყებიდან სამი ტურია გასული, გენუურ გუნდს სამი გამარჯვება აქვს და სატურნირო ცხრილში მეოთხე ადგილი უკავია - ისიც იმიტომ, რომ გარიგებულ მატჩებთან დაკავშირებული სკანდალის გამო, "სამპას' ერთი ქულა აქვს დაკლებული. შესანიშნავად დაიწყო ახალი სეზონი მაქსი ლოპესმა, შედეგიანად ასპარეზობს და თუ ასე გააგრძელა, გენუელთა მთავარ დამრტყმელ ძალად იქცევა. არგენტინელი ფორვარდი "სამპდორიაში" გადაბარგებით ბედნიერია და იმედოვნებს, რომ გენუაში კიდევ დიდხანს დარჩება:

*"მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც გვერდში მიდგას და მამხნევებს. გენუაში ძალიან თბილად მიმიღეს როგორც კლუბის მესვეურებმა, ისე მწვრთნელ-ფეხბურთელებმა და გულშემატკივრებმა. სწორედ ამან მომცა ძალა, რომ სეზონი ასე წარმატებულად დამეწყო და გოლები გამეტანა. აქ იმდენად კარგად ვგრძნობ თავს, რომ არსად წასვლის სურვილი აღარ მაქვს. იმედია, გენუაში კიდევ დიდხანს დავრჩები და არც იმაზე ვიტყვი უარს, რომ კარიერა სწორედ "სამპდორიაში" დავასრულო. სეზონი ძალიან კარგად დავიწყეთ და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ტემპი არ დავაგდოთ. ჩვენი მიზანი ევროსაგზურის მოპოვებაა და თუ მთელი სეზონის განმავლობაში ასეთივე მობილიზებულები ვიქნებით, ყველაფერი კარგად იქნება".*

## ჰამშიკი თავის ოცნებაზე

**საფეხბურთო** ექსპერტთა და უბრალო გულშემატკივართა უმეტესობა თანხმდება, რომ "ნაპოლი" სკუდეტოს მოპოვების ერთ-ერთი უმთავრესი პრეტენდენტია. ნომერ პირველ ფავორიტად მაინც "იუვენტუსს" ასახელებენ, აი შემდეგ კი, როგორც წესი, "ნაპოლი" მოდის. ამ მოსაზრებას ნეაპოლური გუნდის შემტევი **მარეკ ჰამშიკიც** ეთანხმება:

*"მიუხედავად იმისა, რომ ზაფხულში ესეკიელ ლავეცი დავკარგეთ, მიზნად მხოლოდ ტროფეების მოპოვება გვაქვს დასახული. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ წელს კიდევ უფრო გვჯერა საკუთარი ძალების, ვიდრე გასულ სეზონში. მართალია, ჩემპიონთა ლიგაზე არ გვიწევს ასპარეზობა, მაგრამ ერთი მხრივ, ამან შეიძლება კარგი სამსახურიც გაგვიწიოს - ჩემი დიდი ხნის ოცნება სკუდეტოს მოპოვებაა და ვინ იცის, იქნებ ეს ოცნება მიმდინარე სეზონში ამიხდეს. ვფიქრობ, "ნაპოლის" შესწევს იმის ძალა, რომ პირველობისთვის იბრძოლოს და გაიმარჯვოს კიდეც. საოცარი შეგრძნება იყო, როდესაც იტალიის თასი აღვმართეთ და მსურს, კიდევ უფრო ძლიერი განცდა სკუდეტოს მოპოვებით დამეუფლოს".*

**ლაშა ნიკლაური**

## სტოკის მცველს ბრალს სდებენ

**ინგლისის** საფეხბურთო ასოციაციის ვებგვერდის ცნობით, "სტოკ სიტის" 28 წლის მარჯვენა მცველ **ენდი უილკინსონს** ბრალად ედება "მანჩესტერ სიტის" იტალიელი ვარსკვლავის **მარიო ბალოტელის** წინააღმდეგ აგრესიული ქმედება. 15 სექტემბერს "ბრიტანია სტედიუმზე" გამართულ შეხვედრაში მასპინძელმა უკანახაზელმა მეტოქეს სახეში იდაყვი უთავაზა, რაც არბიტრ **მარკ კლატენბერგსა** და მის ასისტენტებს გამორჩათ. უილკინსონს ასოციაციაში იმის ახსნა მოუწევს, რაში დასჭირდა კონკრეტულ მომენტში მსგავსი ხერხი. თუკი ფეხბურთელი დამაჯერებელ ვერსიას ვერ წარმოადგენს, მას მინიმუმ 3-მატჩით ელის დისკვალიფიკაცია.

**ლევან ბიბილაშვილი**

## ესპანეთი. ლა ლიგა. IV ტურის შეჯამება



ატლეტიკო მეფესთან სტუმრად

# სარსუელას სასახლეში დადებული პირობა

**მადრიდის „ატლეტიკომ" მაისში მოგებული ევროპალიგის თასი ესპანეთის მეფეს, მის უდიდებულესობა ხუან კარლოსს და დედოფალ სოფიას უძღვნა. ორშაბათს მადრიდის სარსუელას სასახლეში „ატლეტიკოს" შეფმა ენრიკე სერესომ პირობა დადო, რომ მაისში კიდევ დაბრუნდება ამ დარბაზში... ახალი თასით ხელდამშვენებული.**

### ბარსა-რეალობა

ახლა არც „რეალს" და აღარც „ბარსას" არ სცალიათ ლა ლიგის მორიგი ტურის პერიპეტიების გასახსენებლად - „სხვაგან ქრის მათი გონება" - ჩემპიონთა ლიგა გახურდა. მაგრამ მაინც რატომ დაიწყო **ტიტო ვილანოვამ**, რომელიც ორშაბათს 44 წლის გახდა, სადებიუტო სეზონი უნაკლოდ (4 მატჩიდან 4 გამარჯვება) და **ჟოზე მოურინიომ** თავისი მესამე სეზონი „სამეფო კლუბში" (4 თამაშიდან, 2 წაგება და 1 ფრე) ასე მძიმედ?

### მესი vs რონი

**ლიონელ მესიმ** „ხეტაფესთან" 4:1 მოგებულ მატჩში ითამაშა 31 წუთი. კარისკენ დაარტყა 3-ჯერ, 2-ჯერ ზუსტად, გაიტანა 2 გოლი, ერთხელ ეუხეშნენ, 2-ჯერ მოხვდა თამაშგარეში.

**კრიშტიანო რონალდომ** „სევილიასთან" 0:1 წაგებულ მატჩში 90 წუთი ითამაშა. კარისკენ 7-ჯერ დაარტყა, 3-ჯერ ზუსტად, მის წინააღმდეგ 4-ჯერ დაჯარიმდნენ, თავად კი 2-ჯერ დაჯარიმდა.

მესიმ ნახევარ საათში იმაზე მეტი მოასწრო, ვიდრე რონალდომ მთელ თამაშში. ასე რომ, ჩვენს „ტურნირში" ლეომ კრიშტიანოს უკვე 2 ქულით გაუსწრო: 3:1.

### ტურის ფრაზები

**ჟოზე მოურინიო**: *„დღეისათვის, მე გუნდი არ მყავს"*, - „რეალის" თავკაცის სკანდალური ფრაზა „სევილიასთან" წაგების შემდეგ.

**რამონ კალდერონი**: *„ფეხბურთელებს შეუძლიათ თქვან, რომ დღეს მათ მწვრთნელი არ ჰყავთ"*, - „რეალის" ექს-პრეზიდენტი მოურინიოს გამონათქვამზე.

**დიეგო კოშტა**: *„თუკი მოდუნდები, ასეთი რამ დაგემართება"*, - „ატლეტიკოს" ფორვარდი მას მერე, რაც 4:0 გუნდს 7 წუთში 4:3-ად ექცა.

**ხოსელუის მენდილიბარი**: *„წითელი ბარათის ჯიბიდან ამოღებას რა უნდა, მთავარია, რატომ უნდა გააკეთო ეს ტყუილუბრალოდ"*, - „ოსასუნას" მწვრთნელი გუნდის კაპიტან ნუნიეშის გაძევებით უკმაყოფილოა..

**მანოლო ხიმენესი**: *„სტანდარტული მდგომარეობების უკეთ დამუშავება გვმართებს"*, - როგორც ჩანს, „სარაგოსასაც" „რეალის" დარი პრობლემები აქვს.

**პაკო ერერა**: *„ბავშვური შეცდომების გამო წავაგეთ"*, - „სელტას" თავკაცი „ვალენსიასთან" 1:2 მარცხის მერე.

**მანუელ პელეგრინი**: *„როგორც სევილიაში, ისევე აქ, არ შეიძლება ფეხბურთის თამაში ნაშუადღევს 4 საათზე, ეს ანდალუსიაა"*, - „მალაგას" თავკაცი მცხუნვარე მზემ შეაწუხა.

### ესპანური ფეხბურთის სისუსტე მსაჯები

**ტეიშეირა ვიტიენესი** (ხეტაფე-ბარსელონა) - „მარკას" არ შეუფასებია

**რა დააშავა:** *ძალიან სუსტად იმსაჯა. შეცდა თითქმის ყველა ძირითად ეპიზოდში.*

**უნდიანო მალენკო** (სევილია-რეალი) - 4 „მარკა" (10-ბალიანი სისტემით)

**რა დააშავა:** *უნდა გაეგდო ანხელ დი მარია და გონსალო იგუაინი, რონალდოსა და ბოტიას ინციდენტი „სევილიას" კარში პენალტს წაავავდა.*

### ტურის მსხვერპლი

**კარლეს პუიოლი** (ბარსელონა)
**რიკი** (დეპორტივო)

„ბარსას" კაპიტანი ამ რუბრიკის „მუდმივი" სტუმარია - „ხეტაფესთან" თამაშში ის გატეხილი ყვრიმალის გამო, დამცავი ნიღბით თამაშობდა, ამჯერად მან **აბდელკადირ ბარადასთან** ორთაბრძოლაში მუხლი დაიზიანა და მოედნიდან გასაყვანი გახდა.

„დეპორტივოს" ვეტერან ფორვარდ რიკის „გრანადას" მცველმა **დიეგო მაინსმა** პირველი ტაიმის მინურულს ცხვირი გაუტეხა.

### ტურის საუკეთესო გოლი

**პიოტრ ტროხოვსკი** (სევილია) „რეალის" კარში - **ივან რაკიტიჩის** კუთხურის შემდეგ

### ტურის საუკეთესო პასი

**სესკ ფაბრეგასი** (ბარსელონა) საგოლე პასი **დავიდ ვილიას**.

### ტურის სტატისტიკა

***33 გოლი ტურში (3,3 მატჩში). 5 თამაში მოიგეს მასპინძლებმა, 3 ფრედ დასრულდა და 2 სტუმრებმა მოიგეს. მსაჯებმა 56 ყვითელი ბარათი 4 წითელი დაარიგეს.***

ჰეთ თრიკი: არავინ
დუბლი: **ლიონელ მესი** (ბარსელონა), **არიც ადურისი** (ბილბაო), **ანდრია დელიბაშიჩი** (რაიო ვალეკანო)
ტურის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი: **რუბენ გარსია** (ლევანტე, 19 წლის).
ყველაზე მეტი მაყურებელი: 42 000 - **„ვისენტე კალდერონი"**
ყველაზე ნაკლები მაყურებელი: 13 000 - **„ალფონსო პერეს კოლისეუმი"**
ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ: 20 - **ოსასუნა**
ყველაზე მეტი დარტყმა კარში: 11 - **ბარსელონა**
ყველაზე მეტი ჯარიმა: 27 - **ესპანიოლი**
ყველაზე მეტი კუთხური: 14 - **ოსასუნა**
ყველაზე მეტი თამაშგარე: 8 - **გრანადა**
ყველაზე მეტი ბურთის ფლობა: 68% - **ბარსელონა**

### მომდევნო ტური

22 სექტემბერი: **სარაგოსა-ოსასუნა, სელტა-ხეტაფე, ბეტისი-ესპანიოლი, ბარსელონა-გრანადა.**

23 სექტემბერი: **მალიორკა-ვალენსია, ლევანტე-რეალ სოსიედადი, ატლეტიკო-ვალიადოლიდი, ბილბაო-მალაგა, რაიო ვალეკანო-რეალი.**

24 სექტემბერი: **დეპორტივო-სევილია.**

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩვენს 11-ეულში მხოლოდ ერთხელ ვერ მოხვდა ლიონელ მესი, რჩეულთა შორის მეორედ მოხვდნენ მესის თანაგუნდელი ადრიანო და კიდევ ერთი ბარ-

### ტურის გმირი

**ხავიერ სავიოლა**
მალაგა



### ბომბარდირები

**6** - ლიონელ მესი (ბარსელონა)
**4** - ტომერ ჰემედი (მალიორკა), რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)

## IV ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით



## ჩემპიონთა ლიგა. I ტური

### A ჯგუფი

**დინამო (ზ)-პორტუ 0:2**

**დინამო /ზ/ (4-4-2):** კელავა - ვიდა, ტონელი, შიმუნიჩი, პივარიჩი - ადემი (58. ბეჩირაი), კალელო (81. კოვაჩიჩი), სამირი, ბროზოვიჩი - რუკავინა (67. კარასკო), კოპი.

**პორტუ (4-3-3):** ელტონი - ლოპესი, მაიკონი, ოტამენდი, ალექს სანდრო - ლუჩო გონსალესი, დეფური, მოუტინიო - ვარელა (72. აცუ), მარტინესი (78. კლებერი), როდრიგესი (88. მანგალა).

**გოლები:** 0:1 ლუჩო გონსალესი (41), 0:2 კლებერი (92)

**გაფრთხილება:** 0:0; **კუთხური:** 7-9; **ჯარიმა:** 6-16; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 7(3)-17(5); **ბურთის ფლობა:** 38%-62%.

**მაყურებელი:** 35 000

**პსჟ-დინამო (კ) 4:1**

**პსჟ (4-1-4-1):** სირიგუ - ჟალე, ალექსი, ტიაგო სილვა (81. კამარა), მაქსველი - ვერატი - მენეზი (77. ნენე), შანტომი, მატუიდი, პასტორე - იბრაჰიმოვიჩი (73. ლავეცი).

**დინამო /კ/ (4-2-3-1):** კოვალი - დანილო სილვა, ხაჩერიდი, მიხალიკი (46. ბეტაო), ტაივო - გარმაში (53. ვუკოიევიჩი), მიგელველოზო - იარმოლენკო, კრანჩარი (77. გუსევი), რაფაელი - იდეიე.

**გოლები:** 1:0 იბრაჰიმოვიჩი (19-პენ), 2:0 ტიაგო სილვა (30), 3:0 ალექსი (33), 3:1 მიგელ ველოზო (86), 4:1 პასტორე (91)

**გაფრთხილება:** ნენე

**კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 17-10; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 15(8)-7(1); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 42 000

### C ჯგუფი

**მილანი-ანდერლეხტი 0:0**

**მილანი (4-3-1-2):** აბიატი - დე სილიო, ბონერა (74. იეპესი), მექსე, ანტონინი - ფლამინი, ნ. დე იონგი, ნოჩერინო - ბოატენგი (60. ელ შაარავი) - პაცინი, ემანუელსონი (78. კონსტანტი).

**ანდერლეხტი (4-4-1-1):** პროტო - ჟილე, ვასილევსკი, ნიუტინკი, დეშახტი - ბრუნო (77. იუპაში), ბილია, კუიატე (78. პრაეტი), კლიესტანი - კანუ (89. იაკოვენკო) - მბოკანი.

**გაფრთხილება:** ფლამინი, მექსე - ვასილევსკი, კლიესტანი

**კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 11-13; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 12-8 (5-2); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 20 000

**მალაგა-ზენიტი 3:0**

**მალაგა (4-4-2):** კაბალიერო - გამესი, დემიკელისი, ველინგტონი, მონრეალი - ხოაკინი (84. დუდა), ნაჩო კამაჩო, პორტილიო (46. იტურა), ელიზეუ - ისკო, სავიოლა (61. სანტა კრუსი)

**ზენიტი (4-3-3):** მალაფეევი - ანიუკოვი, ბრუნო ალვეში, ლომბაერტსი, ლუკოვიჩი (40. ბისტროვი) - შიროკოვი (86. ლუმბი), დენისოვი, ზირიანოვი (75. ჯორჯევიჩი) - ფაიზულინი, კერჟაკოვი, ჰალკი.

**გოლები:** 1:0 ისკო (3), 2:0 სავიოლა (13), 3:0 ისკო (76)

**გაფრთხილება:** დემიკელისი, სავიოლა - ჰალკი

**კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 12-10; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 15-11 (9-5); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 28 000



რეალმა რონალდოს გოლით გაიმარჯვა

### B ჯგუფი

**მონპელიე-არსენალი 1:2**

**მონპელიე (4-2-3-1):** ჟურდრენი - ბოკალი, იანგა-მბივა, ჰილტონი, ბედიმო - ესტრადა (78. ერერა), საი - მუნიე (67. ფანა), ბელჰანდა, კაბელა - კამარა (78. სტამბული).

**არსენალი (4-2-3-1):** მანონე - ჯენკინსონი, მერტეზაკერი, ვერმაელენი, გიბსი - დიაბი, არტეტა - ჟერვინიო, კასორლა (90. უოლკოტი), პოდოლსკი (90. კოკელინი) - ჟირუ (76. რემსი).

**გოლები:** 1:0 ბელჰანდა (9-პენ), 1:1 პოდოლსკი (16), 1:2 ჟერვინიო (18)

**გაფრთხილება:** იანგა-მბივა, ბელჰანდა - დიაბი

**კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 13-11; **თამაშგარე:** 6-2; **კარში დარტყმა:** 17(4)-7(4); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 35 000

**ოლიმპიაკოსი-შალკე 1:2**

**ოლიმპიაკოსი (4-2-3-1):** მეგიერი - ტოროსიდისი, კონტრერასი, მანოლასი, ჰოლებასი - მოდესტო (69. გრეკო), მანიატისი - აბდუნი (69. მიტროღლუ), ფუსტერი (58. იბაგასა), პაულო მაჩადო - ჯებური.

**შალკე (4-2-3-1):** უნერშტალი - ჰიოვედესი, კ. პაპადოპულოსი, მატიპი, ფუხსი - ჯონსი (90. ჰიოგერი), ნოიშტედტერი - ფარფანი (94. დრაქსლერი), ჰოლტბი, ბარნეტა (79. აფელაი) - ჰუნტელაარი.

**გოლები:** 0:1 ჰიოვედესი (41), 1:1 აბდუნი (58), 1:2 ჰუნტელაარი (59)

**გაფრთხილება:** მანოლასი, იბაგასა - ჰიოვედესი, ჯონსი, უნერშტალი, ფუხსი

**კუთხური:** 3-8; **ჯარიმა:** 13-14; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 13(3)-18(4); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 30 922

**გოტფრიდ ლენცი**

### D ჯგუფი

**დორტმუნდი-აიაქსი 1:0**

**დორტმუნდი (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - პიშჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი - გიუნდოგანი (89. ლაიტნერი), კელი - ბლაშჩიკოვსკი (73. პერიშიჩი), გიოტცე (88. შიბერი), როისი - ლევანდოვსკი.

**აიაქსი (4-3-3):** ვერმეერი - ვან რინი, ალდერვეირელდი, მოისანდერი, ბლინდი - ს. დე იონგი, კ. პოულსენი, ერიქსენი - სანა (89. სულეიმანი), ბაბელი (79. შონი), ბოირიხტერი.

**გოლი:** 1:0 ლევანდოვსკი (87)

**გაფრთხილება:** სანა, ვან რინი

**კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 8-10; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 15-3 (8-2); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 80 500

**რეალი-მან. სიტი 3:2**

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - არბელოა, პეპე, ვარანი, მარსელო - ხედირა (73. მოდრიჩი), ჩაბი ალონსო - დი მარია, ესიენი (65. იოზილი), რონალდო - იგუაინი (73. ბენზემა).

**მანჩესტერ სიტი (4-1-4-1):** ჰარტი - მაიკონი (74. მაიკონი), კომპანი, ნასტასიჩი, კლიში - ხავი გარსია - სილვა (62. ჯეკო), ი. ტურე, ბერი, ნასრი (37. კოლაროვი) - ტევესი.

**გოლები:** 0:1 ჯეკო (69), 1:1 მარსელო (76), 1:2 კოლაროვი (85), 2:2 ბენზემა (87), 3:2 რონალდო (90)

**გაფრთხილება:** ხავი გარსია, კომპანი, ჯეკო

**კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 9-10; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 22-5 (11-3); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 67 000

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟაბოლჩ ჰუშტიმ ჰანოვერს გამარჯვება ულამაზესი მაკრატელათი, 92-ე წუთზე მოუტანა, მერე კი აი, ამის გამო მოედნიდან გააძევეს

**იტალიაში „რენე იგუიტა" ვნახეთ, ლუკა ტონი კი მკვდრეთით აღსდგა; ინგლისელები სერიოზულად ფიქრობენ იმაზე, რომ მატჩის წინ გუნდების მისალმება პროტოკოლიდან ამოიღონ, ჩვენ კი მართლა სულით და გულით მოვითხოვთ, გაუქმდეს კანონი, რომელიც ფეხბურთელის გაფრთხილებას ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი გოლს მაისურის გახდით აღნიშნავს. რატომ? მომყევით!**

### იტალია

## ჯიჯი ძოფი და ხუმარა პრეციოზი

„ჯენოასა" და „იუვენტუსის" დაპირისპირება თვალსასეირო გამოდგა: პირველი ტაიმი გენუელებმა მოიგეს, მატჩი - „იუვენტუსმა". იტალიის ჩემპიონმა ქულები რომ არ დაკარგა, ეს პირველ რიგში **ჯანლუიჯი ბუფონის** დამსახურებაა - „იუვენტუსის" „დემონმა" არაერთი რთული დარტყმა მოიგერია. მატჩის მერე გენუელთა თავკაცმა **ჯიჯი დე კანიომ** თქვა, წარმატების მიღწევაში დღეს ხელი ძოფმა შეგვიშალაო. ლეგენდარულ **დინო ძოფთან** შედარება არანაკლებ (თუ მეტი არა) ლეგენდარულ სუპერჯიჯის ალბათ მაინც ესიამოვნებოდა, გასაკვირი კი ის არის, „ჯენოამ" ერთხელ მაინც რომ მოახერხა „იუვენტუსის" კარის დალაშქვრა. ეს პირველ ნახევარში მოხდა, მეორე ტაიმის საწყის წუთებში კი მოვლენები რადიკალურად ვითარდებოდა: 52-ე წუთზე **ჯოვინკომ** ბურთი ძელს მოარტყა, 57-ეზე ექს-იუვენტუსელმა **ბორიელომ** ბუფონის კარის ძელი მოიკითხა, 4 წუთის შემდეგ ჯიჯიმ (თუ დინო ძოფმა) მორიგი სუპერსეივი გააკეთა და იმავე წუთზე **ჯაკერინიმ** ანგარიში გაათანაბრა. საბოლოოდ ტურინელებმა 3:1 მოიგეს და წაუგებელი სერია 42 მატჩამდე (!) გაზარდეს.

შეხვედრის ყველაზე მაგარი მაყურებელი კი „ჯენოას" პრეზიდენტ **ენრიკო პრეციოზის** გამოსახულება გახლდათ. ამ უკანასკნელმა 17 მაისს სასამართლო ბოლო ინსტანციაშიც წააგო და მანიპულაციების სკანდალის გამო სტადიონზე მისვლა 6 თვით აუკრძალეს. პრეციოზი 2005 წელს „ვენეციას" ბოსებს ფულით სავსე ჩემოდნით ესტუმრა და სამი ქულა იყიდა, რაც „ჯენოას" ძალიან ძვირად დაუჯდა. ბოლო ინსტანციაში წაგება პრეციოზიმ სწორედ „იუვენტუსთან" მატჩისას გააპროტესტა: მის ადგილზე ლოჟაში ენრიკოს გამოსახულება იდო, საიდანაც პრეციოზი მოედანს ქარიზმატული ღიმილით მისჩერებოდა...

## ისევ ის ლუკა

აკი თქვა თავის დროზე **ლუკა ტონიმ**, კარიერას ისე არ დავამთავრებ, რომ „ფიორენტინაში" არ დავბრუნდე და ფლორენციელი ტიფოზები ისევ არ გავახაროო. თქვა და შეასრულა კიდეც!

„იუვენტუსში" საჭირო კაცად რომ აღარ ჩათვალეს, რამდენიმე თვე „ალ ნასრში" გაატარა, ივნისში შვილს ელოდებოდა და მისი მეუღლის მშობიარობა ტრაგედიით დასრულდა - ბავშვი დაკარგეს, ცოტა ხნის წინ კი „ფიორენტინაში" ერთწლიანი კონტრაქტი შესთავაზეს და ლუკაც დათანხმდა, რადგან ეს არის კლუბი, სადაც ტონის ორი ფანტასტიკური სეზონი (49 გოლი 71 მატჩში) აქვს გატარებული, რასაც ფლორენციელები არასდროს დაუვიწყებენ.

„კატანიასთან" ტონი შეცვლაზე შევიდა, ორ წუთში **იოვეტიჩის** პასი გოლად აქცია და მაშინვე ყურისკენ წაიღო მარჯვენა ხელი - ლუკას „ვიოლასთვის" ბოლო გოლი 2007 წლის აპრილში ჰქონდა გატანილი. პუბლიკამ ლუკას უდიდესი ოვაციები მიუძღვნა, თავად ტონის კი სახე ძველებურად უბრწყინავდა: *„აქაურობა ძალიან მომენატრა! წლებია, ვილაც ვილაცები ფიქრობენ, რომ ჩემი ფეხბურთი დამთავრებულია, მაგრამ მე - არა!"*

## იგუიტა კალიარიში

„კალიარის" მეკარე **აგაციმ** „პალერმოსთან" მატჩში თითქმის იგივე გააკეთა, რითაც ფეხბურთის მოყვარულთათვის კარგად ცნობილმა კოლუმბიელმა კიპერმა **რენე იგუიტამ** გაითქვა სახელი: „პალერმოსთან" მატჩში (1:1) ბურთი მანაც დაახლოებით იგუიტას სტილში მოიგერია და „კალიარიმ" ქულა რომ წაიღო, აგაცის დამსახურებაცაა. „პალერმოს" გიჟ პრეზიდენტ **მაურიციო ძამპარინის** კი ისევ „მოუარეს" და რაკი გუნდს სამი ტურის შემდეგ მხოლოდ 1 ქულა აქვს, მწვრთნელი **ჯუზეპე სანინო** დაითხოვა. ეს ძამპარინის პრეზიდენტობის 26-წლიან ერაში რიგით 41-ე მსხვერპლი-მწვრთნელია. არადა, შაბათს საღამოს მაურიციომ კითხვას, გაუშვებდა თუ არა სანინოს, ასე უპასუხა: *„ამ კითხვაზე პასუხის გაცემას მირჩევნია, კარგად გამოვთვრე!"*

ვნახოთ, სადამდე გაძლებს თანამდებობაზე სანინოს შემცვლელი **ჯან პიერო გასპერინი**...

### ინგლისი

## განუმეორებელი ბერბა

„საუთჰემპტონთან" 6:1-ის შემდეგ ლონდონის „არსენალის" ფანები ტიტულზე (!) ოცნებობენ და **ჟერვინიოზე** აბოდებთ - ამ უკანასკნელს გამთამაშებლის პოზიციაზე გამწესებამ აშკარად არგო, რადგან ნახევარდაცვის ცენტრიდან ჟერვინიო მეტოქე გუნდის მცველებისთვის უფრო არაპროგნოზირებადია, ვიდრე თანაგუნდელებისთვის. „ტურის ყველაზე მაგარი კაცის" სტატუსს კი **დიმიტარ ბერბატოვი** იმსახურებს, რომელმაც „ფულჰემის" ფორმით ვესტ ბრომვიჩს დუბლი შეუსრულა. „სანდი თაიმსი" წერდა, ბერბასგან ასეთ შემართებას ინგლისში არავინ ელოდაო. ბულგარელი დიდმა კაცმა **ალან შირერმაც** შეაქო, ასეთი მონდომებული დიმიტარი „ფულჰემს" ევროსარბიელზე გაიყვანსო. როგორც იცით, ბერბატოვმა „ფიორენტინას" და „იუვენტუსის" ბოსებს უარი მარტო იმიტომ შეუთვალა, რომ მის ცოლი ლონდონზეა შეყვარებული, „ფულჰემს" კი გაუმართლა, ბულგარელი „არსენალმა" და „ჩელსიმ" რომ არ აიყვანეს...

## როი, ათამაშე მაიკლი სან მარინოსთან!

როგორც მოსალოდნელი იყო, **ანტონ ფერდინანდმა ჯონ ტერის** და **ეშლი კოულს** ხელი არ ჩამოართვა, რაც ყველასათვის კარგად ნაცნობილი სკანდალის მორიგი გამოძახილია და ინგლისში ახლა იმაზე ბჭობენ, იქნებ საერთოდ ამოვიღოთ პროტოკოლიდან ის, რომ ფეხბურთელებმა თამაშის წინ ერთმანეთს ხელი უნდა ჩამოართვანო. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ პრემიერლიგის მომდევნო ტურში „ლივერპული" „მანჩესტერ იუნაიტედს" მასპინძლობს და ყველა ხვდება, რომ **სუარესი ევრას** იმავე მიზეზით ხელს არ ჩამოართმევს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ რიტუალის გაუქმების კანონპროექტი მალე მომზადდება.

„სტოკ სიტისა" და „მანჩესტერ სიტის" მატჩის 90-ე წუთზე მასპინძელთა რიგებში მოედანზე **მაიკლ ოუენი** გამოჩნდა და მერე რა, რომ ბურთთან ურთიერთობა ვერ მოასწრო, მთავარი ისაა, რომ ინგლისის ნაკრების თავკაცი **როი ჰოჯსონი** 32 წლის ოუენს ნაკრებში გამოძახებას დაჰპირდა, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ: ა) თავდაუზოგავად იბრძოლებს; ბ) ბევრ გოლს გაიტანს; გ) ძალიან კარგად ითამაშებს.

ოქტომბერში ინგლისი სან მარინოს ეთამაშება და... როი, რა საჭირო იყო ამდენი ულტიმატუმი?

### ესპანეთი

## იყო და არა იყო რა

ის, რაც გასულ უქმეებზე „ვისენტე კალდერონზე" მოხდა, ვილაცისთვის საეჭვო ამბავია, ვილაცისთვის უბრალოდ გოლების წვიმა და ვილაცისთვის ესპანური ფეხბურთის ზეიმი. პირველ ტაიმში ისეთი არაფერი მომხდარა: „ატლეტიკომ" მარიო სუარესის გოლით 1:0 მოიგო. მეორე ტაიმის ქრონიკა მოკლედ: ჯერ, მადრიდელებმა შვიდ წუთში სამი გოლი გაიტანეს და ანგარიში 4:0 გახდა, მერე კი, „ატლეტიკოს" ფეხბურთელებმა რატომღაც აღარ მოისურვეს „რაიო ვალეკანოს" მოთამაშეების წამების გაგრძელება და იმდენი ქნეს, რომ ასევე ზუსტად შვიდ წუთში სამი გოლი მიიღეს...

## 12 წელი ბარსაში

**ლეო მესის** ვულოცავთ! არა მარტო იმას, რომ „ხეტაფესთან" მატჩში მოედანზე მხოლოდ მე-60 წუთზე გამოჩნდა და 18 წუთში დუბლი შეასრულა, არამედ, პირველ რიგში იმას, რომ „ბარსელონაში" მისი გამოჩენიდან ზუსტად 12 წელი გავიდა!

2000 წლის 17 სექტემბერს „ბარსას" ბაზაზე მივიდა ყველასათვის უცნობი მამაკაცი სახელად **ხორხე ლოპესი**, რომელსაც თან ახლდა 13 წლის მორცხვი ბიჭუნა... ამ ისტორიის გაგრძელება ყველამ იცის!

## ხეტაფე, ლევანტე, ბილბაო და...

ერთი მოგება, ერთი ფრე, ორი წაგება... ვინც ახლა ცხრილს გადახედა, მაშინვე მიხვდებოდა, რომ არც „ხეტაფეზე" ვწერთ, არც „ლევანტეზე" და არც „ბილბაოზე" - ამ გუნდებთან ერთად ასეთივე შედეგი აქვს მადრიდის „რეალსაც". ჟოზეს ბიჭები სევილიაში დამარცხდნენ, „სამეფო გუნდის" კარში გამარჯვების გოლი თვითონ **პიოტრ ტროხოვსკიმ** გაიტანა. მატჩის შემდეგ მოურინიომ თქვა, გუნდი არ მყავსო, ყოველდღიურმა გაზეთმა „სპორტმა" კი პორტუგალიელს „შეახსენა", რომ „რეალის" შემადგენლობა დაახლოებით 450 მილიონ ევროდაა შეფასებული.

*„...და „რეალს" გასავარდნ ზონამდე მხოლოდ ორი ქულაღა აშორებს,"* - ესეც ხსენებული გამოცემის ჰედლაინია.

### გერმანია

## ჰუშტი და ისევ ჰოფე

„ჰანოვერის" გამარჯვება „ვერდერთან" **ჟაბოლჩ ჰუშტიმ** დაიწყო და მანვე დაასრულა: მსაჯის მიერ დამატებულ მეორე წუთზე მაკრატელა-დარტყმით ულამაზესი გოლი გაიტანა და მასპინძლებს სამი ქულა მოუტანა, რამაც, რა საკვირველია, სიგიჟემდე გაახარა - უნგრელმა მაისურა გაიხადა და ფანებთან მივარდა, რის გამოც მეორე ყვითელი ბარათი აუფრიალეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ორი მატჩი უნდა გამოტოვოს.

ჰუშტი გააგდეს იმისათვის და იმის შემდეგ, რაზეც ნებისმიერი ფეხბურთელი იოცნებებდა!!! ძალიან სამწუხაროა, რომ კანონი ამას კრძალავს!

ჰოფენჰაიმში სერიოზული პრობლემებია. შესაძლოა, „ბერლინერისგან", „აინტრახტისგან" და „ფრაიბურგისგან" ჯამში მიღებული 13 გოლი ასატანი იყოს... დავუშვათ, რომ ხდება ხოლმე ის, რაც მეკარე **ტიმ ვიზეს** დაემართა (5-დან 4 გოლი მის სინდისზე იყო)... ვირწმუნოთ, რომ „ჰოფეს" უქულო აუტსაიდერობა დროებითია... მაგრამ, დალახვროს ეშმაკმა, ის ხომ მაინცაა ფაქტი, რომ „სოფლელების" მწვრთნელი **მარკუს ბაბელი** ცამდე მართალია, როცა ამბობს, დაუშვებელია, ფეხბურთელმა ისე თავისუფლად გაიტანოს გოლი, როგორც ეს **მაკიადიმ** „ფრაიბურგის" მეოთხე გოლის დროს გააკეთაო?!

**გოტფრიდ ლენცი**



თავისუფალი ჭიდაობა. ახალგაზრდული ნაკრები. სეზონის დასასრული. ინტერვიუ ნუგზარ სხირელთან

# ამ გუნდით ეს მაქსიმუმია

**ტაილანდში გამართული მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შორის, წლევანდელი ბოლო შეჯიბრება იყო ამ ასაკში საქართველოს ნაკრებისთვის. ჩვენი ახალგაზრდების ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში გამოსვლების შეფასება ამ ნაკრების მთავარ მწვრთნელს ბატონ ნუგზარ სხირელს ვთხოვეთ.**



ნუგზარ სხირელი შეგირდთან

**- ზაგრებში ევროპის ჩემპიონატი უჩვეულოდ წარუმატებელი იყო ჩვენი ნაკრებისთვის. გულშემატკივარი თქვენი გუნდისგან მედლების სიუხვეს მიეჩვია, კონტინენტის წლევანდელმა პირველობამ კი არ გაამართლა.**

- სეზონის დასაწყისში, საქართველოს ჩემპიონატის მერეც აღვნიშნე, რომ კონტინგენტი, რომელზე დაყრდნობითაც ამ სეზონში ჩვენი ნაკრები დაკომპლექტდებოდა, ვერ იყო ისეთი ძალის, რომელსაც ხელჩასაჭიდი წარმატების მოტანა შეეძლო. ვარაუდი გამართლდა. ახალგაზრდებმა განსაკუთრებით ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზეს ცუდად. მოგეხსენებათ, ზაგრებში მხოლოდ ერთი ბრინჯაოს მედალი ვიკმარეთ.

**- მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატი უკეთესი შედეგით დაასრულეთ.**

- ევროპის მერე მე და მეორე მწვრთნელმა ჯონი ლორიამ მოჭიდავეებთან ყველაფერი დაწვრილებით გავაანალიზეთ და შეძლებისდაგვარად გავაუმჯობესეთ შედეგი. მაგალითად, ორი წლის წინათ ამითაც უკმაყოფილო ვიქნებოდით, მაგრამ ტაილანდში მოპოვებული ორ-ორი ვერცხლი და ბრინჯაო წლევანდელი გუნდისგან მაქსიმუმად მიმაჩნია.

**- ყველაზე მოულოდნელი ალბათ ყველაშვილის მიერ ორივეგან მოპოვებული მედლები იყო, არადა, ადრე არსად ჩანდა.**

- ჯაბა ყველაშვილი ასაკის გამო გაისად ახალგაზრდებში ველარც გამოვა. აქამდე კი რაიმე აღსანიშნვი წარმატება მართლაც არ ჰქონია. მიუხედავად ამისა, გასულ წლებში ვფიქრობდი, რომ მას ჰქონდა პოტენციალი და ნაკრების მოსამზადებელ შეკრებებზე თუ საშუალება იყო, მიმყავდა სავარჯიშოდ. ჩანს, ამას უკვალოდ არ ჩაუვლია და წლეულს იგი ჯერ საქართველოს ჩემპიონი გახდა სრულიად დამსახურებულად, მერე კი ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატების ბრინჯაოს მედლებიც დაიმსახურა.

**- სასიამოვნოა, რომ ტაილანდში ლაშა ტალახაძე (55 კგ) ისევ დაუბრუნდა კვარცხლბეკს შარშანდელი ჩავარდნის მერე.**

- ორი წლის წინათ ლაშამ 50 კგ-ში ევროპაზე ბრინჯაოს, მსოფლიოზე კი ვერცხლის მედლები მოიპოვა. შესაბამისად შარშანაც თითქოს ლოგიკური უნდა ყოფილიყო მისგან წარმატების მოლოდინი, მაგრამ ამ სპორტსმენს წონის კლება გადაულახავ პრობლემად ექცა, 50 კგ-ში უდიდესი გაჭირვებით იკლებდა, 55 კგ-ში ლადო ხინჩეგაშვილი იყო. ამიტომ მან შარშან ვერაფრით დაგვამახსოვრა თავი. ამ სეზონში კი ტალახაძემ უკვე 55 –ში აინაცვლა და საქართველოს ჩემპიონობას ტაილანდში ვერცხლის მედალიც მიაყოლა. თუ მან ეს წონა შეინარჩუნა, მერწმუნეთ, ერთ-ორ წელიწადში საქართველოს ნაკრების ლიდერთა შორის დაიმკვიდრებს ადგილს.

**- შარშანდელი გამარჯვებების ფონზე წლეულს გენო პეტრიაშვილის გამოსვლით თუ ხართ კმაყოფილი.**

- გენოს რომ ბევრი შეუძლია, ამაზე ზედმეტადაც მიმაჩნია ლაპარაკი. იგი ჩემი და საერთოდ, ქართული საჭიდაო სკოლის ახალი დიდი იმედია და მჯერა, რომ გაამართლებს კიდეც. პეტრიაშვილი ჯერ 18 წლისაა, ზუსტად ევროპის ჩემპიონატისას სკოლაში გამოცდები ჰქონდა, მსოფლიოს ჩემპიონატისთვის კი უკეთ მოემზადა და ბრინჯაოც მიიღო. ნიშანდობლივია, რომ ის ერთადერთი წაგებული შეხვედრაც მინიმალური სხვაობით დათმო, არადა, მეორე პერიოდში ისეთი განწყობით გავიდა, რომ რუსი მოწინაალმდეგე ქულის აღებისას ხალიჩიდან კი არა, საერთოდ არენიდან იატაკზე მოისროლა - სამკურნალოც გახდა. პეტრიაშვილი ძალიან აგრესიული, შემტევი სტილის ათლეტია, სულ მოძრაობს, არ ჩერდება ხალიჩაზე, თითქმის არ იღლება. გორში მის წონაში სპარინგ-პარტნიორების სიმცირეა და გადავწყვიტეთ, რომ უახლოეს მომავალში, კვირაში რამდენიმე დღე დედაქალაქში ივლის სავარჯიშოდ.

**- ოქრომდე ერთი ნაბიჯი დააკლდა კოტე ხაბალაშვილს, რომელიც ყველაშვილის და პეტრიაშვილის დარად გორის დარბაზის აღზრდილია.**

- ხაბალაშვილს ზაგრებშიც უნდა მიეღწია მედლამდე, მაგრამ ზედიზედ სამი შეხვედრის ბრწყინვალედ მოგების მერე ჯერ ნახევრაფინალში და შემდეგ მესამე ადგილისთვის ერთი და იმავე შეცდომების მიზეზით დათმო. ამაზე სიღრმისეულად ვიმუშავეთ და ტაილანდში მსგავსი აღარ განმეორებულა, მაგრამ ფინალში გადასასვლელის მოგება ისე იზეიმა, მომეჩვენა თითქოს გადამწყვეტ შეხვედრაში სათანადოდ ველარ იყო განწყობილი.

**- კვარცხლბეკს მიღმა დარჩენილებზეც გვითხარით...**

- მათგან ნაწილს აქვს პოტენციალი კიდევ მოუმატოს და გაისად უკეთ წარმოაჩინოს თავი, მაგრამ, რაც ამ ეტაპზე აჩვენეს, მედლებამდე ვერ მივიდოდნენ. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მსაჯობა მსოფლიოს ჩემპიონატზე თითქმის იდეალური იყო, მათ არათუ ჩვენი შეგირდები არ დაუჩაგრავთ, ყველასთან მიმართებაში ობიექტურად მოქმედებდნენ.

**- ნაკრები უკანასკნელ წლებში ყოველ სეზონს უკრაინის და თურქეთის ტურნირებით ასრულებს...**

- მომდევნო წლის გუნდის შემადგენლობის კონტურები აღნიშნულ შეჯიბრებებზე იკვეთება ხოლმე, თუმცა, სამწუხაროდ, ამჯერად მიზეზთა გამო ვერ ხერხდება იქ გამოსვლა.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან



ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი მძიმეწონოსანი გენო პეტრიაშვილი (ზემოდან) ასპარეზობისას

რეგიონი. რევაზ ლაშხის ტურნირი

# ბორჯომს ეამაყება

**ლონდონის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში რევაზ ლაშხი ყველაზე ტიტულოვანი ბორჯომელი სპორტსმენია და რა გასაკვირია, რომ აქაურთათვის იგი ერთ-ერთ ყველაზე საამაყო ადამიანად იქცა.**

ბორჯომის მუნიციპალიტეტის და სასპორტო სკოლის ინიციატივით ჯერ კიდევ შარშან, როდესაც რევაზ ლაშხი ევროპის ჩემპიონი გახდა, საფუძველი ჩაეყარა მისი სახელობის ტურნირს უმცროსი ასაკის მოჭიდავეთა შორის. წლეულს ამ შეჯიბრებას ბორჯომის სპორტკომპლექს „ოლიმპის“ დარბაზმა უმასპინძლა. იასპარეზეს 1998-2000 წლებში დაბადებულმა ჭაბუკებმა. შეჯიბრება რომ წარმომადგენლობითი იყო, 18 გუნდის მონაწილეობითაც დასტურდება.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაგაცნობთ გამარჯვებულებს: **ტარიელ კურტანიძე** (20 კგ. ბორჯომი), **საბა კიკაძე** (23; თბილისი), **დიმიტრი ხაჩიძე** (26; ბორჯომი), **ავთანდილ ბიძინაშვილი** (29; სართიჭალა), **ვასილ ხაჩიძე** (32; ბორჯომი), **ნიკა შანავა** (35; თბილისი), **თემურ გოგია** (38; სენაკი), **გიორგი ნოზაძე** (41; ჭიათურა), **აივენგო რიკაძე** (47; სართიჭალა), **ოთარ მამნიაშვილი** (53; ნორიო), **ნიკოლოზ ჭიკაიძე** (58; სართიჭალა), **გურამ მსხილაძე** (66; ბორჯომი), **ბექა მაკარიძე** (+66; თერჯოლა).

გუნდური პირველობა წილად ხვდა ბორჯომის ნაკრებს (მწვრთნელები **მამუკა კაპანაძე, ივანე მულაძე**), მეორე იყო სართიჭალა.

*„ტურნირს თავად რეზო ლაშხიც ესწრებოდა, რომელიც ასპარეზობის დაწყებამდე ერთი დღით ადრე ჩამოვიდა უცხოეთიდან. შეჯიბრებაზე სტუმრად გვყავდნენ აგრეთვე ნაკრებიდან ლაშხის თანაგუნდელები და, რაც მთავარია, ტურნირს ესწრებოდა უამრავი მაყურებელი“* - გვითხრა სასპორტო სკოლის დირექტორმა **გიორგი რაზმაძემ.**

**ვასილ ბალახაძე**

სამბო

# სამზადისი მსოფლიოსთვის

**წლეულს, საქართველოს პირველობები სამბოში (ჭაბუკები, ახალგაზრდები, დიდები) გაზაფხულზე ევროპის პირველობის წინ უკვე ჩატარდა. ახლა მსოფლიოს პჩემპიონატებია კარს მომდგარი და შერჩევის მიზნით საქართველოს (საშემოდგომო) ჩემპიონატი მეორედ იმართება.**

რეგიონების სახელით მოასპარეზე 300-ზე მეტ მოჭიდავეს დიღომში, ძიუდოს დარბაზი ერთი დღე ჭაბუკებს, მეორე - ახალგაზრდებს დაეთმოთ. საერთო რაოდენობაში ჭაბუკები ჭარბობდნენ...



**კვარცხლბეკი**

**ჭაბუკები**

**48კგ.** 1. ირაკლი კუპატაძე (კახეთი), 2. ლევან შონია (იმერეთი), 3. ლერი ბედინაძე (აჭარა), 3. დავით კორტი (იმერეთი).

**52კგ.** 1. იაგო დიხამინჯია (იმერეთი), 2. ანზორ მაჩიტაძე (სამეგრელო-ზემ. სვანეთი) 3. სანდრო ხუციანიძე (კახეთი), 3. გიორგი შავდათუაშვილი (შიდა ქართლი).

**56კგ.** 1. გიორგი ნათათრალაშვილი (რაჭა-ლეჩხუმი-ქვ. სვანეთი), 2. სოლომონ თედიაშვილი (კახეთი), 3. ივანე გაჩეჩილაძე, 3. ვარლამ შალიკაშვილი (ორივე - იმერეთი).

**60კგ.** 1. ლევან თანიაშვილი (თბილისი), 2. ზაზა როსტომაშვილი (კახეთი), 3. მურზა გუჯეჯიანი (ქვ. ქართლი), 3. ბაჩანა ჭიკაიძე (თბილისი).

**65კგ.** 1. ლევან კირკიტაშვილი, ცოტნე მელაშვილი (ორივე - თბილისი), 3. ბექა ფალიანი (სამეგრელო-ზემო სვანეთი), 3. კობა მჭედლიშვილი (კახეთი).

**70კგ.** 1. თომა თავზარაშვილი (თბილისი), 2. პავლე ქავთარაძე (მცხეთა - მთიანეთი), 3. აპალონ ზურაბიანი (რაჭა-ლეჩხუმი-ქვ. სვანეთი), 3. გიორგი მათიაშვილი (შიდა ქართლი).

**75კგ.** 1. უშანგი მარგიანი (იმერეთი), 2. სოლომონ ჯოჯუა (ქვ. ქართლი), 3. ლევან ცოკიაშვილი (კახეთი), 3. გურამ ხოხობაშვილი (თბილისი).

**81კგ.** 1. ზაურ მამარდაშვილი (კახეთი), 2. მიხეილ მეზურნიშვილი (თბილისი), ჯემალ შინჯიკაშვილი (კახეთი), 3. ჯონი ჭითანავა (სამეგრელო-ზემო სვანეთი).

**87კგ.** 1. ილია ოტიაშვილი (კახეთი), 2. გოგიტა ითაშვილი (ქვ.ქართლი), 3, ნიკა ნიქაბაძე (იმერეთი), 3. მერაბ ქალდანი (ქვ.ქართლი).

**+87კგ.** 1.გიორგი ლაზუაშვილი, გუგა კიბორძალიძე (ორივე - იმერეთი), 3. გიგა გელაშვილი, 3. ჯემალ დაბრუნდაშვილი (ორივე - შიდა ქართლი).

**ახალგაზრდები**

**48კგ.** კგ. 1. ლერი ჯიხვაშვილი (იმერეთი), 2. გიორგი მირუაშვილი (შიდა ქართლი), 3. ავთანდილ მზარეულიშვილი (თბილისი).

**52კგ.** 1. გივი ნადარეიშვილი (სამეგრელო-ზემო-სვანეთი), 2. ლევან ბერბერაშვილი (მცხეთა-მთიანეთი), 3. გიგა ბუკია (სამეგრელო-ზემო-სვანეთი), 3. გიორგი რაზმაძე (კახეთი).

**57კგ.** 1. თორნიკე მუზაშვილი (თბილისი), 2. ნუკრი ლვინჯილია (სამეგრელო-ზემო- სვანეთი), 3. ლევან ჩხეტიანი (ქვ. ქართლი), 3. იოსებ ცერცვაძე (თბილისი).

**62კგ.** 1. ლაშა გიუნაშვილი (შიდა ქართლი), 2. ლუკა ჯაში (თბილისი), 3. დავით თარაშვილი (შიდა ქართლი), 3. გიორგი ქალდანი (თბილისი).

**68კგ.** 1. ირაკლი ლომიძე, 2. ვანიკო თოთლაძე (ორივე - შიდა ქართლი), 3. ზაზა პირველი (თბილისი), 3. გიორგი კაცია (სამეგრელო-ზემო სვანეთი)

**74კგ.** 1. მიხეილ ჩოხელი (კახეთი), შმაგი შარიფაშვილი (შიდა ქართლი), 3. ანდრო გვენეტაძე (თბილისი), 3. ჯაბა ბიწაძე (კახეთი).

**82კგ.** 1. ამირან იანვარაშვილი (შიდა ქართლი), 2. გიორგი მახარაშვილი, 3. თორნიკე მნათობიშვილი (ორივე - მცხეთა-მთიანეთი), 3. გიორგი ჯაფარიძე (სამეგრელო- ზემო-სვანეთი).

**90კგ.** 1. თეიმურაზ ხაჩიძე, 2. შალვა ნინიძე, 3. ავთანდილ სომხიშვილი (სამივე - თბილისი), 3. თემურ ნიჟარაძე (იმერეთი).

**100კგ.** 1. თორნიკე ოთინაშვილი (სამაჩაბლო), 2. დავით მერაბიშვილი (თბილისი), 3. გიორგი პარუნაშვილი (ორივე - თბილისი), 3. ბექა წყალობაშვილი (კახეთი).

**+100კგ.** 1. უშანგი კოკაური (შიდა ქართლი), 2. სლაბა რეზესიძე (ქვ. ქართლი), 3. გიგა გელაშვილი (შიდა ქართლი), 3.გიორგი ზაქარიაძე (იმერეთი).

**შეგახსენებთ,** რომ ევროპის წლევანდელ პირველობაზე ჭაბუკებმა გუნდური პირველი, ახალგაზრდებმა მეორე, დიდებმა კი მესამე ადგილი მოიპოვეს (სულ 24 მედალი).

2012 წლის მსოფლიოს ჩემპიონატები ბულგარეთში (ახალგაზრდები-ჭაბუკები, ოქტომბერი) და ბელარუსში (მამაკაცები, ნოემბერი) გაიმართება. მანამდე ჩვენი კადეტები ევროპის პირველია პირველობაზე იჭიდავებენ (ტალინი 20-24 სექტემბერი). ჩვენი სამბისტები ამ საერთაშორისო შეჯიბრებებიდან, ვფიქრობთ, უხვი ნადავლით დაბრუნდებიან შინ.

**გაბრიელ ბარჯაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# პირველი წრე ოთხმა გაიარა

ქართველ ჩოგბურთელ ქალთა უმეტესობა ბათუმის საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 15.000 დოლარი) მონაწილეობს.

ძირითად ბადეში 14 ჩვენებური ჩაება. გუშინდელი პირველი წრის შემდეგ შეჯიბრებას ოთხი მათგანი შემორჩა. მეორე ნომრად განთესილმა **სოფიო ქვაცაბაიამ** ძალების დაუძაბავად სძლია თანამემამულე **ანი გოგვაძეს** - 6:1, 6:4, **ნათია გეგიამ** გერმანელი რია საბეი ჩამოიშორა გზიდან - 6:2, 6:3, **ლანა როსტიაშვილმა** და **ესთერ სარქისიანმა** უშანსოდ წააგეს, შესაბამისად, პირველ ნომრად განთესილ იულია კალაბინასთან (რუსეთი, 0:6, 0:6) და იასმინე ჰანტოსთან (ავსტრალია, 1:6, 1:6). უკრაინის სახელით მოასპარეზე სოფიკო ქაჯაიამ თბილისელ ბაბილინა მაჩაიძეს აჯობა 6:3, 7:5 და მე-2 წრეში ბარბარე ერისთავის მძლეველს (6:1, 6:1), ტურნირზე მე-6 ნომრად განთესილ **ეკატერინე გორგოძეს** გაუწევს მეტოქეობას.



სოფიო ქვაცაბაია

პირველი წრის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ევგენია პაშკოვა (რუსეთი) - **მარიამ ბოლქვაძე** - 6:4, 7:5, ტერეზა კლეინშტეუბერი (გერმანია) - **მარიამ გოგელაშვილი** 6:0, 6:1, ანასტასია შესტაკოვა (უკრაინა) - **ირინე ყარანგოზიშვილი** 6:2, 6:3, ანი ამირაგიანი (სომხეთი) - **თამარ ჭალაგანიძე** 6:1, 6:1, ოლგა იანჩუკი (უკრაინა) - სუზანა გრიგორიანი (რუსეთი) 6:3, 6:0, **მარგალიტა ჭიჭაშვილი - კლეოპატრა ქარუმაშვილი** 6:3, 6:4, ელიზავეტა იანჩუკი (უკრაინა) - ალიონა ფომინა (უკრაინა) 6:2, 6:3, ანა შკუდუნი (უკრაინა) - იულია ჰელბეტი (მოლდოვა) 6:1, 6:2, განა როზნიხირენკო (უკრაინა) - ეკატერინა წიკლაური (რუსეთი) 6:0, 6:1, ვიქტორია ლუშკოვა (უკრაინა) - მარიამ დოლაშვილი (უკრაინა) 6:1, 7:6.

გამარჯვებულები მეორე წრეში ასე დაწყვილდნენ, კალაბინა (1) - ჰანტოსი, ქაჯაია - გორგოძე (6), პაშკოვა (4) - კლეინშტეუბერი, შესტაკოვა - ამირაგიანი (8), ო. იანჩუკი (5) - გეგია, ჭიჭაშვილი - ე. იანჩუკი (3), შკუდუნი (7) - როზნიხირენკო, ლუშკოვა - ქვაცაბაია (2).

წყვილებში გუშინ პირველი წრის ოთხი შეხვედრა გაიმართა: გოგვაძე, წიკლაური - როსტიაშვილი, ჰანტოსი 6:3, 6:1, ჰელბეტი, ქაჯაია - გრიგორიანი, მაჩაიძე 6:2, 6:3, ბოლქვაძე, ერისთავი - სარქისიანი, ჭიჭაშვილი 6:1, 6:3, ფომინა, შკუდენი - ჭალაგანიძე, შესტაკოვა 6:2, 6:1.

ყაზახური ჩიმკენტის ქალთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) ძირითად ბადეში გამოდიოდა **ოქსანა კალაშნიკოვა,** მაგრამ ასპარეზობის სტარტზე მე-6 ნომრად განთესილ ჟუსტინა ჟეგიოლკასთან (პოლონეთი) დამარცხდა - 6:7, 6:1, 3:6.

ფრანგული საინტ-მალოს 25.000-იან ტურნირში ცდიდა ძალებს **მაკა ჩახნაშვილი,** მაგრამ პირველსავე წრეში მანაც მე-6 ნომრად განთესილ ალისონ ვან იუტვანსკისთან (ბელგია) სამ სეტში დათმო შეხვედრა - 6:3, 2:6, 1:6 და შეჯიბრებას გამოეთიშა.

**ვაჟა დანელია**

მხატვრული ტანვარჯიში

# მოზარდები გრაციაში

სახელოვანი ქართველი მწვრთნელის - ნელი სალაძის სახელობის მხატვრული ტანვარჯიშის აკადემიის სასპორტო კლუბმა „გრაციამ" მეხუთედ უმასპინძლა საერთაშორისო ტურნირს, რომელშიც აკადემიის აღსაზრდელებთან ერთად სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. გამარჯვებულები და პრიზიორები გამოვლინდნენ ექვს ასაკში. გაგაცნობთ მათ ვინაობას.

**9-წლიანები.** 1. სალომე ოქროპირიძე, 2. ანა ოჰანესიანი (სომხეთი), 3. მარი ჩხეიძე. **10-წლიანები.** 1. ლამაი ჰაჯიევა (აზერბაიჯანი), 2. ნატალია თაბაგარი, 3. დარია სოროკინა (აზერბაიჯანი). **11-წლიანები.** 1. ლეილა იბრაგიმოვა (აზერბაიჯანი), 2. ანი ნიკაგოსიანი (სომხეთი), 3. ნატო მიმინოშვილი. **12-წლიანები.** 1. რუქია საფაროვა (აზერბაიჯანი), 2. მარინა კაკაბაძე, 3. ბელა ვართანიანი (სომხეთი), **13-წლიანები.** 1. ნინია როხვაძე, 2. ქეთევან ლომაძე, 3. ლუიზა მანუკიანი (სომხეთი).

განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა პაექრობები 1998 წელს დაბადებულთა შორის. მრავალჭიდში ყველას აზერბაიჯანელმა ლამან დადაშმა (93,775) აჯობა. მანვე ცალკეულ საგნებშიც იყოჩაღა და სამი პირველი ადგილი დაიკავა. ბურთით ვარჯიშში პირველი იყო სალომე ურუშაძე, რომელმაც მრავალჭიდში 88.675 ქულით ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ხოლო გურზებით მეორე ადგილი დაიკავა. მრავალჭიდში 88.800 ქულით მეორე ადგილი ლიზი აფაქიძეს ერგო. მასვე ლენტით მეორე, გურზებითა და ბურთით მესამე ადგილები ხვდა.

- მხატვრული ტანვარჯიში მსოფლიოში სულ უფრო მეტად იხვეჭს პოპულარობას, - გვითხრა **ნელი სალაძემ,** - ამიტომ კონკურენციაც გაიზარდა. ამ პროცესებს არ უნდა ჩამოვრჩეთ, რომ



მარცხნიდან: სალომე ურუშაძე, ქეთევან ლომაძე, ანი ზუმბულიძე

კონკურენტუნარიანი სპორტსმენები გავზარდოთ. ჩვენი აკადემია და სასპორტო კლუბი ყოველმხრივ ცდილობს, ნიჭიერი ახალგაზრდები შემოიკრიბოს და საერთაშორისო სარბიელისკენ გზა გაუკაფოს. ეს ტურნირიც სწორედ მოზარდი ტანმოვარჯიშეების დათვალიერება იყო. კარგი თაობა მოდის და მათ დაოსტატებას ყოველმხრივ უნდა შევუწყოთ ხელი.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი



სუათ ატალიკი (მარცხნივ) და ბაადურ ჯობავა

# ბოლოსწინა ადგილზე

ბულგარულ ბურგასში დასასრულს უახლოვდება შავი ზღვის ქვეყნების მოჭადრაკეთა ფინალური ტურნირი, რომელშიც ექვსი დიდოსტატი მონაწილეობს, მათ შორის - **ბაადურ ჯობავა,** რომელმაც შეჯიბრებამდე ცოტა ხნით ადრე ხერხემალზე ორი ოპერაცია გაიკეთა და ბოლომდე მომჯობინება ვერ მოასწრო, რამაც შედეგებზეც იმოქმედა: რვა ტურში მან მხოლოდ ერთხელ მიაღწია წარმატებას (თურქი სუათ ატალიკი დაამარცხა), სამი შეხვედრა ყაიმით დაასრულა და ოთხი ორთაბრძოლა დათმო. კარიერის განმავლობაში ბაადურს ასეთი სუსტი შედეგი არასდროს ჰქონია. ეტყობა. მასპინძლებს ხათრი ვერ გაუტეხა, თორემ, მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის მსგავსად, არც ბურგასში იასპარეზებდა.

გუშინ ბოლოსწინა მეცხრე ტურის შეხვედრები ყაიმით დასრულდა. დაზავდნენ: ვლადიმირ მალახოვი (რუსეთი) - ალექსანდრ არეშჩენკო (უკრაინა), ივან ჩეპარინოვი (ბულგარეთი) - ლივიუ-დიტერ ნისიპეანუ (რუმინეთი), სუათ ატალიკი (თურქეთი) - ბაადურ ჯობავა.

ცხრა ტურის შემდეგ: ჩეპარინოვი - 6,5, მალახოვი - 6, ნისიპეანუ, არეშჩენკო - 5-5, ჯობავა - 3, ატალიკი - 1,5 ქულა.

დღეს ითამაშებენ: არეშჩენკო - ატალიკი, ჯობავა - ჩეპარინოვი, ნისიპეანუ-მალახოვი.

**ვაჟა დანელია**

# მეწინავეთა შორის

საქართველოს 10 წარმომადგენელი ასპარეზობს თურქული იზმირის მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში, რომლის მონაწილეთაგან 16-მა ექვს ტურში 5-5 ქულას მოუყარა თავი.. მათგან ხუთი ჩვენებურია. ხუთოსნები გუშინ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ: რამილ ჰასანგატინი (რუსეთი) - მაქსიმ ტუროვი (რუსეთი) 0,5:0,5, ივან როზუმი (რუსეთი) - ივან პოპოვი (რუსეთი) 0:1, ალექსანდრ შიმანოვი (რუსეთი) - **გიგა ყუფარაძე** 0,5:0,5, **შოთა აზალაძე** - კაიდო კულაოტსი (ესტონეთი) 0:1, ნაზარ ფირმანი (უკრაინა) - **ზურაბ ჯავახაძე** 1:0, კირილ სტუპაკი (ბელარუსი) - ჰანძარ ოდეევი (თურქმენეთი) 0,5:0,5, **დავით მალალაშვილი - ბაჩანა მორჩიაშვილი** 0:1, მიხაილ მოჟაროვი (რუსეთი) - ასკარ რზაევი (აზერბაიჯანი) 1:0.

დანარჩენ ქართველთა პარტიები ასე დამთავრდა: **კონსტანტინე შანავა** (4,5) - უმუტ ატაკისი 1:0, კაზბეკ პრიმბეტოვი - **ივერი ჭილლაძე** (4,5) 0:1, **არმენ გრიგორიანი** (საქართველო, 4) - კიხან დილექი 1:0, **ალექსანდრე ებრალიძე** (4) - ჰუსეინ სერბულენტი 1:0, ბორ ბოლუკბასი - **მარიამ ჭოლაძე** (3,5) 0:1.

შვიდი ტურის შემდეგ: კულაოტსი, მოჟაროვი, პოპოვი, ფირმანი, მორჩიაშვილი-6-6, ყუფარაძე, ჭილლაძე, შანავა-5.5-5.5, მალალაშვილი, აზალაძე, ჯავახაძე, გრიგორიანი, ებრალიძე-5-5, ჭოლაძე-4.5 ქულა.

**ვაჟა დანელია**

სიახლე





# პირველი მარათონი ღია წყალზე

საქართველოს მოცურავეთა კლუბის, სპორტის საწყალოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის, თბილისის მერიის სპორტის სამსახურისა და „ლისი დეველოპმენტის" ორგანიზებით 15 სექტემბერს ლისის ტბაზე ჩატარდა საქართველოში პირველი მარათონული გაცურვა ღია წყალზე 50-მდე პროფესიონალ და მოყვარულ მოცურავეთა მონაწილეობით. პრიზები: პირველი ადგილი - 400 ლარი, მეორე-200, მესამე-100.

გამარჯვებულები და პრიზიორები. **ქალები.** 3000 მ: 1. **თეონა ბოსტაშვილი** (დაბ. 1997წ) - 0:51.18 (რუსთავი), 2. **სოფო სალარაძე** (1997) - 0:51.59 ("ტონუსი"), 3. **ოქსანა ბელოვა** (1997) - 0:52.57 (რუსთავი).

**ვაჟები.** პირველი ასაკობრივი ჯგუფი. 500მ: 1. **თეიმურაზ კობახიძე** (1995) - 1:07.38 ("ლაგუნა-ვერე"), 2. **დავითი შახნაზაროვი** (1996) - 1:11.03 ("ტონუსი), 3. **აკაკი ვაშაკიძე** (1998) - 1:13.17 (რუსთავი).

**ვაჟები.** მეორე ასაკობრივი ჯგუფი. 5000 მ: 1. **ირაკლი რევიშვილი** (1989) 1:00.44, 2. **დავით სიხარულიძე** (1994) 1:05.10, 3. **ირაკლი ბოლქვაძე** (1994) 1:07.13 (სამივე - "ტონუსი").

სუმო. სექტემბრის ბაშო. 9-23 სექტემბერი

# ნაგება აღარ შეიძლება

შემოდგომის ბაშოს ორი მესამედი გავიდა და ელიტაში მოჭიდავე ორივე ქართველმა ამოწურა ნაგებათა ლიმიტი. ახლა მორიგი მარცხი თითოეული მათგანისთვის უარყოფითი ბალანსის დაბევების ტოლფასი იქნება.

**ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე)** კომუსუბის ტიტულის დაკარგვის საფრთხის წინაშეა, ამიტომ ჩვენებური გააფთრებით იბრძვის, გუშინ მან უფრო მაღალი რანგის რიკიში, **მიოგირიუ** დაამარცხა. **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)** კი **ტოიონოშიმასთან** ორთაბრძოლის ბოლო მომენტში დაუშვა შეცდომა, ქართველმა კიდესთან მიიყვანა მეტოქე, მაგრამ მას მხარი დაანება და ტოიონოშიმამაც კატასუკაშის ილეთით გაიმარჯვა.

გუშინ პირველად დამარცხდა დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო,** თანაც მონღოლს რიგითმა მაეგაშირამ აჯობა - **ტოჩიოძანმა** - იოკოძუნამ ვერ გათვალა შეტევის სიმძლავრე და თავად დაეცა დოჰიოზე. ბაშოს ერთპიროვნული ლიდერი ჰყავს - მონღოლი ოძეკი **ჰარუმაფუჯი,** რომელმაც ყველა (10-ვე) ბრძოლა მოიგო.

**X დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ტოჩიოძანი-ჰაკუჰო (ჰატაკიკომი), ჰარუმაფუჯი-ტაკაიასუ (შიტატენაგე), კისენოსატო-გოეიდო (სუკუინაგე), კაკურიუ-კიოკუტენჰო (ცურიდაში), **ტოჩინოშინი**-მიოგირიუ (იორიტაოში), აოიამა-შოჰოზანი (ჰატაკიკომი), კაისეი-ტოიოჰიბიკი (ოშიდაში), ტოიონოშიმა-**გაგამარუ** (კატასუკაში), ტოკიტენკუ-არანი (იორიკირი), ჰომაშო-იოშიკაძე (იორიკირი).

**სატურნირო მდგომარეობა**

**10-0**: ჰარუმაფუჯი (ოძეკი)

**9-1**: ჰაკუჰო (იოკოძუნა), კისენოსატო (ოძეკი), კიოკუტენჰო (მაეგაშირა 11).

**8-2**: კაკურიუ (ოძეკი), ოკინოუმი (მ 8), ტაკაიასუ (მ 9)... **3-7**:: **ტოჩინოშინი** (კომუსუბი), **გაგამარუ** (მ 2).

**XI დღე**

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-გოეიდო, ამინიშიკი-კისენოსატო, კაკურიუ-კაისეი, ჰარუმაფუჯი-ოკინოუმი, მიოგირიუ-ტოჩიოძანი, **გაგამარუ**-აოიამა, **ტოჩინოშინი**-შოჰოზანი, ტოიონოშიმა-არანი, ჰომაშო-კიოკუტენჰო, ტოიოჰიბიკი-ტაკაიასუ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

ინტერვიუ გიორგი ცინცაძესთან

# ევრობასკეტზე მოხვედრა დიდი პასუხისმგებლობაა



2009 წელს საქართველოს ნაკრებმა B დივიზიონიდან ელიტაში გადაინაცვლა. მაშინ **გიორგი ცინცაძე** ქვედა ლიგის საუკეთესო მეპასე გახდა, საშუალოდ 5.8 შედეგიან გადაცემას აგროვებდა (ერთი ერთეულით გაასწრო ჩერნოგორიელ ომარ კუკს). მას მერე 5-ზე მეტ შედეგიან გადაცემას 2012 წელს მიაღწია - შესარჩევ ეტაპზე საშუალოდ 5.1 პასს აგროვებდა. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ სანაკრებო კარიერაში ერთი ციკლის მიხედვით ცინცაძე პირველად სწორედ წლეულს ასცდა 10-ქულიან ნიშნულს - საშუალოდ 11 ქულა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს ნაკრებში ყველაზე მეტი სათამაშო დრო სწორედ ცინცაძეს ჰქონდა - 32.9 წუთი, თამამად შეგვეძლება ვთქვათ, რომ მისთვის სანაკრებო დონეზე "ევრობასკეტი 2013"-ის შესარჩევი ეტაპი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული შეჯიბრება იყო.

ახლა საკლუბო სეზონის ჯერია. გიორგი ცინცაძემ აგვისტოში კონტრაქტი გააფორმა უკრაინულ „ბუდიველნიკთან", რომელიც ევროთასზე იასპარეზებს. გიორგი ახალ კლუბს მალე შეუერთდება, მანამდე კი მის ინტერვიუს გავეცნოთ.

- ამჟამად „ბუდიველნიკი" შეკრებაზეა და უკრაინაში 24 სექტემბრისთვის დაბრუნდება. მეც სწორედ მაშინ შევუერთდები და ახალი სეზონისთვის მზადებას შევუდგები.

**- შესარჩევი ეტაპის დასრულების შემდეგ „ბუდიველნიკის" მთავარ მწვრთნელ აინარს ბაგაცკისს თუ ესაუბრე?**

- მას რიგაში, ლატვია-საქართველოს მატჩის შემდეგ შევხვდი. გულახდილად ვისაუბრეთ.

**- თამაშის შესახებ რა გითხრა? ლატვიაში გამარჯვება ხომ ჩვენი გუნდისთვის შესარჩევი ეტაპის უმთავრესი მოვლენა იყო - ევრობასკეტის საგზური მოვიპოვეთ.**

- აინარს ბაგაცკისთან უშუალოდ სანაკრებო თამაშზე ცოტა ვილაპარაკე. ლატვიაში მართლაც მნიშვნელოვანი ბრძოლა მოვიგეთ, დასახულ მიზანს მივაღწიეთ. როგორც აღმოჩნდა, დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ევროპის ჩემპიონატზე რომელი ადგილით გავიდოდით, სავარაუდოდ, ეს წილისყრაზე არ აისახება.

**- წლევანდელ შესარჩევზე თითქმის ყველა შეხვედრა დაძაბული გამოდგა...**

- რვიდან ორ მატჩში დავმარცხდით. ორივე შემთხვევაში გამარჯვებულის ბედი ბოლო წამებზე გადაწყდა. იგივე შეიძლება ითქვას დანარჩენ ოთხ შეხვედრაზეც - მხოლოდ რუმინელებთან არ მისულა საქმე ბოლო წუთებამდე, სხვა მეტოქეებთან კი საინტერესო და დრამატული ბრძოლები გადავიტანეთ. თითოეულში შეიძლებოდა როგორც მოგვეგო, ასევე წაგვეგო. თუმცა საბოლოოდ ჩვენს სასარგებლოდ 5 მატჩი დავასრულეთ.

**- ამის ერთ-ერთი მიზეზი გამოცდილება უნდა იყოს.**

- ბიჭები მშვენივრად გაისარჯნენ. ასე ვერ ითამაშებ, თუ სათანადო ფორმაში არ ხარ. გადამწყვეტ მომენტში მართლაც დიდი მნიშვნელობა აქვს გამოცდილებას. ზაზა ფაჩულია, ჯეიკობ პულენი, ვიქტორ სანიკიძე, მანუჩარ მარკოიშვილი კლასით მეტოქეებზე მაღლა იდგნენ. ეს გარკვეულ მომენტებში კარგად იგრძნობოდა, განსაკუთრებით, მაშინ, როცა თამაშის ბედი წყდებოდა.

**- არაფერი გითქვამს გიორგი ცინცაძეზე.**

- იქიდან გამომდინარე, რომ გუნდმა წარმატებას მიაღწია, საკუთარ გარჯასაც დადებითად შევაფასებდი. სტაბილურად ვთამაშობდი, საბოლოო სტატისტიკის მიხედვით პასებიც საკმარისად მქონდა და ქულებიც. გუნდში ყველაზე მეტი სათამაშო დრო მერგო, რაც იმას ნიშნავს, რომ კარგ ფორმაში ვიყავი და მწვრთნელი ბოლომდე მენდობოდა. შესარჩევი ეტაპისთვის მონდინებით ვემზადებოდი, ბევრს ვმუშაობდი, რამაც შედეგი გამოიღო.

**- ევროპის 2011 წლის ჩემპიონატზე მიღებული ტრავმის შემდეგ ექვსთვიანმა უქმობამ მოგიწია და მარტში „ოლიმპში" ითამაშე. კონდიციების აღდგენაში კლუბიც დაგეხმარებოდა.**

- რა თქმა უნდა. „ოლიმპში" სათამაშო პრაქტიკა შევიძინე. ამ კლუბის მწვრთნელ-ხელმძღვანელთა მისამართით მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ასევე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო დავით თორთლაძის ღვაწლი, რომელიც ინდივიდუალურად მამზადებდა. სწორედ მასთან გავიარე ტრავმისშემდგომი რეაბილიტაცია და თორთლაძემ ჩამაყენა ფორმაში.



## გიორგი ცინცაძე

დაიბადა: 07.02.1986
სიმაღლე: 192 სმ
ამპლუა: გამთამაშებელი

### საკლუბო კარიერა

| | |
|---|---|
| 2001-02 | „აკადემია" (თბილისი) |
| 2003 | „ბასკო" (ბათუმი) |
| 2003-04 | ცსკა (რუსეთი) |
| 2004 | რუსეთის „სამარა" (რუსეთი) |
| 2005 | რუსეთის „ურალ გრეიტი" (რუსეთი) |
| 2005-06 | რუსეთის „დინამო" (რუსეთი) |
| 2006-09 | „ტარტუ როკი" (ესტონეთი) |
| 2009 | „ტრიკალა" (საბერძნეთი) |
| 2009-10 | „დონეცკი" (უკრაინა) |
| 2010 | „აგრარული" (თბილისი) |
| 2010 | „სოპოტი" (პოლონეთი) |
| 2010-11 | „ტარტუ როკი" (ესტონეთი) |
| 2012 | „ოლიმპი" (თბილისი) |
| 2012-დან | „ბუდიველნიკი" (უკრაინა) |

### მიღწევები

2004 - ახალგაზრდული ევროლიგის ჩემპიონი
2004 - რუსეთის ჩემპიონი.
2006 - ულების თასის მფლობელი
2007, 08 - ესტონეთის ჩემპიონი
2008 - ბალტიის ლიგის „ვარსკვლავთა მატჩის" მონაწილე
2009 - ესტონეთის პირველობის საუკეთესო კალათბურთელი
2010 - საქართველოს თასის მფლობელი
2011 - ესტონეთის თასის მფლობელი
2011 - ბალტიის თასის გამარჯვებული

### საქართველოს ნაკრები

46 მატჩი, 325 ქულა (საშუალოდ 7.1), 156 პასი (3.4), 129 მოხსნა (2.8) და 58 ჩაჭრა (1.3).

**- საქართველოს ნაკრების მიერ შესარჩევ ეტაპზე ჩატარებული შეხვედრებიდან ყველაზე უკეთ რომელი დაგამახსოვრდა?**

- „უკეთ" დამამახსოვრდა-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ ყველაზე მეტად, ოღონდ ცუდი კუთხით, ბოსნიასთან თბილისური მატჩი მახსოვს. ბევრი ვიშრომეთ, მაგრამ ბოლო წუთებზე ყველაფერი წყალში ჩაგვეყარა.

**- ბოსნიასთან სტუმრად გამართული შეხვედრაც დრამატული გამოდგა.**

- საინტერესო თამაში იყო. ღირებული გამარჯვება მოვიპოვეთ. საბედნიეროდ, ბოლო წუთებზე ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდა. ეს უკვე კარგი გასახსენებელია.

**- საქართველოს ნაკრები მეორედ ითამაშებს ევრობასკეტზე. რას ნიშნავს ეს თითოეული კალათბურთელისთვის?**

- ასეთ ტურნირზე მოხვედრა დიდი პასუხისმგებლობაა. ევრობასკეტზე თამაში ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია და მისთვის სათანადოდ უნდა მოვემზადოთ. მზადების პირველი ეტაპი კლუბებში წარმატებული თამაში უნდა იყოს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

სუპერლიგა. სამედიცინო

# მედიკოსები ბაკურიანიდან დაეშვებიან


კახა შენგელია

საქართველოს ჩემპიონატის მონაწილე კლუბები აქტიურ მზადებაში არიან. სუპერლიგის დაწყებამდე ხომ ერთი თვეც არ დარჩა. სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდი ამჟამად მთავარი მწვრთნელის, **კახა შენგელიას** ხელმძღვანელობით მზადებას ბაკურიანში გადის. 11-დღიანი შეკრების შემდეგ მედიკოსები ბარში დაეშვებიან და ვარჯიშს თბილისში განაგრძობენ.

გასული სეზონის შემდეგ შემადგენობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა, რაზეც ბატონი კახა მოგვითხრობს:

*- იმ გუნდიდან, რომელიც 2011-12 წლების სეზონში თამაშობდა, მხოლოდ გაბისონია და ფერიაშვილი დაგვრჩა. დავიმატეთ ახალგაზრდა კალათბურთელები რომან ტუკვაძე, გიორგი რევაზაშვილი, დავით ბაბუნაშვილი, ლევან ელიაძე, ბექა ჭიჭვეიშვილი... ყველაზე გამოცდილი რუსთაველი დავით არწივიძეა.*

როგორც ხედავთ, „სამედიცინო" კარსმომდგარ სეზონში შედარებით ახალგაზრდული გუნდი იქნება. დანარჩენს უშუალოდ თამაშები გვიჩვენებს.

■ ■ ■

მოგეხსენებათ, კახა შენგელია საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრია. ამასთან, იგი **თორნიკე შენგელიას** მამაა. ამიტომ მას სანაკრებო თემაზეც ვკითხეთ.

- ნაკრების გამოსვლა პოზიტიურად უნდა შეფასდეს, გუნდმა ხომ მიზანს მიაღწია. თუმცა, ისე როგორც ყველა გუნდის თამაშში, აქაც იყო ხარვეზები, რომლებიც ევროპის ჩემპიონატისთვის უნდა გამოვასწოროთ. საერთოდ კი, თამამად შეიძლება ითქვას, დღევანდელ ნაკრებს დიდი პოტენციალი აქვს.

საინტერესოა, რას ფიქრობს მამა თორნიკეს გარჯაზე.

*- არც მე და არც თორნიკე არ ვართ კმაყოფილები. უკეთესადაც შეიძლებოდა გამოსულიყო. ბოლო მატჩებში მას ტრავმამ შეუშალა ხელი, ლატვიაში ფეხი აწუხებდა, ხოლო ჰოლანდიასთან ექიმების გადაწყვეტილებით დაისვენა.*

როგორც კახა შენგელიამ გვითხრა, ტრავმა გადაღლილობამ გამოიწვია, თუმცა სერიოზული არ არის და დასვენების შემდეგ ყველაფერი მოწესრიგდება.

**ვაჟა სიმონიშვილი**


თორნიკე შენგელია

ჭიდაობა ჩვენი, ქართული...



# ხოვლედან თავაწეული ქარელი დაბრუნდა

ნახერხმოყრილ არენაზე კასპის რაიონის სოფელმა ხოვლემ ამ დღეებში რეგიონულ გუნდურ პირველობას უმასპინძლა ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში უფროსი ასაკის ფალავნები მონაწილეობდნენ. კენჭისყრით პირველ ეტაპზე მეტოქეებად დაწყვილდნენ ქარელი - გორი, კასპი - ხაშური. ფინალში ქარელელები და კასპელები გავიდნენ. მასპინძლებს ქარელის გუნდმა აჯობა. შეჯიბრება სპორტის სამინისტროს ეგიდით მიმდინარე „სპორტის ფესტივალის" ფარგლებში ჩატარდა და საუკეთესო სამმა გუნდმა ამ პროგრამით გათვალისწინებული ფულადი ჯილდოებიც მიიღო. გამარჯვებული გუნდის შემადგენლობა ასეთი იყო: **ლაშა გიუნაშვილი, ანდრო ბერუაშვილი, გოჩა ვარძელაშვილი, ზვიად კაპანაძე, პაატა ღვინიაშვილი, კახა გაზაშვილი, გიორგი ბოლოთაშვილი.** მწვრთნელები: **გია ბერუაშვილი და ზაზა მარჯანიძე.**

**ვასილ ბალახაძე**

ლელოზე
ხელმომწერთა
საყურადღებოდ!
ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.
დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74.
კვირის გარდა.

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ვეტერან კალათბურთელს, კლუბ „სოხუმის" მწვრთნელს ლიკა ქაჯაიას მამის გარდაცვალების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# კვირიკაშვილის 22 ქულა ფედერალების სტარტზე

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედრალ 1 დივიზიონში პირველი ტურის მატჩები გაიმართა. აქ მოასპარეზე 14 გუნდში 19 ქართველი მორაგბე ირიცხება, რომელთაგან უმეტესობა დიდი ხანია საფრანგეთის ამ სანახევროდ პროფესიულ ლიგაში თამაშობს.**

მერაბ კვირიკაშვილი საჯარიმოს ურტყამს



გათამაშების ფორმატი უცვლელია, 40 გუნდი ოთხ ჯგუფშია განაწილებული. მომდევნო ეტაპზე, პლეი ოფის მერვედფინალში ოთხ-ოთხი საუკეთესო განაგრძობს ბრძოლას. ელიტური, მეორე დივიზიონის საგზურს კი ფინალში გასული ორი გუნდი მიიღებს.

A ჯგუფში ქართველ მორაგბეთა ხუთი გუნდი ასპარეზობს, „სენტ ეტიენი", „მაკონი", „სტრასბური", „მონლუსონი" და „ვიენი". ამათგან გამარჯვებას მხოლოდ ორმა მიაღწია. **ავთანდილ კოპალიანისა** და **შოთა მელიქიძის** „მაკონმა" შინ მოუგო „შალონს" - 35:24. აღსანიშნავია, რომ ჩვენებურთა გუნდმა პირველი ტაიმი 11:24 წააგო, თუმცა შესვენების შემდეგ მდგომარეობის გამოსწორება შეძლო, მეტოქეს მონაგრის გაზრდის საშუალება აღარ მისცა, თავად კი 24 ქულას მოუყარა თავი და პირველი გამარჯვება მიითვალა.

კოპალიანი ძირითად შემადგენლობაში იყო და 75-ე წუთზე ის მელიქიძემ შეცვალა.

**ზერო პეტრიაშვილის** „ვიენმა" სტუმრად დაამარცხა **რეზო გიგაურის, გიორგი ჯაშიტაშვილისა** და **ელიზბარ ყუფარაძის** „მონლუსონი" - 19:12. თამაში, მიუხედავად იმისა, რომ სტუმრები ანგარიშში მუდამ წინ იყვნენ, თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. მასპინძლებს ფორტუნამ ზურგი აქცია და გამარჯვება „ვიენს" დარჩა.

ყუფარაძე სათადარიგოთა შორის იყო და მატჩში 45-ე წუთიდან ჩაერთო, გიგაური მოედანზე 11 წუთის შემდეგ გამოჩნდა, პეტრიაშვილი და ჯაშიტაშვილი განაცხადში არ იყვნენ.

**გიორგი გაბელიას** „სენტ ეტიენმა" შინ წააგო ჯგუფის სავარაუდო ფავორიტ „ბურგ ან ბრესთან" - 16:23. გაბელია თამაშში 53-ე წუთიდან ჩართო.

**გიორგი სულუაშვილის** „სტრასბური" სტუმრად დიდი ანგარიშით დამარცხდა „ლილთან" - 6:49. ქართველ მორაგბეს არ უთამაშია.

**I ტური**

**A ჯგუფი**

სენტ ეტიენი-ბურგ ან ბრესი 16:23, დიჟონი-ბობინი 27:22, მონლუსონი-ვიენი 12:19, ლილი-სტრასბური 49:6, მაკონი-შალონი 35:24.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ლილი - 5 ქულა, 2. მაკონი - 4, 3. ბურგ ან ბრესი - 4, 4. ვიენი - 4, 5. დიჟონი - 4, 6. ბობინი - 1, 7. მონლუსონი - 1, 8. სენტ ეტიენი - 1, 9. შალონი - 0, 10. სტრასბური - 0.

**II ტური**

ბურგ ან ბრესი-დიჟონი, ბობინი-მონლუსონი, ვიენი-ლილი, სტრასბური-მაკონი, სენტ ეტიენი-შალონი.

„ოთხი ქართული" გუნდი ასპარეზობს B ჯგუფშიც. ესენია: „როდეზი", „ობენა", „შატორენარი" და „რომანი". პირველ ტურში მხოლოდ ერთმა **დავით კაჭარავას** „როდეზმა" გაიმარჯვა, რომელმაც შინ მოუგო „ბლანიაკს" - 25:18. კაჭარავა ძირითად შემადგენლობაში იყო და 55-ე წუთზე შეცვალეს.

**თენგიზ გელანტიას** „ობენამ" შინ წააგო „ვალანსთან" - 10:20. არადა ჩვენებურის გუნდმა პირველი ნახევარი 10:3 მოიგო. შესვენების შემდეგ მასპინძლების თამაშში რაღაც მოიშალა, რამაც შეიძლება იქვას, რომ ობენელების სენსაციური მარცხი გამოიწვია. გელანტია ძირითად შემადგენლობაში იყო და 50-ე წუთზე შეცვალეს.

**გიორგი კუთარაშვილის** „შატორენარმა" სტუმრად წააგო დივიზიონის დებიუტანტ „აგდისთან" - 21:29. შერკინების ქართველი პირველხაზელი ძირითად შემადგენლობაში იყო და მე-60 წუთზე შეცვალეს.

**ირაკლი ნინიძის** „რომანმა" გამარჯვება მატჩის ბოლო წუთებზე გაუშვა ხელიდან სტუმრად „ლავორთან" დაპირისპირებაში - 21:23. ჩვენებურის გუნდი 34-ე წუთამდე 13:0 იგებდა. თუმცა უპირატესობა ვერაფრით შეინარჩუნა და საბოლოოდ მატჩი ორი ქულის სხვაობით დათმო. ნინიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 40-ე წუთზე შეცვალეს.

**B ჯგუფი**

**როდეზი-ბლანიაკი 25:18, ბურგუენი-ლა სეინი 23:6, ობენა-ვალანსი 10:20, აგდი-შატორენარი 29:21, ლავორი-რომანი 23:21.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ბურგუენი - 4 ქულა, 2. ვალანსი - 4, 3. აგდი - 4, 4. როდეზი - 4, 5. ლავორი - 4, 6. რომანი - 1, 7. ბლანიაკი - 1, 8. შატორენარი - 0, 9. ობენა - 0, 10. ლა სეინი - 0.**

**II ტური**

ბლანიაკი-ობენა, ვალანსი-აგდი, შატორენარი-ლავორი, რომანი-ბურგუენი, როდეზი-ლა სეინი

C ჯგუფში ქართველ მორაგბეთა სამი გუნდი თამაშობს, „სენ ნაზერი", „პერიგო" და „მარმანდი". პირველ ტურში **შოთა ცხოვრებაშვილისა** და **ბაჩუკი გუჯარაიძის** „სენ ნაზერმა" შინ დაამარცხა ელიტური, მეორე დივიზიონიდან დაქვეითებული **თედო ზიბზიბაძის** „პერიგო" - 18:13. აღსანიშნავია, რომ „პერიგოელები" მე-19 წუთისთვის 10:0 იგებდნენ. თუმცა „სენ ნაზერმა" მატჩში გარდატეხის შეტანა შეძლო.

გუჯარაიძემ და ზიბზიბაზემ თავიდან ბოლომდე ითამაშეს, ამასთან ერთად ზიბზიბაძე მატჩის არბიტრმა 65-ე წუთზე გაასინბინა, ცხოვრებაშვილი განაცხადში არ იყო.

**ნიკოლოზ მაღალდაძის** „მარმანდმა" შინ დაამარცხა „აგეტმო" - 23:16. მაღალდაძე სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში მე-60 წუთიდან ჩაერთო.

**C ჯგუფი**

**სენ ნაზერი-პერიგო 18:13, სენ ჟან დანჟელი-ლანჟონი 15:18, მარმანდი-აგეტმო 23:16, ტიროსი-ვანი 26:9.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ტიროსი - 5 ქულა, 2. მარმანდი - 4, 3. სენ ჟან დანჟელი - 4, 4. სენ ნაზერი - 4, 5. ლანჟონი - 4, 6. სენ ჟან დანჟელი - 1, 7. პერიგო - 1, 8. ნუარი - 1, 9. აგეტმო - 1, 10. ვანი - 0.**

**II ტური**

პერიგო-სენ ჟან დანჟელი, ნუარი-ტიროსი, ლანჟონი-სენ ნაზერი, ვანი-მარმანდი, სენ ჟან დე ლუზი-აგეტმო.

ორი „ქართული გუნდი" გვყავს D ჯგუფში. **მერაბ კვირიკაშვილისა** და **გიორგი მჭედლიშვილის** „სენ ჟუნიენმა" შინ უმძიმეს ბრძოლაში დაამარცხა „ნევერი" - 32:30. კვირიკაშვილმა სრულად ითამაშა და გუნდს 22 ქულა მოუტანა (ექვსი საჯარიმო და ორი გარდასახვა), მჭედლიშვილი განაცხადში არ იყო.

**ლაშა მალაღურაძისა** და **სიმონ მაისურაძის** „ბაგნერემ", რომელიც ფედერალ 1 დივიზიონის დებიუტანტია, შინ დაამარცხა „ლანამეზანი" - 24:22. მაისურაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 52-ე წუთზე შეცვალეს, მალაღურაძე თამაშში 72-ე წუთიდან ჩაერთო.

**D ჯგუფი**

**მონტობანი-ლურდი 45:16, სენ მედარი-ლიმოჟი 24;18, კასტანე-ოლორონი 10:22, ბაგნერე-ლანამეზანი 24:22, სენ ჟუნიენი-ნევერი 32:30**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. მონტობანი - 5 ქულა, 2. ოლორონი - 4, 3. სენ მედარი - 4, 4. სენ ჟუნიენი - 4, 5. ბაგნერე - 4, 6. ლანამეზანი - 1, 7. ნევერი - 1, 8. ლიმოჟი - 1, 9. კასტანე - 0, 10. ლურდი - 0.**

**II ტური**

ლიმოჟი-მონტობანი, ლურდი-კასტანე, ოლორონი-ბაგნერე, ლანამეზანი-სენ ჟუნიენი, სენ მედარი-ნევერი



ბაჩუკი გუჯარაიძე თედო ზიბზიბაძეს გაექცა

საქართველოს ჩემპიონატი



არმაზი-ყოჩები

# შოკისმომგვრელი რაგბობა

**საქართველოს ჩემპიონატის მესამე ტურის მატჩებმა გვიჩვენა, რომ წლევანდელ გათამაშებაში გამოკვეთილი ფავორიტები არ არიან. მართალია, ორი გუნდი, თბილისის „ლელო" და „არმაზი" ჯერაც დაუმარცხებლად ლიდერობენ, მაგრამ რეგულარული შეჯიბრების დასრულებამდე ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი და პლეი ოფში თამაში მათთვისაც გარანტირებული არ არის.**

ამის დასტურად „არმაზისა" და მიმდინარე ჩემპიონატის აუტსაიდერის, თბილისის „ყოჩების" მატჩიც გამოდგება. მართალია, არმაზელებმა ბოლოს მაინც მოიგეს, მაგრამ საამისოდ ძალიან დიდი ძალისხმევა დასჭირდათ. მეტიც, „ყოჩები", რომელსაც მეორე წელიწადია სერიოზული კრიზისი აქვს, ეპიზოდებში მეტოქეს ჯაბნიდა კიდეც.

„არმაზის" თამაშში შარშანდელს აქეთ რაიმე ტაქტიკური ცვლილება არ მომხდარა. გუნდი ამჟამადაც, ძირითადად, შერკინების მძლავრი თამაშით ცდილობს ფსონს გასვლას. ცხადია, გუნდისთვის დიდი ძალაა უკანა ხაზში საქართველოს გარემარბი **ირაკლი მაჩხანელი,** რომელმაც „ყოჩებთან" მატჩში შუამარბის პოზიციაზე ითამაშა, შეხვედრის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე კი ფულბეკის ფუნქციებს ასრულებდა.

ცალკე თემაა „ყოჩები", რომელიც ამ მატჩში დიდი მონდომებით ირჯებოდა, მაგრამ გამარჯვების მისაღწევად არც კლასი ეყო და არც გამოცდილება.

დანარჩენების ფონზე შესანიშნავად გამოიყურება თბილისის „ლელო", რომელმაც სამი თამაშიდან სამივე მოიგო და, ამასთან ერთად სამივეში თითო პრემიალური ქულაც ირგუნა. ლელოელები შედეგიანობითაც გამორჩეულები არიან. მათ ჯამში 15 ლელო მიითვალეს, რაც საშუალოდ მატჩში ხუთს უდრის.

„ლელოს" წარმატებული სტარტის მიზეზი, სავარაუდოდ, ახალგაზრდობისა და გამოცდილების შესანიშნავი სინთეზია. **მიხეილ სუჯაშვილს, რეზო ბელქანიას, ლაშა ხმალაძეს, გიორგი კაჭარავას** და **ირაკლი ყიასაშვილს** მხარს ახალგაზრდა მორაგბეები ბრწყინვალედ უბამენ, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა ასაკის ნაკრებების წევრები არიან. მათ შორის ცალკე უნდა გამოვყოთ შერკინების კვაჭი **დავით ხიდეშელი**, რომლის ანგარიშზეც უკვე ოთხი ლელოა.

მესამე ტურში განსაკუთრებით საინტერესო იყო საქართველოს ჩემპიონისა და თასის მფლობელის „არმიას" დაპირისპირება ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონ თბილისის „ლოკომოტივთან." შეხვედრა, რომელიც „ავჭალის სარაგბო სტადიონზე" წარიმართა, მოლოდინისამებრ დაძაბული და უშეღავათო გამოდგა. გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვებას ვერც ერთი ახერხებდა. არმიელთა საბოლოო წარმატება მათი დამრტყმელის, **ბახვა კობახიძის** ფეხჩუბინობამ განაპირობა. მან ექვსი საჯარომო გაიტანა, „ლოკომოტიველი" **ვახტანგ კავთიძის** საპირწონედ.

რკინიგზელები სამი ტურის შემდეგ უჩვეულო, მე-6 ადგილზე არიან. სტარტზე სამი მატჩიდან მხოლოდ ერთის მოგება, გვაფიქრებინებს, რომ გუნდი კრიზისშია. თუმცა, რამდენად ხანგრძლივია ის, ძნელი სათქმელია.

შარშანდელივით ვერც „არმია" ბრწყინავს, თუმცა ჯერ სეზონი ახალი დაწყებულია და ამ გუნდს, რეალურად გააჩნია პოტენციალი, რათა კიდევ უფრო მოუმატოს, თავისი ამბიციების საფუძვლიანობა დაამტკიცოს. ბევრ კითხვას პასუხი მომდევნო, მეოთხე ტურში გაეცემა, როცა „არმია" გათამაშების ლიდერს, „ლელოს" დაუპირისპირდება.

ცხადია, ყველაზე დიდი მოულოდნელობა ვიცე-ჩემპიონისა და გათამაშების უმთავრესი ფავორიტის ქუთაისის „აიას" მარცხია უმაღლესი ლიგის დებიუტანტ თბილისის „ილიაუნი ჯიქთან", რომელიც ქართული რაგბის სინამდვილეში ერთ-ერთი ყველაზე ნათელი წერტილია. ახალგაზრდა „ჯიქები" ტოლს არაფერში უდებენ მათზე ბევრად გამოცდილ გუნდებს. შერკინებასა თუ უკანა ხაზში **გიორგი ამირხანაშვილის** სამწყსო შესანიშნავად ირჯება, გამართულ რაგბის თამაშობს და, იმედი გვაქვს, რომ ეს ამ გუნდის მაქსიმუმი არ არის.

„აიას" კი, როგორც ჩანს, უფრო მეტად ფსიქოლოგიური მომზადება სჭირდება, რათა ნებისმიერი რანგისა თუ სიძლიერის მეტოქესთან ერთნაირად საბრძოლველად შემართული გავიდეს სათამაშოდ. მომდევნო ტურში, ქუთათურთა მეტოქე „ლოკომოტივი" იქნება. ამ მატში გამოჩნდება, შეძლებს თუ არა „აია" „ილიაუნი ჯიქთან" წაგებით გამოწვეული შოკიდან გამოსვლას.

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლელო | 3 | 3 | 0 | 0 | +77 | 15 |
| 2. არმაზი | 3 | 3 | 0 | 0 | +35 | 12 |
| 3. არმია | 3 | 2 | 0 | 1 | +21 | 10 |
| 4. აია | 3 | 2 | 0 | 1 | +5 | 9 |
| 5. ჯიქები | 3 | 2 | 0 | 1 | 0 | 8 |
| 6. ლოკომოტივი | 3 | 1 | 0 | 2 | +7 | 6 |
| 7ხარები | 3 | 1 | 0 | 2 | -14 | 5 |
| 8. ბათუმი | 3 | 1 | 0 | 2 | -34 | 4 |
| 9. ყოჩები | 3 | 0 | 0 | 3 | -45 | 1 |
| 10. აკადემია | 3 | 0 | 0 | 3 | -49 | 1 |

**IV ტური**

აკადემია-ილიაუნი ჯიქი, აია-ლოკომოტივი, არმია-ლელო, ბათუმი-არმაზი, ყოჩები-ხარები.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგვაძემ**

● ფორმულა 1




მიხაელ შუმახერი (მარცხნივ)

# შუმი ჩემპიონთა რბოლის ერთგულია

**მსოფლიოს** შვიდგზის ჩემპიონი **მიხაელ შუმახერი** მეშვიდედ მიიღებს მონაწილეობას ჩემპიონთა რბოლაში, რომელიც ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში 15-16 დეკემბერს გაიმართება. გერმანიის გუნდში „ფერარის" პილოტის თანაგუნდელი **სებასტიან ფეტელი** იქნება.

*„ტაილანდში ადრე არასოდეს გამოვსულვარ, ასე რომ, ბანგკოკში ჩემპიონთა რბოლა საინტერესო დამატება იქნება ჩემი სპორტული მოგზაურობისთვის. წელს, გერმანიის ნაკრები საკუთარი კედლების უპირატესობას ველარ მიიღებს, მაგრამ მე და სებასტიანი ისედაც კარგად ვართმევდით თავს ამოცანას ლონდონსა და პეკინში. ამიტომაც, იმედია, რომ ეს ვერ შეგვაჩერებს გამარჯვებისთვის ბრძოლაში.*

*ჩემპიონთა რბოლაში რეგულარულად გამოვდივარ - ის ყოველთვის საინტერესო გამოდის. აქ დაბრუნება იმის გამო მსურს, რომ სიამოვნებას ვიღებ ბრძოლისგან და სხვა პილოტებთან ურთიერთობისგან. თანაც, სტადიონზე რბოლა - უნიკალური მოვლენაა. სასიამოვნოა, რომ გულშემატკივრები ჩვენთან ასე ახლოს არიან",* - ამბობს შუმახერი.

შეგახსენებთ, რომ შუმახერი და ფეტელი უკვე რამდენიმე წელია არავის უთმობენ პირველობას გუნდურ შეჯიბრებაში.

■ ■ ■

შუმახერთან დაკავშირებით კიდევ ერთი სიახლე ის არის, რომ ლეგენდარულმა პილოტმა ახალი პირადი სპონსორი იპოვა - გერმანელის პარტნიორი იქნება კომპანია Erlinyou, რომელიც ნავიგატორების შექმნაში სპეციალიზდება. თანამშრომლობის რანგში მიხაელი მონაწილეობას მიიღებს ახალი ნავიგატორის შექმნაში - ის გააანალიზებს მონაცემებს და საკუთარ იდეებს მიაწვდის კომპანიას.

Bild-ის მონაცემებით, აღნიშნული კონტრაქტი შუმახერს დაახლოებით 7.5 მილიონ ევროს მოუტანს. ჩინური კომპანიის გარდა, მიხაელის პირადი სპონსორები არიან - Deutsche Vermagensberatung (DVAG), Jet Set, Navyboot, Audemars Piguet, Schuberth და Rosbacher.

გერმანელ ჟურნალისტებს მიაჩნიათ, რომ ახალ სპონსორთან მრავალმილიონიანი კონტრაქტის გაფორმება იმას ნიშნავს, რომ მიხაელი ფორმულა 1-ში გამოსვლის გაგრძელებას აპირებს.

# ბრიატორე: ალონსო შუმიზე მაღლა დგას

**ფორმულა** 1-ის საჯინიბოს „რენოს" ყოფილი შეფი **ფლავიო ბრიატორე** მიიჩნევს, რომ „ფერარის" პილოტი **ფერნანდო ალონსო მიხაელ შუმახერზე** ძლიერია.

*„ალონსო ბოლო 20 წლის საუკეთესო პილოტია. ის შუმახერზე უკეთესია, თუმცა ჩვენ ვლაპარაკობთ ძალიან მაღალ დონესა და მინიმალურ განსხვავებებზე. მაგრამ ფერნანდო პრესინგის დროსაც მცირე შეცდომებს უშვებს და რბოლა მისი შესრულებით საოცარი სანახავია.*

*ხანდახან გუნდი შეცდომას უშვებს სტრატეგიის არჩევისას, მაგრამ ნანდო ახერხებს დაკარგულის ანაზღაურებას. ხოლო, როცა ის ლიდერის პოზიციაზეა, 90 პროცენტი პირველ ადგილზე ასრულებს რბოლას, თუნდაც მისი მანქანა არაკონკურენტუნარიანი იყოს. ის ცხოვრობს და სუნთქავს ავტოსპორტით",* - განაცხადა ბრიატორემ Sky Sport 24-თან ინტერვიუში.

საერთო ჯამში, ბრიატორეს მიაჩნია, რომ ალონსოს შეუძლია მოიგოს წლევანდელი ჩემპიონატი, მაგრამ „ფერარიმ" უნდა გააუმჯობესოს ბოლიდი, რათა ფერნანდომ მოიგოს თუნდაც ერთი რბოლა ისე, რომ „მაკლარენი" მეორე ადგილზე არ გავიდეს.

იმ მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომ ფორმულა 1-ში „რედ ბულის" ეპოქა დასრულდა, იტალიელმა აღნიშნა: *„მე ასე არ ვფიქრობ"*. ამავდროულად, მან შეაქო „ზაუბერი". ამ გუნდის მაგალითი ამტკიცებს, რომ *„ფული ყოველთვის მთავარი არ არის"*.



ბრიატორე და ალონსო

● ფორმულა 1. ინტერვიუ ლუის ჰემილტონთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არ მიყვარს ლიდერის როლი

**ბოლო პერიოდში, „მაკლარენის" პილოტის ლუის ჰემილტონის შესახებ ყველაზე ბევრს ჭორაობდნენ - იმის გამო, რომ ბრიტანელს ურთიერთობა გაუფუჭდა თავის ამჟამინდელ გუნდთან და არ არის გამორიცხული, მან სხვა საჯინიბოში გააგრძელოს კარიერა. ამიტომაც საინტერესოა ესპანურ გაზეთ El Pais-ში გამოქვეყნებული ინტერვიუ, რომელშიც ლუისი ბევრ საგულისხმო თემაზე ლაპარაკობს.**

**- კრისტიანო რონალდომ ამასწინ განაცხადა, რომ თავს ბედნიერად ვერ გრძნობს. თქვენ?**

- საწუწუნო არაფერი მაქვს. არ ვიცი მისი სიტუაციის შესახებ, მაგრამ მე თავს ბედნიერად ვგრძნობ. შესანიშნავი ოჯახი მყავს. მადლობა ღმერთს, ჩემ გარშემო არ არიან ნეგატიური ელემენტები, არადა, იმ საქმეს, რომელსაც ვაკეთებ, თან ახლავს უარყოფითი ენერგეტიკა. ასეთია ცხოვრება. მსოფლიოში საუკეთესო ადგილას ვცხოვრობ, მაქვს სახლი და შემიძლია კიდევ ერთი შევიძინო დედაჩემისთვის. შემიძლია მხარში ამოვუდგე ჩემს ოჯახს და საშუალება მაქვს ვმართო მსოფლიოში საუკეთესო მანქანები. ამიტომაც ვერ ვიქნები უბედური.

- როცა მე მოვედი, ფერნანდოს გამოსვლის მრავალწლიანი გამოცდილება ჰქონდა. ვაკვირდებოდი მისი პილოტაჟის სტილს.

**- კონკრეტულად?**

- სპეციფიკურ საკითხებს: როდის სჯობს დამუხრუჭება - ადრე თუ გვიან, რათა შემდეგ სწრაფად აკრიფო სიჩქარე მოსახვევიდან გამოსვლის შემდეგ, ან შეტევისთვის ადგილის შესარჩევად იმისთვის, რომ ბოლიდისგან მაქსიმუმი მიიღო. ტელემეტრიის წყალობით მე ვხედავდი, სად შემეძლო მომატება. მაგალითად, მესმოდა, რომ ფერნანდო სწრაფი იყო მეორე სექტორში. გავდიოდი ტრასაზე და ვცდილობდი მომატებას, მიღებული ინფორმაციის შესაბამისად. მაგრამ ჩვენი სტილი განსხვავებულია და სრულიად არ არის აუცილებელი ყველაფერი გავაკეთო ისე, როგორც ის აკეთებს.

**- გშურთ იმ მდგომარეობის, რომელიც ალონსოს "ფერარიში" აქვს? მთელი გუნდი მის გარშემო არის შეკრებილი.**

- არა. არც ვიცი ეს რას ნიშნავს, ასეთი რამ ჩემს კარიერაში არ ყოფილა. მე ეს არ მჭირდება. არ მაქვს სურვილი ასეთ სიტუაციაში აღმოვჩნდე. მე მომწონს თანაგუნდელთან გამარჯვებისთვის ბრძოლა. ამ მხრივ, ფერნანდოს უფრო მარტივად აქვს საქმე, ვიდრე მე.

**- რას ნიშნავს თქვენთის რწმენა?**

- არ მიყვარს ამ თემაზე ბევრი ლაპარაკი, რადგან ფორმულა 1-ში ბევრი ადამიანია სხვადასხვა შეხედულებით. მე ძალიან რელიგიურ ოჯახში გავიზარდე, ხშირად დავდიოდით ეკლესიაში. როცა რბოლებში გამოსვლა დავიწყე, ოდნავ გვერდით დავდექი ამ ყველაფრისგან. მაგრამ, რბოლებისგან თავისუფალ კვირა დღეეში აუცილებლად მივდივარ ეკლესიაში, არ აქვს მნიშვნელობა - აშშ-ში ვარ თუ მონაკოში. მადლობა ღმერთს იმისთვის, რასაც მივაღწიე. მან მომცა ის თვისებები, რომელიც ახლა მაქვს.

**- არ გიყვართ ამ თემაზე ლაპარაკი, მაგრამ იმ ადამიანს ჰგავხართ, ვისთვისაც სულერთია რას ფიქრობენ მასზე სხვები.**

- სხვადასხვა საუბარი ხანდახან მაზარალებს, მაგრამ, საერთო ჯამში, ხალხი პატივს მცემს, ისევე როგორც, მე ვცემ პატივს განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს. მე კი დარწმუნებული ვარ საკუთარ აზრში.

**- თქვენ ყოველთვის მეტ ყურადღებას იპყრობთ, ვიდრე თქვენი თანაგუნდელები. როგორ ცხოვრობთ ამით?**

- არ ვიცი რატომ, მაგრამ ეს სიმართლეა: მართლაც, მეტ ყურადღებას ვიპყრობ. არ ვიცი, უკავშირდება თუ არა ეს იმას, რასაც მე ფორმულა 1-ის პირველ ორ სეზონში მივაღწიე. მამაჩემი მეუბნებოდა: ვინც ბევრ აღწევს, ის მეტ ყურადღებასაც იმსახურებს – ასე იყო აირტონ სენას, მოჰამედ ალისა და სხვების შემთხვევაში. მაგრამ, რა თქმა უნდა, მათ არ ჰქონდათ ჩემი ტემპერამენტი.



ლუის ჰემილტონი

**- ოდესმე გიფიქრიათ ფორმულა 1-ის დატოვებაზე?**

- ამ ექვსი წლის განმავლობაში ყოფილა რთული მომენტები და ხანდახან ასეთი აზრიც ჩნდებოდა, მაგრამ მალე მოვდიოდი გონს. ხანდახან ფიქრობ, რომ აღარ შეგიძლია საქმის გაგრძელება, მაგრამ შემდეგ გესმის: არაფერი ისე არ გიტაცებს, როგორც შენი საყვარელი საქმე.

**- 2012 წლის სეზონში როდის მიიღეთ საუკეთესო შეგრძნება მანქანის მართვისგან?**

- მონრეალში. იქ მქონდა ყველაზე დიდი უპირატესობა და საუკეთესო რიტმი. ძალიან რთულია ასეთი შედეგის მიღწევა. ხანდახან დაუჯერებლად გეჩვენება, რომ ამდენი ქულის დაკარგვის პირობებშიც, ჩვენ 13 შემთხვევიდან ცხრაში თუნდაც ერთი ბოლიდი გვყავდა სასტარტო ბილიკის პირველ რიგში.

**- მარტინ უიტმარში ამბობს, რომ თქვენ და ჯენსონი ერთმანეთისგან სწავლობთ...**

- არ ვიცი მარტინმა ასე რატომ თქვა. ვერ ვიხსენებ, რაიმე მესწავლოს ბატონისგან. მე ვსწავლობდი ფერნანდოსგან, მაგრამ ჯენსონზე ამას ვერ ვიტყვი.

**- ალონსოსგან რა ისწავლეთ?**

**- გასულ წელს, საკუთარი თავის აჩრდილი იყავით, მაგრამ ახლა დაბრუნდით. რა შეიცვალა?**

- ეს მართალია - მე დავბრუნდი. ერთხელ დავწერ წიგნს და ავხსნი ცვლილებების მიზეზებს. არ მინდა ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ოჯახში უსიამოვნო სიტუაცია იყო. ძალიან მგრძნობიარე ადამიანი ვარ და ასეთი სიტუაციები გავლენას ახდენს ფორმულა 1-ში ჩემს მაჩვენებლებზე. ასე რომ, ოჯახური პრობლემები ჩემზე უფრო მეტად მოქმედებს, ვიდრე სხვებზე. ეს იყო მთავარი პრობლემა.

**- არსებობს ისეთი საქციელი, რის გამოც ახლა ნანობთ?**

- დიახ, არის რაღაცები, რასაც ახლა სხვანაირად გავაკეთებდი. ძირითადად იმიტომ, რომ ახლა იმ სიტუაციებს უფრო მარტივად მოვეკიდებოდი. მაგრამ, როგორც ჩანს, ყველა გამოცდა ცხოვრებამ მომიმზადა.

**- რატომ დაფიქრდით "მაკლარენიდან" შესაძლო წასვლის თაობაზე?**

- კარგი იქნებოდა კარიერა იქ დამესრულებინა, სადაც დავიწყე. როცა კონტრაქტი იწურება, გარშემო იხედები: არის თუ არა კიდევ რაიმე, არსებობს თუ არა სხვა გამოწვევები და შესაძლებლობები? თუ ყველაფერს იგნორირებას გაუკეთებ, შეიძლება შენს თავს ავნო.

**- ტემპერამენტი ხელს გიშლით ძილში?**

- არა, ყოველთვის კარგად მძინავს. საკუთარი თავის მიმართ ძალიან მკაცრი ვარ და ყველაფერს სხვანაირად ვუყურებ, ვიდრე სხვები. ყოველთვის კონცენტრირებული ვარ საკუთარ გამოსვლაზე. მილიონობით ხალხის თვალწინ გამოვდივართ. არ მგონია, რომ საკუთარ სხეულში რაიმე ცუდს ვატარებდე. ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ ხალხმა კარგი კუთხით დამინახოს. ვფიქრობ, სწორ გზაზე ვარ.

**- პილოტაჟის რა ასპექტში შეგიძლიათ მომატება?**

- ბევრი ნაკლი მაქვს, მაგრამ ამის შესახებ არაფერს გეტყვით, რათა სხვა პილოტებმა არ გაიგონ. არავინ ყვება საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებზე. ხალხი ცდილობს ამის დამალვას, რათა ის საჭირო მომენტში გამოიყენოს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირების წინ

# კაცები ევროპაში, ქალები აზიაში

**ამ კვირას ჩოგბურთის მოყვარულებს ოთხი ტურნირის მსვლელობას შეუძლიათ მიადევნონ თვალი...**


ჟო-ვილფრიდ ცონგა

## ATP

### Moselle Open

მეცი (საფრანგეთი). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 398 250 ევრო

*მონაწილეები: ჟო-ვილფრიდ ცონგა, ფილიპ კოლშრაიბერი, ფლორიან მაიერი, ანდრეას სეპი, მარსელ გრანოლერსი, გაელ მონფილსი...*

მეცის ტურნირი 2003 წლიდან ტარდება და ხუთჯერ მშობლიურ მიწაზე ფრანგები იმარჯვებდნენ. 2009 წლიდან მოყოლებული, ისინი არავის უთმობენ პირველობას. თავიდან მთავარი პრიზი **გაელ მონფილსს** ერგო, შემდეგ **ჟილ სიმონს**, შარშან კი გამარჯვება **ჟო-ვილფრიდ ცონგამ** მოიპოვა, რომელსაც ამჟამად ტიტულის დაცვა უწევს.

ჟოსთვის ეს ტურნირი კარგი შანსია რეაბილიტაციისთვის. შეგახსენებთ, რომ ამერიკის ღიაზე ფრანგი მეორე წრეში დამარცხდა **მარტინ კლიჟანთან**.

კორტზე ბრუნდება **გაელ მონფილსი**, რომელსაც მაისის შემდეგ, მუხლის ტრავმის გამო არ უთამაშია.

მეშვიდედ გამოვა მეცში გერმანელი **ფილიპ კოლშრაიბერი**. 2009 წელს მან ფინალში გააღწია, ორი წლის წინ კი ნახევარფინალში ითამაშა.

ამჟამად აღმავლობის გზაზეა მარტინ კლიჟანი, რომელმაც შვიდი თვის განმავლობაში 121-ე პოზიციიდან 46-ე ადგილამდე მიაღწია, რაც მის კარიერაში საუკეთესო მაჩვენებელია. ის შესანიშნავად გამოვიდა ამერიკის ღია პირველობაზე, როცა მეორე რაუნდში სძლია ჟო-ვილფრიდ ცონგას, შემდეგ **ჟერემი შარდის** მოუგო და მხოლოდ მერვედფინალი დათმო **მარინ ჩილიჩთან**.

### St. Petersburg Open

სანქტ პეტერბურგი (რუსეთი). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 410 850 დოლარი

*მონაწილეები: მიხაილ იუჟნი, დენის ისტომინი, მარტინ კლიჟანი, ლუკაშ ლაჩკო, ფაბიო ფონინი...*

პირველად სანქტ პეტერბურგში ტურნირი 1995 წელს ჩატარდა და მაშინ პირველი გამარჯვებული გახდა **ევგენი კაფელნიკოვი**.

2001 წლიდან მოყოლებული, ტურნირში მონაწილეობს **მიხაილ იუჟნი**. 2004 წელს მან საჩემპიონო ტიტული მოიგო, ასევე ორჯერ ფინალში ითამაშა. ორი წლის წინ, მას ტიტული **მიხაილ კუკუშკინმა** ჩამოართვა.

## WTA

### Korea Open

სეული (კორეა). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 500 000 დოლარი

*მონაწილეები: კაროლინ ვოზნიაცკი, მარია კირილენკო, კაია კანეპი, ნადეჟდა პეტროვა, იულია გორგესი, ვარვარა ლეპჩენკო...*

სეულში მოქმედი ჩემპიონია **მარია ხოსე მარტინეს სანჩესი**, განთესვის ლიდერი კი **კაროლინ ვოზნიაცკი** გახლავთ, რომლისთვისაც ეს წელი სავსეა იმედგაცრუებებით. ბოლო ჩავარდნა დანიელს ამერიკის ღია პირველობაზე ჰქონდა, როცა პირველივე რაუნდში წააგო **ირინა-კამელია ბეგუსთან**. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ წლევანდელ ფიასკოს ხელი შეუწყო ვოზნიაცკის არაერთმა ტრავმამ. ბოლო დაზიანება მან სწორედ ამერიკის ღია პირველობის წინ, **დომინიკა ციბულკოვასთან** მატჩში მიიღო. აშშ-ის ღიაზე ნაადრევმა გამოვარდნამ ძალიან ცუდად იმოქმედა კაროს პოზიციებზე მსოფლიოს რეიტინგში – დანიელი ბოლო სამი წლის განმავლობაში პირველად გავარდა ტოპათეულიდან.

კარგი ფორმის დემონსტრირებას ახდენს **მარია კირილენკო**, რომელმაც ამერიკის ღიაზე მესამე რაუნდამდე მიაღწია. დიდი ხანია არ გვინახავს ტურნირებზე **კაია კანეპი** - ის როლან გაროსიდან მოყოლებული არ თამაშობდა.

### Guangzhou International

გუანგჯოუ (ჩინეთი). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 220 000 დოლარი

*მონაწილეები: მარიონ ბარტოლი, ჟიე ჟენგი, სორანა კირსტეა, ურსულა რადვანსკა, შანელ სხეპერსი, მონიკა ნიკულესკუ...*

გუანგჯოუს ტურნირი უკვე მეცხრედ ტარდება. გასულ წელს, ჩემპიონის ტიტული მოიპოვა **შანელ სხეპერსმა**, რომელიც ამ სეზონში მის დაცვას შეეცდება.

ტიტულზე მთავარ პრეტენდენტად შეიძლება მივიჩნიოთ **მარიონ ბარტოლი**, რომელიც შესანიშნავად გამოვიდა ამერიკის ლიაზე. შეგახსენებთ, რომ მეოთხე წრეში მან **პეტრა კვიტოვა** გამოთიშა ბრძოლას. ნახევარფინალში ფრანგი **მარია შარაპოვამ** არ შეუშვა. მიუხედავად ამისა, მარიონმა შეძლო ტოპ-ათეულში დაბრუნება. გუანგჯოუში ფრანგს დამატებითი მოტივაცია ექნება, რადგან მას აქვს წლის შემაჯამებელ ტურნირში მოხვედრის შანსი, თანაც არა სათადარიგო, არამედ ძირითადი მოთამაშის რანგში.

სკანდალი

# დაპატიმრებული ჩემპიონი


უაიტი ინციდენტის შემდეგ

სნოუბორდში ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი **შონ უაიტი** სასტუმროში მოწყობილი აურზაურის გამო ამერიკის პოლიციამ დააკავა. ცნობილი სპორტსმენი ძლიერი ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

26 წლის უაიტმა ქალაქ ნეშვილის სასტუმრო Loews Vanderbilt Hotel-ში მოაწყო დებოში. თავიდან მან სახანძრო სიგნალიზაცია ჩართო, რის გამოც სასტუმროს ყველა ბინადარი სასწრაფოდ იქნა ევაკუირებული. გარდა ამისა, თვითმხილველთა თქმით, უაიტმა სასტუმროს ტელეფონი დაამსხვრია. მას შემდეგ, რაც ადმინისტრაციამ პოლიცია გამოიძახა, უაიტმა ტაქსით გაქცევა სცადა, მაგრამ ის სასტუმროს ერთ-ერთმა ბინადარმა შეაჩერა. სნოუბორდისტი მას დაუსხლტა და ისევ გაიქცა, მაგრამ დაეცა და ლობეს თავი მიარტყა.

უაიტი საავადმყოფოში გადაიყვანეს, საიდანაც გუშინ გამოწერეს და მაშინვე დააპატიმრეს. მას ვანდალიზმსა და საზოგადოებრივ ადგილზე ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ ყოფნა ედება ბრალად. უაიტი თავდებით გაუშვეს და სასამართლოში 10 ოქტომბერს დაიბარეს.

შონ უაიტი ოქროს მედლის მფლობელია ტურინისა (2006) და ვანკუვერის (2010) ოლიმპიადებზე. ის სნოუბორდის სახეობა - ჰალფ-პაიპში გამოდის. სპორტსმენი უშვებს ტანსაცმლის საკუთარ ხაზს, ვიდეოთამაშებსა და ფილმებს სნოუბორდზე. გარდა ამისა, უაიტი საკმაოდ ცნობილი სკეიტბორდისტია.

ჰოკეი

# კროსბის სხვისი სამუშაო არ უნდა

## სელიანემ ლიგის კომისარს ყველაზე საძულველი ადამიანი უწოდა

ლოკაუტის გამოცხადების შემდეგ, ჰოკეის ეროვნული ლიგის ბევრმა მოთამაშემ დაიწყო ევროპაში ალტერნატიული სამუშაოს ძიება და უკვე ბევრმა ვარსკვლავმა იპოვა დროებით ახალი კლუბი.

რა თქმა უნდა, ბევრს აინტერესებს, გააგრძელებს თუ არა ევროპაში კარიერას კანადური ჰოკეის უპირველესი ვარსკვლავი **სიდნი კროსბი**. „პიტსბურგის" კაპიტანი არ ჩქარობს გადაწყვეტილების მიღებას.

*„ვაპირებ თუ არა სხვისი სამუშაო ადგილის დაკავებას? სავარაუდოდ, არა. თუმცა მე ჰოკეისტი ვარ და მინდა თამაში",* - აცხადებს კროსბი.

შეგახსენებთ, რომ 2004-05 წლების ლოკაუტის დროს, NHL-ის დაახლოებით 400 მოთამაშე გაიფანტა ევროპის 19 ლიგაში.

■ ■ ■

ლეგენდარულმა ფინელმა ჰოკეისტმა, „ანაჰაიმის" ვეტერანმა ფორვარდმა **ტეემუ სელიანემ** კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხა თავს ჰოკეის ეროვნული ლიგის კომისარს, **გერი ბეტმენს**, რომელსაც ლოკაუტში მთავარი დამნაშავე უწოდა. სეზონის მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმებამ, შესაძლოა, დაასრულოს 42 წლის ჰოკეისტის კარიერა. არადა, სელიანემ ცოტა ხნის წინ, ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა „იხვებთან".

*„დღეისთვის ბეტმენია ის ადამიანი, რომელიც ყველაზე მეტად სძულთ NHL-ში,* - დაწერა თავის ბლოგში სელიანემ. - *სწორედ ის არის დამნაშავე მისი მმართველობის დროს რიგით მესამე ლოკაუტში. თავად ბეტმენი უარს იტყვის ლოკაუტის დროს თავის ხელფასზე?"*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| დინამო (ზ)-პორტუ | 0:2 |
| პსჟ-დინამო (კ) | 4:1 |
| მონპელიე-არსენალი | 1:2 |
| ოლიმპიაკოსი-შალკე | 1:2 |
| მილანი-ანდერლეხტი | 0:0 |
| მალაგა-ზენიტი | 3:0 |
| დორტმუნდი-აიაქსი | 1:0 |
| რეალი-მანჩესტერ სიტი | 3:2 |
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონშიპი** | |
| ბირმინგემი-ბოლტონი | 2:1 |
| ბლექბერნი-ბარნსლი | 2:1 |
| დერბი-ჩარლტონი | 3:2 |
| ლიდსი-ჰალი | 2:3 |
| მილუოლი-კარდიფი | 0:2 |
| პიტერბრო-ბრისტოლი | 1:2 |
| უოტფორდი-ბრაიტონი | 0:1 |
| ბლეკპული-მიდლსბრო | 4:1 |
| კრ. პალასი-ნოტინგემი | 1:1 |
| **I ლიგა** | |
| ბორნმუთი-ბრენტფორდი | 2:2 |
| კარლაილი-ქრიუ | 0:0 |
| კოლჩესტერი-ქროული | 1:1 |
| ლეიტონი-იეოვილი | 4:1 |
| მილტონი-ნოტსი | 1:1 |
| ოლდჰემი-სკანთორფი | 1:1 |
| პორტსმუთი-სუინდონი | 1:2 |
| პრესტონი-ჰარტლპული | 5:0 |
| შეფილდი-დონკასტერი | 0:0 |
| შრიუსბერი-ქოვენთრი | 4:1 |
| სტევენეიჯი-უოლსოლი | 3:1 |
| ტრანმერი-ბერი | 3:0 |
| **II ლიგა** | |
| უიმბლდონი-ტორკი | 0:1 |
| ალდერშოტი-ბარნეტი | 1:0 |
| ბრედფორდი-მორეკამბი | 3:1 |
| ჩელტენემი-ოქსფორდი | 2:1 |
| ჩესტერფილდი-აკრინგტონი | 4:3 |
| დაგენჰემი-ნორთჰემპტონი | 0:1 |
| ექსეტერი-უიკომბი | 3:2 |
| ფლიტვუდი-პორტ ვეილი | 2:5 |
| ჯილინგემი-საუთენდი | 1:0 |
| პლიმუტი-როვერსი | 1:1 |
| როტერჰემი-როჩდეილი | 2:3 |
| **საფრანგეთი** | |
| **ნასიონალი** | |
| კევილი-კრეტეი | 2:3 |
| ბულონი-ამიენი | 1:1 |
| ბასტია-კოლმარი | 1:2 |
| შერბური-კარკეფუ | 0:1 |
| ლე პუარი-რუანი | 4:1 |
| ლუზენაკი-პონ დუ გარი | 2:0 |
| ორლეანი-ბურჟი | 0:1 |
| პარიზი-რედ სტარი | 0:0 |
| ვანი-ფრეჟუსი | 1:1 |
| მეცი-ეპინალი | 2:0 |
| **შოტლანდია** | |
| **Challenge Cup** | |
| რეინჯერსი-ქუინი | 2:2 პენ. 2:3 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ბრომაპიოკარნა-ჰამარბიუ | 2:1 |
| **ფინეთი** | |
| მარიეჰამნი-ჰონკა | 1:1 |
| იუვიასკიულა-ვაასა | 1:2 |
| **[illegible]** | |
| ატლანტასი-შალგირისი | 3:4 |
| ეკრანასი-ვილნიუსი | 3:0 |
| კრუოია-შიაულიაი | 1:0 |
| **ესტონეთი** | |
| სილამაე-ტამეკა | 3:1 |
| ტრანს ნარვა-ლევადია | 0:6 |
| კალიუ-კურესაარე | 6:1 |
| პაიდე-ტალინა | 0:0 |
| ფლორა-ვიილანდი | 5:0 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **სლოვაკეთი** | |
| ბისტრიცა-ჟილინა | 4:3 (ო) |
| ნიტრა-ტრენჩინი | 6:3 |
| სკალიცა-პოპრადი | 3:7 |
| კოშიცე-ზვოლენი | 3:5 |
| **ფინეთი** | |
| ილვესი-პელიკანსი | 5:4 |
| კალპა-იოკერიტი | 3:0 |
| ლუკო-ჰპკ | 1:2 (ო) |
| ჰიფკ-სეი პა | 2:6 |
| **ჩეხეთი** | |
| პარდუბიცე-ხომუტოვი | 3:4 (ბ) |
| **შვედეთი** | |
| ფრიოლუნდა-ვექსიო | 1:2 (ბ) |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. მეცი** | |
| კარლოვიჩი-დე სხეპერი | 7:6, 7:6 |
| როჟე ვასელენი-რეისი | 3:6, 6:3, 5:7 |
| ზვერევი-დავიდენკო | 6:2, 3:6, 3:6 |
| სისლნგი-მილო | 4:6, 4:6 |
| მალისე-პერი | 1:6, 4:6 |
| მონფილსი-ო. როხუსი | 6:3, 6:2 |
| **ATP. სანქტ პეტერბურგი** | |
| ლუ-ბაუტისტა | 4:6, 2:6 |
| სერა-ხიმენო ტრავერო | 6:7, 2:6 |
| ლაჩკო-ჟემლია | 3:6, 2:6 |
| იუჟნი-პოსპიშილი | 7:6, 6:1 |
| **WTA. გუანგჯოუ** | |
| ბრატჩიკოვა-ჰსიე | 5:7, 3:6 |
| უ. რადვანსკა-ჩინკი | 7:6, 6:2 |
| კორნე-პანოვა | 6:3, 1:1 უარი |
| ჰუ-კირსტეა | 2:6, 5:7 |
| იოჰანსონი-ნიკულესკუ | 7:5, 6:2 |
| ლუანგნამი-გაიდოშოვა | 6:7, 6:4, 6:2 |
| პენგი-მორიტა | 7:6, 6:0 |
| ჩანგი-ბარტოლი | 4:3 უარი |
| გოვორცოვა-დიასი | 7:5, 6:2 |
| კოენი-ს. ჟენგი | 6:7, 5:7 |
| ჟიე ჟენგი-ჩანი | 5:3 უარი |
| კუმხუმი-დუანი | 2:6, 1:6 |
| **WTA. სეული** | |
| ბლანკო-ზაკოპალოვა | 4:6, 6:4, 6:7 |
| ჰერცოგი-მაკაროვა | 4:6, 1:6 |
| გორგესი-სოლერ ესპინოსა | 6:1, 6:7, 2:6 |
| კინგი-ბერტენსი | 3:6, 1:6 |
| ოპრანდი-ჰემპტონი | 7:5, 3:6, 2:6 |
| ვოსკობოევა-ჰონგი | 6:1, 6:2 |
| ჰანი-კანეპი | 1:6, 0:6 |
| ლეპჩენკო-ჯორჯი | 6:2, 7:6 |
| ვოზნიაცკი-რუსი | 6:1, 6:2 |
| გარსია-კადანტუ | 6:2, 6:3 |
| დატე-რიბარიკოვა | 4:6, 3:6 |
| კარატანჩევა-მედინა გარიგესი | 4:6, 4:6 |

TV პროგრამა

**19 სექტემბერი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. დორტმუნდი-აიაქსი.
**12:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. მილანი-ანდერლეხტი.
**14:00** პროგრამა - საფეხბურთო ლამე.
**15:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**16:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ვაალვაიკი.
**18:00** გერმანიის ჩემპიონატი. III ტურის მიმოხილვა.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. რედინგი-ტოტენჰემი.
**21:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXV ტურის მიმოხილვა.
**21:30** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტურის წინ.
**22:40** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ბარსელონა-სპარტაკი (LIVE).
**00:45** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. მანჩესტერ იუნ-გალათასარაი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ბოკა ხუნიორსი-ინდეპენდიენტე.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ჩიკაგო-დალასი.
**14:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**15:00** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. პალმეირასი-კორინთიანსი.
**17:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. ირლანდია-უელსი.
**19:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები. ატლეტიკო (მადრიდი).
**21:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. კვებეკი. კანადა.
**22:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. მანჩესტერ იუნ-გალათასარაი (LIVE).
**00:45** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ჩიკაგო-დალასი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. კვებეკი. კანადა.
**13:30** სპორტ-NEWS.
**14:00** ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/2 ფინალი.
**17:30** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ველეს სარსფილდი-რივერ პლეიტი.
**19:30** ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/2 ფინალი.
**22:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ON-LINE. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა


ენდი მიურეი

# მიურეის ცენტრი ექნება

მსოფლიოს მესამე ჩოგანმა **ენდი მიურეიმ** გამოაცხადა, რომ შოტლანდიაში საკუთარი საჩოგბურთო ცენტრის გახსნას აპირებს.

*„მალე გამოვალ შესაბამისი წინადადებით. ვნახოთ, საბოლოოდ რა გამოვა ამ იდეისგან. იუნიორებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია კვალიფიციური სპეციალისტების მხრიდან დახმარება და საუკეთესო კორტებზე ვარჯიში. დღეს, ბევრ პერსპექტიულ ბიჭს არ აქვს ასეთი პირობები.*

*ანალოგიური ცენტრი არსებობს ლონდონში, მაგრამ ის ვერ იტევს ყველა მსურველს. კარგი იქნებოდა, თუ შოტლანდიაში შევქმნიდით ეროვნულ საჩოგბურთო ცენტრს. აუცილებელი არ არის, ის ისეთივე იყოს, როგორიც ლონდონშია, თანაც ის უფრო იაფი იქნება. თუ შევძლებთ ასეთი ცენტრის აშენებას, ის დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს ჩოგბურთს“*, - განაცხადა ენდიმ სააგენტო BBC Scotland-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

# არგენტინა დელ პოტროს წინააღმდეგ

არგენტინელი ჩოგბურთელი **ხუან მარტინ დელ პოტრო** ადგილობრივი პრესის მხრიდან მწვავე კრიტიკის ობიექტი გახდა მას შემდეგ, რაც არგენტინის ნაკრებმა შინ დევისის თასის ნახევარფინალი წააგო ჩეხეთის გუნდთან. შეგახსენებთ, რომ დელ პოტრო ჯერ კიდევ მატჩამდე უჩიოდა მაჯის არეში ტკივილს და საბოლოოდ, მხოლოდ ერთხელ გავიდა კორტზე - პირველ დღეს **რადეკ შტეპანეკი** დაამარცხა.

სწორედ ეს გადაწყვეტილება გააკრიტიკეს ადგილობრივმა ჟურნალისტებმა - მათ მიაჩნიათ, რომ ხუან მარტინს არ უნდა ეთამაშა პარასკევს შტეპანეკის წინააღმდეგ და აქცენტი კვირის მატჩზე უნდა გაეკეთებინა, სადაც მას ჩეხების ლიდერი **ტომაშ ბერდიხი** ელოდა.

გაზეთმა La Nacion-მა ინკოგნიტო წყაროს ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოაქვეყნა დელ პოტროს სიტყვები, რომელიც გუნდის მწვრთნელების - **მარტინ ჰაიტისა** და **მარიანო საბალეტას** მისამართით იყო ნათქვამი: *„მე გავალ კორტზე, მაგრამ თუ რამე მომივა, თქვენი ბრალი იქნება“.*

ჟურნალისტი **მარკოს სუგასტი** იტყობინება, რომ დელ პოტრო ვარჯიშების დროს მხოლოდ თავის სპარინგ-პარტნიორთან **დიეგო შვარცმანთან** მუშაობდა და პრაქტიკულად არ ჰქონდა ურთიერთობა თანაგუნდელებთან.

შეგახსენებთ, რომ დელ პოტრომ კვირას კორტზე გასვლა ვერ მოახერხა და მისმა შემცვლელმა **კარლოს ბერლოკმა** ტომაშ ბერდიხთან წააგო, რამაც ჩეხეთს გამარჯვების ქულა მოუტანა.


რაფაელ ნადალი

# წლის ადამიანი

ესპანელმა ჩოგბურთელმა **რაფაელ ნადალმა** დიდი ინტერვიუ მისცა ჟურნალ Vanity Fair Spain-ს. ამ გამოცემამ მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი „წლის ადამიანად“ დაასახელა. ინტერვიუში რაფაელმა განაცხადა, რომ ადამიანებში ყველაზე მეტად ერთმანეთისადმი უპატივცემულობას ვერ იტანს.

ნადალმა ისიც აღიარა, რომ არ იცის, თავისი საბანკო ანგარიშის ოდენობა და მთელი ცხოვრების განმავლობაში მხოლოდ ერთი ავტომობილი შეიძინა.

შეგახსენებთ, რომ ესპანელი ჩოგბურთელი მუხლის ტრავმის გამო უიმბლდონიდან მოყოლებული არ გასულა კორტზე - მაშინ მან მეორე წრეში წააგო **ლუკაშ როსოლთან**. მას შემდეგ, რაფამ გამოტოვა ოლიმპიადა, ცინცინატის მასტერსი და ამერიკის ღია პირველობა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გოტფრიდ ლენცი

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:15
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608